სარგებელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 18 მარტი 2000 №50 (1072) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოცხვერია მერანმა დაიხსნა

დონეცკში ნატანჯი მიხეილ ფოცხვერია გონს მოსვლას ვლადიკავკაზში ეცდება

მიზანი არ შეგვიცვლია

ამბობს თბილისის „დინამოს“ ახალი პრეზიდენტი მერაბ რატიანი

თბილისთან ახლოს, ჰაიბერიზე

„არსენალი“ — „ტოტენჰემი“: მამლებზე ნადირობა ზარბაზნებით

რომელი შეავსებს ექვსეულს?

საქართველოს ჩემპიონატი 9 — 22 ტური

კვირას რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში „მაკაბი“ და თსუ ერთმანეთს ექვსეულში შესაღწევად შეეცილებიან

რაგბი. ევროპის ერთვნებათა თასი. „ა“ ჯგუფი. მესამე ტური

საქართველო — ჰოლანდია

19 მარტი. თბილისი. ერთვნული. 15 საათი

მოიგეთ, წაუგებლებო!



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ა“ ჯგუფის ცხრილი

რუმინეთი	2	2	0	0	72:13	4
ესპანეთი	3	2	0	1	88:61	4
საქართველო	2	1	0	1	64:66	2
პორტუგალია	3	1	0	2	54:84	2
ჰოლანდია	2	0	0	2	18:72	0

შინ ჯერაც დაუმარცხებელი საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, ცხადია, ხვალაც გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ევროპის ერთვნებათა თასის A ჯგუფის მონაწილეთა რანგში ბორჯღალოსნები პირველად ითამაშებენ საქართველოში და თავის შერცხვენა უკადრისად მიაჩნიათ. თანაც, ქართველთა ამჟამინდელი ფრანგი დამრიგებლის კლოდ სორელის შეგირდებს ჰოლანდიელებთან ძველი ანგარიში აქვთ: ახლაც მწარედ ახსოვთ 1995 წლის კასტრიკუმული მარცხი — 3:55. ეს განწყობა ჩვენი მორაგბეების გუშინდელ ვარჯიშზეც იგრძნობოდა.

იხილეთ მერვე გვერდი

დღეს: დინამო vs ბათუმი

ჯერ არც არაფერი გაირკვევა, უბრალოდ, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა შეიძლება არნახულად დაიძაბოს. დღეს „დინამო“ — „ბათუმია“, თამაში, რომელიც ნათლად გამოაჩენს „დინამოს“ დღევანდელ სახეს და „ბათუმის“ ამბიციას. კარნავალე იქადნება, წლეულს ჩემპიონს სკუდეტო უნდა წავგვაროო. რა პასუხს გასცემს კორლალიძე, დღეს „ეროვნულზე“ გამოჩნდება. „დინამოს“ ზედიზედ სამ მატჩში არ გაემარჯვოს, ასეთი რამ ეროვნულ ჩემპიონატში არ ყოფილა. „ბათუმი“ კი მადა ზეა და... ალბათ, გაიმყარებს პოზიციებს გათამაშების ლიდერი ქუთაისის „ტორპედო“, დასუსტებული „იბერიის“ ძლევა ახლა ძნელი სულაც არ არის. „სიონი“ — „კოლხეთი“ მუდამ საინტერესო და აზარტული სანახავია. ეს და კიდევ არაერთი საინტერესო ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მესამე ტურში — დღეს, ხვალ და ზეგ.

იხილეთ მეოთხე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი — მეორე ეტაპი

3 ტური

«ა» ზონა

18 მარტი, შაბათი

- დინამო — ბათუმი
- ტორპედო — იბერია
- სიონი — კოლხეთი
- ვიტ ჯორჯია — დილა

ტორპედო	1	1	0	0	3:1	21
დინამო	2	0	2	0	0:0	19
ბათუმი	1	1	0	0	6:0	16
ვიტ ჯორჯია	2	1	1	0	1:0	16
სიონი	2	1	0	1	4:2	14
კოლხეთი	2	0	1	1	1:3	14
იბერია	2	1	0	1	2:7	12
დილა	2	0	0	2	2:6	10

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

«ბ» ზონა

19 მარტი, კვირა

- არსენალი — თსუ
- ლოკომოტივი სამგურალი — მერანი
- გორდა

20 მარტი, ორშაბათი

- თბილისი — ხობი

ლოკომოტივი	2	2	0	0	5:1	15
მერანი	2	2	0	0	2:0	14
გორდა	1	1	0	0	2:0	11
თსუ	2	1	0	1	1:1	11
ხობი	2	1	0	1	3:5	8
თბილისი	2	0	0	2	0:3	7
სამგურალი	2	0	0	2	0:2	6
არსენალი	1	0	0	1	1:2	5

მურთაზ ხურცილავამ კანდიდატები დაასახელა

რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ქართველები ფაქტობრივად მხოლოდ ერთდღიანი შეკრების შემდეგ დაუხვდებიან. ეს, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული, მაგრამ ამხანაგური თამაში ამხანაგური თამაშია და ნაკრების ამა თუ იმ კანდიდატის მზადყოფნის ხარისხის შემოწმება შეკრების მოწყობის გარეშეც შეიძლება. ყოველივეს მთავარი მიზეზი კი ეროვნული ჩემპიონატი გახლავთ. მოგეხსენებათ, 26 მარტს ჩვენს ეროვნულ პირველობაზე ტურები და გუნდები ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებს ამის შემდეგღა გადასცემენ მურთაზ ხურცილავას გამგებლობაში.

ნაკრები 28 მარტს 2 საათზე შეიყრის თავს და დაელოდება რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან სპარინგს. იცით, რომ 29 მარტს ეროვნული გუნდიც მართავს შეხვედრას ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ და ამდენად, მურთაზ ხურცილავას ბოლომდე გარკვეული არა აქვს, ყიფიანი და ძოძუაშვილი ვის „წაჰგვრიან“ გუნდიდან.

სავარაუდოდ კი ბატონმა მურთაზმა 25 კაცამდე დაგვისახელა. აი, ისინიც ვის მიწვევასაც ხურცილავა საამმატჩოდ აპირებს.

მეკარეები — ლომაია (ლოკომოტივი), ბათიაშვილი (თბილისი);

მცველები — მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), ხიზანიშვილი, ხიზანიშვილი, შაშიაშვილი, ქემოკლიძე (ყველა დინამო), აბრამიძე (ლოკომოტივი), საჯაია, ჯ. მუჯირი, დიღმელაშვილი (ყველა ვიტ ჯორჯია), წერეთელი (ალანია, რუსეთი), დევიძე (მერანი);

ნახევარმცველები — კვარაცხელია (ლოკომოტივი), ო. გველესიანი, რუხაძე (ორივე დინამო), ასათიანი (ტორპედო);

თავდამსხმელები — ვ. შენგელია, წიტაიშვილი (ორივე დინამო), იმედაძე (ტორპედო), ლ. მელქაძე, რ. გოცირიძე (ორივე ვიტ ჯორჯია), ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ხუროძე, ძოძუაშვილი (ორივე ლოკომოტივი).

ამათგან ხიზანიშვილს და მენთეშაშვილს ალბათ ეროვნულ გუნდში მიიწვევენ, მამუკა წერეთელს რაც შეეხება, ეტყობა, ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა ტანდემს ჯერაც მიაჩნია, რომ მისი „თაფლობის თვე“ გრძელდება და ამდენად დიდსულოვნად დაუთმეს ხურცილავას.

ლუკა თალაკვაძე

სმიტი კატეგორიულია: ქინქლაძეს ვიყიდი!

გიორგი ქინქლაძე

გუშინ ჯიმ სმიტმა, „დერბი ქაუნთის“ მენეჯერმა, კატეგორიულად განაცხადა, რომ მალე გიორგი ქინქლაძე „ცხვრების“ სრულუფლებიანი წევრი გახდება. „აქამდე ჩვენ პრობლემები გვქონდა დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტთან, რადგან ამ კანტორამ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა დაიწყო და გიორგის გამოსყიდვის პროცესი შეაფერხა. დღეს კი თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ქინქლაძე მალე „დერბის“ საკუთრება იქნება“.

შეგახსენებთ, რომ ქართველს 2003 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი ამსტერდამის „აიაქსთან“, რომელმაც სეზონის ბოლომდე იჯარისთვის უკვე მიიღო 1,5 მილიონი გირვანქა და არაოფიციალური ცნობებით, კიდევ 2,5 მილიონს ითხოვს. „დერბი“ კი მხოლოდ 2 მილიონის გადახდაზეა ყაბულს.

„მე გიოს „სიტიში“ ჩატარებული მხოლოდ რამდენიმე მატჩი ვნახე, „ოქსფორდთან“ იგი განსაკუთრებით მომეწონა, სპეციალისტების აზრიც გავითვალისწინე, თუმცა უფრო ხშირად მესმოდა, რომ ქინქლაძე გუნდისთვის არ თამაშობს — თქვა ჯიმ სმიტმა — ახლა, როცა იგი ფორმას იბრუნებს, სრულიად საპირისპიროში ვრწმუნდები. ზოგი მეუბნება, რომ ქინქლაძე ადრინდელზე უკეთ თამაშობს. ბევრს ეგონა, რომ გიოს ასე თამაში არ შეეძლო. მე გაოცებული ვარ, იგი ყოველი დაკარგული ბურთისთვის იბრძვის, დაცვაში ჩამოდის, იშვიათად იყენებს დრიბლინგს და სულ თავისუფალი თანაგუნდელის ძებნაშია. იგი ბრწყინვალედ შეეწყო გუნდს, ამასთანავე ძალიან წყნარი და მეგობრული ადამიანია“ — კმაყოფილია სმიტი, რომელმაც ქინქლაძე 1974-75 წლებში „დერბის“ ნახევარმცველ ჩარლი ჯორჯს შეადარა.

ქართველი „ლივერპულთან“ დღევანდელ მატჩს ძირითადში დაიწყებს. „დერბის“ სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: პოომი, ლაურსენი, ელიოტი, დელაპი, ერანიო, პაუელი, ჯონსონი, დორიგო, ქინქლაძე, შტრუპარი, კრისტი.

სმიტის გადაწყვეტილებით, „ლივერპულის“ ახლადშეძენილ ემილ ჰესკის პერსონალურად პაუელი დაიჭერს.

სიმონ მენაგდე

კალაძე და ქეცბაია დუბლებში ომობენ

კახა კალაძე

გუშინ საქართველოს ნაკრების ორმა ლიდერმა — კიეველმა კახა კალაძემ და ნიუკასლელმა თემურ ქეცბაიამ თავიანთი გუნდების სარეზერვო შემადგენლობისთვის იომეს. ვალერი ლობანოვსკიმ გაითვალისწინა, რომ კალაძეს „რეალთან“ გაფრთხილების გამო სამუშაო დღე გაუცდა და ქართველი „დინამო 2“-ს უფროროდში გააყოლა ადგილობრივ „ზაკარაპატიესთან“ სათამაშოდ. მატჩს 1500 მაყურებელი დაესწრო.

კალაძემ 90 წუთი გაატარა და საუკეთესო იყო. მისი წამოწყებული კომბინაციის შემდეგ ბესარაბმა მე-17 წუთზე გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის დასაწყისში კი თავად კახას მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მან ჯერ ახლო მანძილიდან ააცილა, 48-ე წუთზე კი მეორედ დალაშქრა უფროროდელთა კარი. ამის შემდეგ მასპინძელთა კარში კიდევ ორი გოლი გავიდა. თავი შეკეტელინმა და ლისიცკიმ გამოიჩინეს.

კახას გარდა ლობანოვსკიმ დუბლებში ათამაშა ძირითადი გუნდის კიდევ ოთხი ფეხბურთელი: იაშინი, მაქსიმიუკი, რადჩენკო და შეკარე მარუშაკი.

„ნიუკასლის“ რეზერვებში ითამაშა თემურ ქეცბაიამაც, რომელმაც, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაკარგა ძირითადში დაბრუნების შანსი. „ჯორდები“ ნოთურბერლენდის სენიორთა თასზე ჩრდილოეთ ლიგის ჩემპიონს „ბედლიგტონ ტერიერს“ ესტუმრნენ. 41-ე წუთზე ქართველმა ჯერ ძელი შეაწუხა, შემდეგ კი იქიდან მობრუნებული ბურთი კარგად დაუგდო ხორვატ სილვიო მარიჩს, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში. 54-ე წუთზე ქართველი „ნიუკასლის“ რეზერვების მენეჯერმა კრეიგმა რობინსონით შეცვალა. დაახლოებით 20 წამის შემდეგ „ტერიერმა“ ანგარიში გაქვითა, შემდეგ კი მეორეც გაიტანა. „ჯორდები“ მარცხს რობსონის მიერ ორი თვის წინ შეძენილმა პარაგვაელმა გავილანმა გადაარჩინა. საბოლოოდ ფრე — 2:2.

ქეცბაიას, მარიჩისა და გავილანის გარდა რობსონმა რეზერვებში სტივენ გლასი და დიდიე დომიც ათამაშა.

სიმონ მენაგდე

დიალოგი აქტუალურ თემაზე

აუუ, არ გეტკინათ არაფერი, ბიძიკო, შენც და შენს კეთილის მსურველსაც მანამ, სანამ მაგ კალენდარმა ხეირი არ დაგვაყაროს ქართველებს. რა ხდება, ძმაშვილო, თუ იცი, როდის მერე დავიწყეთ ჩვენი წყლის სხვის წისქვილზე დასხმა, ამიხსენი ერთი, თუ კაცი ხარ.

აღვშფოთდიო?! აღვშფოთდი კი არა და, ქვების სროლას დავიწყებ, გავიჟდები სულ. კაი კალენდარი რომ საქმის ნახევარია, შეიძლება ამაზე კამათი? რაო, რაო, მინდვრები არა გვაქვს წესრიგშიო? თქვენი გამკვირვებია, კეთილო, მინდვრებზე და ველებზე რომ მელაპარაკებით ამ გაგანია საუკუნის ბოლოს, ფეხბურთთან გაქვთ საქმე, თუ სახნავ-სათეს სამუშაოებს ატარებთ? კაი ერთი, კაი, შენ ნუ მომიკვდები, ზედმეტია ეგ ყველაფერი. ფედერაცია რომ იმას დაიჩივლებს, ერთი სტადიონი არ მაქვს ხეირიანიო, გასაწკეპლი ხომ არ არის პატარა? დალოცვილო, სტადიონი თუ არ გაქვს და მინდორი, რა გეფეხბურთება. ის ანეკდოტი გამახსენდა, გიეები რომ უწყლო ბასეინში თავით ხტებიან, თუ ჭკვიანად მოვიქცევით, წყალსაც ჩაგვისხამენო, გულზე ხელი დაიდე, არ ვგავართ იმ შეურაცხად ხალხს? მონდომება მითხარი შენ და ჯიგარი, თორემ სტადიონს კი არა, ქვეყანას ააშენებს ამდენ ხანში ინტერესიანი კაცი — არ უნდა ამას ბევრი ქაქანი.

მერე ერთი რამეც მიკვირს, ძმაო და შვილო — თავიდან ასე არ იძახდნენ, თუკი ჯგუფში ამხანაგებთან ვერ შევთანხმდით და ჩვენთვის სასურველი ვარიანტი ვერ გავიტანეთ, საქმეში უეფა ჩაერევა და თავის შედგენილ კალენდარს დაგვიკანონებსო? იყო ასე, თუ მეშლება. არ მეშლება ხომ? აბა, რატომ გაკეთდა აბრუნდი? ჩვენ გვატყუებენ თუ თავი მოატყუებინეს ვინმეს? არ იცი? ვიცი, რომ არ იცი, არც მე ვიცი და ამხსნელიც რომ არავინ გვყავს?

ერთი სიტყვა ნაკრების მწვრთნელებმაც უნდა თქვან, ოღონდ ისეთი კი არა, არც მწვადი დავწვათ და არც შამფურიო — თუ კარგია, თქვან, რატომ არის კარგი და თუ არ ვარგა, აგვიხსნან ესეც. ვგრძნობ, ვხვდები, არ მოყვება ასე საქმის კეთებას კაი ბოლო და ახლა სათქმელი მერე რომ თქვას ვინმემ, არ იქნება მართალი საქციელი.

მე, ბიძია, ცუდ ფეხბურთზე მეტად ტყუილი მეჯავრება და ამ ჩვენს მეტყუილე კაცებსაც რომ ვუყურებ, ნამეტანი მოკლეფეხიან ტყუილებს დაეჩვივნენ ამ ბოლო დროს. კი, ბატონო, ვიცი, მესმის იტალია და რუმინეთი რომ ჩვენზე ძლიერები არიან, მაგრამ თუკი წინასწარ იმედი გაქვს გადაწურული მე რაღას მეუბნები — გავალ ჯგუფიდან და წავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეო. ამას ჰქვია, ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენო. თუ დიპლომატიაში და იტალიასთან თამაშის ტელერეპორტაჟში აღებულ ფულშია საქმე, მითხარი ესეც და ვინაა ხმის ამომღები, ქვეყნის დაქცევას ვუყურებ აგერ რამდენი ხანია და ფეხბურთის უსაშველობასაც ავიტან როგორმე, რავა, რომ ვიყვირო, გაიგონებს ვინმე თუ?

კალენდარი უნგრელებმა გაიკეთესო, რომ ითქვა, ამან მთლად გულზე გამხეთქა, ყველას გეფიცები. კი, ბატონო, უნგრელებს ეგება ჩვენზე კაი კომპოზიტორი ჰყავდათ, მაგრამ ფეხბურთზე თუ მიდგება საქმე, მაგათზე ნაკლებს რა ვუთხარი ადრეც და ახლაც და რაც მაინცდამაინც უნგრული გამოდგა ის საჯანდაბე კალენდარი. ამიხსენი ერთი, ვერ ამიხსნი ხომ? თუმცა, შენ რა უნდა ამიხსნა, ბიძიკო, ვისაც ახსნა შეუძლია, ის ვერ მიხსნის ვერაფერს და...

ხუთი ვარიანტი დავამუშავეთ და მერე წავედით დასამტკიცებლადო, კაცო, მე ასე ვიცი, ეს პრესა და რადიო-ტელევიზია იმიტომ არსებობს დედამიწაზე, რომ ხალხმა დროზე გაიგოს, რაც გასაგებია და თუ ხუთი კალენდარი არსებობდა, ჩვენც გაგვეგო რაღაცა. ხალხს ვინ კითხავს ხომ? კაი, ბატონო, და როცა ტრიბუნებზე გაიხედავენ, მაშინაც თქვან ეგ, თუ ბიჭები არიან. ფეხბურთი ხალხისთვის მოიგონეს, ბიძიკო, სხვათა შორის, და თუ მარტო თავისთვის უნდათ, ბარემ ესეც გვითხრან, რავა, გაუკვირდება ვინმეს რამე ამ ქვეყანაში თუ?

სტადიონს კი ნუ დავაბრალებთ, ბიძია, იმას, ნაკრება რომ წელიწადზე მეტხანს შინ ვერ ითამაშებს ოფიციალურ დონეზე. უთხრა იმ კაცმა, ავია თუ კარგია, სექტემბერისთვის ხაზირი იქნება აქაური სტადიონიო და საბანი სანამდე გაგწვდეს, იქამდე გაიჭიმეო, ესეც ხომ გაგიგია, რავა, ბათუმში ვერ ვუმასპინძლებდით მეტოქეს?

ესაა, რომ მკლავს და მიხეთქავს გულს, ძმაშვილო. ცუდია, საწუწუნოდ რომ გაგვიხდა საქმე, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი ყისმათია ეგეც. ხელჩაქნეული კაცის რა მითქვამს და ჯერ თუ არა, ეგება ბოლოს მაინც გავიცინოთ, ნუ დავკარგავთ იმედს.

კონსტანტინე გოგიშვილი

ფანჯარა კალენდარში

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ ტურში დაგეგმილი რვა მატჩის ნაცვლად ერთით ნაკლები გაიმართა. გეხსომებათ, თბილისის „არსენალისა“ და რუსთავის „გორდას“ შეხვედრა გადაიდო. იმ დროს „გორდას“ ორი წამყვანი ფეხბურთელი, ძმები ვარლამ და გიორგი კილასონიები საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი, რომელიც ხორვატიაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გამოდიოდა. რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმაც ისარგებლა დებულებით (ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, თუ გუნდის ორი ფეხბურთელი ქვეყნის რომელიმე ნაკრებშია გამოძახებული, მას უფლება აქვს, მატჩის გადადება მოითხოვოს). ალადაშვილმაც ეს უფლება გამოიყენა. ფედერაციამაც დაკმაყოფილა რუსთაველთა თხოვნა.

როგორც კი საშუალება მოგვეცემა, ამ მატჩს ჩავატარებთო, ითქვა მაშინ ფედერაციაში.

მოგეხსენებათ, 22 მარტს, საქართველოს თასის საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრებია დანიშნული. „არსენალი“ კარგა ხანია გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას, „გორდამ“ კი არმიელთა ბედი წინა ეტაპზე, მერვედფინალში გაიზიარა. ფედერაციამაც კალენდარში ფანჯარა იპოვა და სათასო მატჩების პარალელურად „არსენალი“— „გორდას“ ჩატარებაც ბრძანა.

ასე რომ, მომავალ ოთხშაბათს, 15 საათზე, ავლაბარში, „ისნის“ სტადიონზე, „არსენალი“ და „გორდაც“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ვანო ოქროპირიძე

ს.კ. თბილისის „შერანი“
სამძიმარს
უცხადებს ჩოხატაურის
„ბახმაროს“ ყოფილ
ფეხბურთელსა და
მწვრთნელს გრიგოლ თოდრიას
მამის
გარდაცვალების გამო

ფოცხვერია მერანმა დაიხსნა

დონეცკში ნატანჯი მიხეილ ფოცხვერია გონსმოსვლას ვლადიკავკაზში ეცდება

ბადრი კვეტელაძის ფოტო

მიხეილ ფოცხვერიამ დონეცკელთა ტყვეობას თავი დააღწია

...ეგ იყო დონეცკის „შახტარის“ სამტრედიაში დაბადებულმა თავდამსხმელმა მიხეილ ფოცხვერიამ უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშს საქართველოს ახალგაზრდული რომ ამჯობინა, მისი საფეხბურთო კარიერა გაუკუღმართდა, ფოცხვერია „შახტირის“ ხელმძღვანელებმა აითვალწუნეს. ერთობ პერსპექტიული და ნიჭიერი ფეხბურთელი, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშამდე დონეცკური კლუბის ძირითადი შემადგენლობის უცვლელ წევრად რომ ითვლებოდა, სათადარიგოთა სკამს არ მოაშორეს. „შახტარის“ მაშინდელი მწვრთნელი ვალერი იარემჩენკო ემუქრებოდა კიდეც ჩვენებურს, არც სხვა კლუბში გაგიშვებ, არც გათამაშებ, როგორც ფეხბურთელს, მოგკლავო. იარემჩენკო ვიდრე მწვრთნელი იყო, ასრულებდა სიტყვას, მაშას იშვიათად, ისიც 15-20 წუთით თუ ათამაშებდა. სამაგიეროდ ფოცხვერია ვლადიმერ გუცაევისდროინდელ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ყოჩაღობდა, უცვლელი წევრიც გახდა, მერე გუცაევმა ეროვნულ გუნდშიც მიიწვია.

დონეცკიდან კი სანუგეშო არაფერი ისმოდა. ფოცხვერიას საქმეებიც ნელ-ნელა დაღმა მიდიოდა. კლუბში უთამაშებლობა დაეტყო, ნაკრებშიც იშვიათად ეძახდნენ. მერე „შახტარის“ უფროსებმა იარამჩენკო დაითხოვეს, მწვრთნელად ანატოლი ბიშოვეცი დანიშნეს. იმედი მოგვეცა, ბიშოვეცი მაინც ათამაშებსო, მან კი, საერთოდ, დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გაანათხოვრა, სადაც მაშამ სამი თვე ჯაჭო, დაბრუნდა „შახტარში“ და კვლავ სათადარიგოთა შორის მიუჩინეს ადგილი. ბიშოვეცი კი მალევე გაათავისუფლეს, გუნდი ვიქტორ პროკოპენკომ ჩაიბარა... ჩვენებურს, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი თვის წინ „შახტართან“ კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა, არაფერი ეშველა. კლუბთან დაახლოებული პირები მას აიძულებდნენ „შახტარში“ დარჩენილიყო. იმ ხალხის გარეშე, დაუკითხავად მაშა ნაბიჯს ვერ დგამდა, იქაურობის დატოვების სურვილი კი იცოცხლეთ, ჰქონდა. ეს ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუშიც აღნიშნა. იგი ისევ „შახტარის“ ფეხბურთელად ითვლებოდა, ამ ზამთარს პროკოპენკომაც თან იახლა, სადაც კი გუნდი მოსამზადებლად წაიყვანა, თუმცა ამხანაგურ მატჩებში იშვიათად ათამაშებდა.

და როგორც იქნა, „შახტარის“ მესვეურები ფოცხვერიას განათხოვრების თაობაზე ალაპარაკდნენ, ჯერ დონეცკისვე „მეტალურგში“, შემდეგ სამხრეთ კორეის რომელიღაც გუნდში. ეს თებერვლის ამბებია. საბოლოოდ „მეტალურგის“ ვარიანტიც ჩაიშალა და კორეაში წასვლაც...

სულ რამდენიმე დღის წინ მაშა ფოცხვერიამ დონეცკურ ტყვეობას, თავი დააღწია. ის „შახტარიდან“ განთავისუფლდა და ახლა, ანუ გაიკვირვებთ, თბილისის „მერანს“ ეკუთვნის, დეკემბრამდე კი ვლადიკავკაზის „ალანიაში“, ისევ ვლადიმერ გუცაევის ხელმძღვანელობით ითამაშებს.

ყოველივე თბილისის „მერანის“ ახალარჩეული პრეზიდენტის „დავით ფურცელაძის დამსახურებაა:

— „შახტარის“ პრეზიდენტი რავილ საფიულინი ჩემი მეგობარია, ახლობელი. ადრე მისთვის ბევრი რამ გამიკეთებია და სიკეთე არ დამივიწყა. „მერანის“ პრეზიდენტობას ტყუილად როდი დათანხმებულვარ. მე დიდი, სერიოზული მიზნები მაქვს და ფოცხვერიას „მერანში“ წამოყვანაც ამისი დასტურია. პრეზიდენტად ამირჩიეს თუ არა, სულ რამდენიმე დღეში დონეცკში საფიულინს დავუკავშირდი, მსმენოდა ფოცხვერიას ამბავი, ვიცოდი ნიჭიერი ფეხბურთელი რომ იყო და რავილს სწორედ მის თაობაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ჩამოდი, აქ ვილაპარაკოთო, მითხრა. გადავფრინდი დონეცკში და... ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც მსურდა და ჩაფიქრებული მქონდა. თეთრი რომ თეთრია, მაშას სანაცვლოდ ისიც არ გადაგვიხდია, საფიულინმა ჩემი გაიგო, პატივი მცა. ფოცხვერიას ახლაც ვათამაშებდით, მაგრამ რა აზრი აქვს? საქართველოს თასზე „კოლხეთი“ რომ გაგვემარცხებინა, მაშინ კი უეჭველი, ჩამოვიყვანდით და გუნდს გავაძლიერებდით, ეგებ თასისთვისაც გამოგვეკრა ხელი. წავაგეთ ფოთელებთან და მაშას დავეკითხე, სად სურდა თამაშის გაგრძელება. ბევრი არც უფიქრია, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ჩემი მეგობრები კიკნაძე, აშვეთია, სილაგაძე, წერეთელი არიან, მწვრთნელი გუცაევი, მათ გვერდით სიამოვნებით ვითამაშებდიო. მოსკოვში ვიყავით, თბილისში უნდა გამოვფენილიყავით. მერე კვიპროსზე გუცაევს დავურეკე, საქმის ვითარება ავუხსენი, მას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ავუღე მაშას ბილეთი და კვიპროსზე გავუშვი. დეკემბრამდე ის „ალანიაში“ ითამაშებს. უფასოდ გავანათხოვრეთ — წუხელ გვითხრა მოსკოვიდან თბილისში რამდენიმე საათის ჩამოსულმა დავით ფურცელაძემ. გუშინვე, კვიპროსზე მოსამზადებლად მყოფ „ალანიას“ თავკაც ვლადიმერ გუცაევსაც შევეხმიანეთ.

— დამირეკეს და ფოცხვერიას ამბავი მითხრეს. არც დავფიქრებულვარ, ჩამოვიდეს-მეთქი, ვუპასუხე. მაშა მეორე დღესვე შემოგვიერთდა და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენთან გაისამდე ითამაშებს. მიხარია, ეს ბიჭი „შახტარიდან“ რომ დაიხსნეს, გაწამდა იქ მე კი მისი დიდი იმედი მაქვს, დღეს ნიჭნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან“ ამხანაგურ მატჩშიც ვათამაშე ნახევარ საათს. მოუმზადებლობა ეტყობა, მაგრამ არა უშავს, ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს, ძალიან მონდომებულია.

კობა ინასარიძე

სფფ-ის 500 საათი

როგორც ამას წინათ გაცნობეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენში მსაჯთა ატესტაციის შემოღებასთან დაკავშირებით შავოსანთა სამკერდე ნიშნების დამზადებისთვის მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანას მიმართა, როგორც ჩანს, ფედერაცია შეკვეთის ხარისხით კმაყოფილი დარჩა. ყოველ შემთხვევაში, სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, ფედერაციამ ცოტა ხნის წინ ხელშეკრულება გააფორმა მოსკოვის №2 ქარხანასთან და სულ მალე თბილისში ახალი შეკვეთილი ნივთებიც ჩამოვა. ფედერაცია რუსებს ვიმპელებს, სამკერდე ნიშნებს, სუვენირებს და სხვადასხვა ატრიბუტებს ამზადებინებს. გარდა ამისა, ახალ შეკვეთაში შედის 500 ცალი სფფ-ს ემბლემით დამშვენებული მაჯის საათი.

როგორც ამბობენ, მარტის ბოლოსთვის ეს ყველაფერი თბილისში იქნება.

პაატა ძვანტალიანი

საქართველოს უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ კარგა ხანს უპრეზიდენტოდ იყო. თითქმის წელინად-ნახევარი კლუბს რამდენიმეკაციანი დირექტორატი მართავდა. სწორედ ამ პერიოდში „დინამოს“ არნახულად გაუჭირდა, ფულიც შემოაკლდა, ფეხბურთელები ხელფასებსაც ვერ იღებდნენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდა. კლუბში გაურკვეველი ვითარება გახლდათ. ჩვენს კითხვებზე პასუხსაც ტაქტიანად თავს არიდებდნენ.

მერე ჩემპიონატის პირველი ეტაპიც დამთავრდა. ჩემპიონებმა, როგორც აქამდე ხდებოდა, რამდენიმე ფეხბურთელი სხვა კლუბებს დაუთმეს. ამით, რა თქმა უნდა, სალარო ოდნავ შეავსეს, ცოტას ცოტაც დაუმატეს და ამოისუნთქეს, თუმცა ვალი კი მაინც დარჩათ — ყოფილი მეკარე დონდტი ჰყავთ გასასტუმრებელი, რომელიც უეფაში ჩივის, ქართველებს კუთვნილი არ მოუციათო, იქით TBC ბანკი თხოვს ფულის დაბრუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგირავებული სანვრთნელი ბაზის გაყიდვით ემუქრება. „მრეტების“ ცნობილი საქმეც არ იქნა და არ დამთავრდა, ისინიც ფულს ედავებიან ჩემპიონებს.

მოკლედ, „დინამოს“ პრობლემები არ ელევა, ხელმძღვანელებიც გამოსავალს ეძებენ. ამასობაში კი ჩვენც ბევრი კითხვა დაგვიგროვდა, რომლებზეც „დინამოს“ ახალდანიშნულმა პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა გვიპასუხა.

ალექსანდრეს ალბერტის

მერაბ რატიანი

მერაბ რატიანი: მიზანი არ შეგვიცვლია

— მერაბ ჟორდანია წელიწადზე მეტია, რაც ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობს, თქვენ კი პრეზიდენტად სულ რამდენიმე დღეა აგირჩიეს, საქმე ასე რატომ გაჭიანურდა?

— მერაბ ჟორდანიას ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მის მოვალეობას რომან შოთაძე ასრულებდა. სწორედ მას ვთვლიდით „დინამოს“ ხელმძღვანელად, მაგრამ, არ ვიცი რატომ, იგი თავს იკავებდა, ცოტაც მაცალეთო, ამბობდა, ამასობაში კი მართლაც გაჭიანურდა კლუბის ხელმძღვანელის საკითხი. საბოლოოდ რომან შოთაძემ უარი თქვა პრეზიდენტობაზე. გაურკვეველი ვითარება იყო და ალბათ იმიტომ. რა ვიცი, კაცია და გუნება. დანარჩენი თავად რომან შოთაძეს ჰკითხეთ. მერე კი, როცა შოთაძემ პრეზიდენტობაზე უარი თქვა, რაღა დაგვრჩენოდა, კლუბის წევრები შევიკრიბეთ, მწვრთნელები, ფეხბურთელებიც და... ერთი სიტყვით, პრეზიდენტად მე ამირჩიეს — რაც შეეხება რომან შოთაძეს, ის ძველებურად კლუბშია და შესაძლოა ჩემზე მეტიც გააკეთოს. უბრალოდ, მან თავი აარიდა პრეზიდენტობას.

— და თქვენ? „დინამოს“ ჩემპიონობის დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრება. პრეზიდენტად კი თქვენ აგირჩიეს. „დინამო“ აქამდე ათჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი...

— ძალიან ცუდი იქნება, ჩემპიონები თუ ვერ გავხდით და ეს ჩემს პრეზიდენტობას დაემთხვა, თუმცა... სწორად გამიგეთ, მუდამ პირველობისთვის ვიბრძოლებთ, ჩემპიონობა და საქართველოს თასის მოპოვება კვლავაც ჩვენი მიზანია. თანაც დავამატებ, „დინამო“ ქართველებისთვის საამაყო გუნდია და ვეცდებით...

— რას ეცდებით?

— „დინამოს“ თითოეული ფეხბურთელი უნდა შეეგუოს იმ პირობებს, რასაც დღეს ვთავაზობთ. სამი-ოთხი წელი ჩვენ სხვა კლუბში არავის გავუშვებთ, არავის გავყიდით. მომავლის გუნდის შექმნა გვსურს. ახალგაზრდებს გავწვრთნით და მერე, სამი-ოთხი წლის შემდეგ, ყველაფერს მივაღწევთ, რა თქმა უნდა, საქართველოში, ეგებ ევროპულ სარბიელზეც. ადრე ჩაფიქრებული გვქონდა ოცნების გუნდის შექმნა, მაგრამ არ გამოგვივიდა, ახლა ვეცდებით.

— „დინამოს“ შემოსავალი საიდან აქვს?

— ტრანსფერებიდან. აბა, ჩვენს თამაშებს თითო-ოროლა კაცი ესწრება, რეკლამას არავინ გვიკვეთავს, გაყიდული ბილეთებით მოლარეებს გაჭირვებით ვისტუმრებთ. ახლა ვცდილობთ, ინვესტორები მოვიზიდოთ, საქმე, ძალა დავანახოთ... სპონსორებს ვეძებთ. დახარჯული თანხა მათ ერთი ათად დაუბრუნდებათ. ხალხს გუნდის პერსპექტივა უნდა დავანახოთ და მერე თავად გაუჩნდებათ „დინამოსთან“ თანამშრომლობის სურვილი...

— ახლა „დინამოს“ ვალებზე გვითხარით. დონდტი გედავებათ, მრეტები, TBC ბანკი...

— ვალები ბევრი გვაქვს.

— რამდენი?

— მოდით, ნუ დავაკონკრეტებთ. დონდტისთვის კუთვნილი 15 მარტამდე უნდა გადაგვეხადა, მაგრამ ვერ შევძელით. ახლა უეფაზეა, ბოლო ვადას როდის დათქვამს, ჩვენც იმ ფულს აუცილებლად გავისტუმრებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უეფას სანქციები არ აგვცდება. ბოსკამპისაც გვმართებს...

— იოჰან ბოსკამპისა?

— დიახ, მცირე თანხა.

— აკი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გვითხრა, „დინამოს“ ბოსკამპის თეთრი არა აქვს ვალადო?

— ხომ გითხარით, მცირე თანხაა. იქნებ თვით ბოსკამპისაც არ ახსოვდეს, მაგრამ ჩვენ ვალში არავის დავრჩებით. ბოსკამპისთვის ჯიბის ფული დაგვრჩა მისაცემი. შესაძლებლობისთანავე გავისტუმრებთ.

— „მრეტების“ საქმეზე რას იტყვით?

— „მრეტებს“ გერმანელი პატრონი ჰყავს, მასთან შეხვედრა კი ვერაფრით მოვახერხეთ. ის ჩვენ არ გვეკითხება, თითქმის ყოველდღიურად ფიფაში ფაქსს აგზავნის. მისი გული ვერაფრით მოვიგეთ. არადა, საკომპენსაციო თანხის გადახდა დღესვე შეგვიძლია, „მრეტები“ კი გაცილებით მეტს ითხოვს. მათ სწორედ საკომპენსაციო თანხა ეკუთვნით.

— გავიგეთ, ანჩაბაძეს „ალანიაში“ გადასვლას „დინამო“ უშლის ხელსო.

— ვერ გავიგე-

— „დინამო“ ფეხბურთელის სანაცვლოდ ბევრს ითხოვსო...

— მსგავსი არაფერი. „ალანიასთან“ ყველაფერი მოგვარებული გვაქვს, ყველაფერზე შეთანხმებულები ვართ. დანარჩენი თავად ანჩაბაძეს ჰკითხეთ, მასზეა დამოკიდებული, გაგრძელებს თუ არა თამაშს ვლადიკავკაზში. მას აქვს პირობები შესათანხმებელი, ჩვენ აღარაფერ შუაში ვართ. თუ მოილაპარაკებენ, სიამოვნებით, წავიდეს.

— „ჩელსიში“ გაშვებული რატი ალექსიძის სახაცვლოდ რამდენი მიიღეთ? ამბობენ 300 ათასიო?...

— ჯერჯერობით თეთრიც არ მიგვიღია.

— ეგ როგორ? კონტრაქტი?

— კონტრაქტი გვქონდა მასთან გაფორმებული, მაგრამ რატის „ჩელსიში“ წასვლა ჩემს პრეზიდენტობამდე გადაწყდა, 300 ათასი კი... რა 300 ათასი, ალექსიძე სამჯერ და ოთხჯერ მეტად ფასობს.

— „დინამო“ ლონდონური კლუბისგან საკომპენსაციო თანხას მიიღებსო...

— რომელ საკომპენსაციო თანხაზე ლაპარაკობთ? უახლოეს დღეებში „ჩელსისგან“ წერილს ველით და ყველაფერი ამის შემდეგ გაირკვევა.

— კლუბების ხელმძღვანელებს ფეხბურთელთა სამუალო ხელფასზე რომ ვეკითხებით, გვპასუხობენ, საიდუმლოაო. ეგებ თქვენ მაინც გვითხრათ და ტრადიციისმაგვარი დაარღვიოთ. „დინამოს“ ფეხბურთელის სამუალო ხელფასი რამდენია?

— დაახლოებით ათასი დოლარი.

— ფეხბურთელების ვალი ბოლომდე გასტუმრებული გაქვთ? მათთვის რამდენიმე თვის ხელფასი გემართათ.

— ყველაფერი რიგზეა. ფეხბურთელები ხელფას-პრემიებს დროულად იღებენ.

— დაბოლოს სტადიონზეც გკითხავთ. ეროვნულ სტადიონზე არც უეფას მოთხოვნების შესაბამისი განათებაა, არც სკამები, არც...

— ეგ ჩვენი პრობლემა არ არის. „დინამო“ სააქციო საზოგადოებაა და ჩემზე უკეთ ამ კითხვაზე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიპასუხებთ.

— კი მაგრამ, თქვენ არ თამაშობთ ამ სტადიონზე?

— „ეროვნული“ თუ განათებითაც და სკამებითაც უზრუნველყოფილი იქნება, რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვისაც უკეთესია. არადა, სხვა რა გზა გვაქვს, ბათუმში, ან აგერ „ლოკომოტივის“ ჯერ მშენებარე სტადიონზე ვითამაშებთ. სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტის პატრონი თბილისის მერიაა. თუ სურთ თბილისში რენტაბელური სტადიონი ჰქონდეთ, მოაწესრიგონ.

კობა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონატი
11
მეორე ეტაპი
3 ტური
ანგარიში

აჭარელი ვიყავ განა...

მეორედ საქართველოში! დაუვიწყარი საღამო ბერიკონში

...იტალიელი სინიორ ჯანი. ბათუმში გადიდკაცებული, ქართულ საფეხბურთო სკუდეტოზე დაგეშილი, მისი ყოფილი უბუბლიკესობა თბილისს სალაშქროდ ეწვია. „იბერიის“ შემმუსვრელი, „კოლხეთისთვის“ შავი ხელი აჭარლებს კარნავალს ჰპირდება და მარადი ჩემპიონის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობს.

მეორედ საქართველოში! თბილისის „დინამოს“ მონარქიას საძირკველი შეერყა. 5 წლის წინ პროვინციულმა სამტრედიელებმა სცადეს დედაქალაქელთა ბატონობის დამხობა. ამ საქმეში სრულიად მარტოდ დარჩენილები ვერაფერს გახდნენ.

2000 წლის საფეხბურთო საქართველოში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. ხელისუფლებას („დინამოს“) აღარ ძალუძს ძველებურად მართვა, საზოგადოებას (დანარჩენ გუნდებს) ყელში ამოუვიდათ ძველებურად ცხოვრება. მოვლენათა განვითარების ეპიცენტრი ქუთაისში მდებარეობს. სხვა ქალაქებშიც მობილიზებულნი არიან. მცხეთაში, ფოთში, ბოლნისში ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ერთმმართველობას ბოლო მოეღოს. ჩემპიონმა დიღმის ბაზაზე კარანტინი გამოაცხადა. ახალი პრეზიდენტი მერაბ რატიანი და კომპანია გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადებიან.

დღეს „ეროვნულზე“ მონარქი „დინამო“ ვინმე იტალიელი კარნევალეს სარდლობით გაძლიერებული აჭარლების შეტევათა მოგერიებას შეეცდება, მომავალ კვირას კი თავად გაილაშქრებს რევოლუციურ ქუთაისში.

მეორედ საქართველოში! ივნისის დასაწყისში ფედერაცია „ბერიკონში“ დაუვიწყარ საღამოს მოაწყობს. მე-11 ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოება საზეიმო ვითარებაში გაიმართება.

ოქროს მედლების გადასაცემად სცენაზე ვიწვევთ გამარჯვებულ ... — იტყვის წამყვანი და დაუვიწყარი წამები ჩაიქრობენ ელვარე დარბაზში.

ვის მკერდზე აკიაფდება ოქრო, რომელ მწვრთნელს ატყორცნან მეცხრე ცაზე? ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება ეს ორი კითხვა.

„დინამო“ — „ბათუმი“ ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. თუ ვერ მოიგებენ, ერთიც და მეორეც „ტორპედოს“ წისქვილზე დაასხამენ წყალს. მასპინძლები აშკარა კრიზისს განიცდიან. ორი უგოლო ფრისა და დაკარგული 4 ქულის შემდეგ „დინამოს“ უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს. „ბათუმთან“ წაფორხილების შემთხვევაში მარადი ჩემპიონის მოწინააღმდეგეთა ბანაკში სვლებს გაითვლიან და არაა გამორიცხული, აპრილში „დინამო“ საბოლოოდ დაშამათონ.

დიდი პრობლემის წინაშე დგას ოთარ კორღალიძე. „უაშვეთიოდ და უალექსიძეოდ დარჩენილი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი არჩილ სახვაძე დისკვალიფიცირებულია. მისი სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნა მარტო „დინამოში“ კი არა, საქართველოშიც გაჭირდება. სამაგიეროდ, მწვრთნელი მეორე ტურისგან განსხვავებით, შვებით ამოისუნთქავს და ძირითად შემადგენლობაში ნემსაძესა და ანჩაბაძეს დააყენებს. თუმც ყოველ ტაქტიკურ გადანაცვლებას რომ გაუთვალისწინებელი ფაქტორები ახლავს, კორღალიძესაც კარგად მოეხსენება. ვის შეელევა „დინამოს“ თავკაცი ნემსაძის სანაცვლოდ? ალბათ, ქემოკლიძეს, მაგრამ ვინ შეაჩერებს ბათუმელთა ტანმაღალ ფორვარდ ხომერიკს?

სხვათაშორის, გუშინ „დინამოში“ „ირილია. სოვეტოვის“ თავდამსხმელმა მამუკა მინაშვილმა და ნახევარმცველმა ლაშა მონასელიძემაც ივარჯიშეს, ოლონდ მათი გადინამოელება ჯერჯერობით სათუოა, ტრანსფერს ელიან.

საეჭვოა, კარნევალემ 3-4-1-2 სქემას უღალატოს. ერთი თავდამსხმელით მოთამაშე „დინამოს“ შეტევისას 3 წინახაზელად უმალ გადაწყობა გაუძნელდება. იტალიელი ზონური დაცვის პრინციპით ათამაშებს გუნდს და 2 საყრდენი დანარჩენებთან ერთად თავისუფალი სივრცის დროულად გადაკეტვას არცთუ ურიგოდ ახერხებს.

ჯანის „ბათუმი“ საკმაოდ მოძრავი და ფიზიკურად კარგად მომზადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ გუნდების შარშანდელ თბილისურ მატჩშიც გამოიკვეთა აჭარელთა ეს უპირატესობა. მაშინდელი ბოსკამპის „დინამო“ შეხვედრის ბოლო 20-წუთიან მონაკვეთში სიმწრით იგერიებდა სტუმართა გამალებულ იერიშებს. ჩემპიონი მაშინ ბელგიელმა მეკარემ დონტმა გადაარჩინა და 1:0-ის შენარჩუნებაში ლომის წილიც დაიდო.

დღეს მასპინძლების სასარგებლოდ მხოლოდ ერთი ფაქტორია — საკუთარი კედლები. ის კი, რომ „დინამო“ მაინც „დინამოა“, სასაცილოდ არ ჰყოფნის კარნევალეს. იტალიელისთვის უცხოა საქართველოს ჩემპიონის სინდრომი. სინიორ ჯანის მენტალიტეტი ქართული საფეხბურთო კომპლექსისგან თავისუფალია და გუნდის ფსიქოლოგიურად განწყობა ჩვენ მწვრთნელებზე ათჯერ უკეთ ძალუძს.

პროგნოზი — უშეღავათო ბრძოლა და ცოტა გოლი.

„ა“ ზონის ერთპიროვნული ლიდერი მეზობელ სამტრედიელებს მასპინძლობს. ნაკლებად მოსალოდნელია, „იბერიამ“ ქუთაისში გაიბრწყინოს. საჩემპიონო ამბიციით შეპყრობილი „ტორპედოსთვის“ სოსო ფრუიძის შეგირდებთან იაღლიში თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. ყიფიანს მწარედ ახსოვს პირველ ეტაპზე უსუსტეს „ხობთან“ დაკარგული 2 ქულა და საეჭვოა, ტორპედოელები თავდაჯერებულნი გაუშვას მოედანზე.

ბოლნისში დედა შვილს არ აიყვანს ხელში. სატურნირო ცხრილის თანაბარქულებიანი მეზობლების დავაში სასწორი ოდნავ მასპინძლებისკენ იხრება, რადგან „კოლხეთი“ გადაღლილი ეწვევა ქვემო ქართლს. მართალია, სათასო მატჩში ფოთელები ბათუმში დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, მაგრამ მხოლოდ ბოლო 15 წუთში დანებდნენ კარნევალეს გუნდს და საკმაო ძალაც შეალიეს მეტოქეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „კოლხეთს“ დისკვალიფიკაციამოხდილი ჯონი შალამბერიძე შეუერთდა და მთელი აქცენტი ჩემპიონატზე გადაიტანა, მაშინ „სიონის“ უპირატესობა მინიმუმამდე მცირდება და „თემურ სტეფანიაზე“ ფრის სუნიც დატრიალდება. ეს კი „ვიტ ჯორჯიას“ აძლევს ხელს.

თავად ვეტერინარები გორს უნდა სწვეოდნენ, მაგრამ... საქართველოს პრეზიდენტი საარჩევნო კამპანიის მორიგ გასვლას ქართლში გეგმავს და ფეხბურთი მოიცდისო, უთქვამთ ფედერაციისთვის. თქვენი არ იყოს, მეც ვერ გავიგე, „რა შუაშია აქ გუდაური“.

მხარეთა მოლაპარაკებების შედეგად მატჩი მცხეთაში გადმოიტანეს და თუ საპრეზიდენტო არჩევნებს მეორე ტური არ დასჭირდა, 6 მაისის შეხვედრა ამ გუნდების მონაწილეობით უთუოდ გორში შედგება.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სერიოზულად კი ჩათვალეთ, რომ „ვიტ ჯორჯია“ 3 ქულას ჩაიწერს აქტივში. მეორე ეტაპზე კი გორს კვლავ უფეხბურთოდ მოუწევს ცხოვრება 1 აპრილამდე.

„ბ“ ზონაში მასპინძლების უპირატესობა იკვეთება. ერთადერთი სიურპრიზის შემოთავაზება კილასონიების „გორდას“ ძალუძს, მაგრამ სტუმრად ზედიზედ 2-ჯერ მომგები „მერანი“ პირველ შინაურ შეხვედრას მართავს და საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ თავს არ შეირცხვენს. „გორდას“ დისკვალიფიცირებული მცველი ბექური არ ეყოლება. იმავე მიზეზის გამო ავჭალელები ილურიძეს მოისაკლისებენ. მისი ორი თანაგუნდელი — ხორხელი და როსტიაშვილი შეუძლოდაა და ამიტომაც მოგახსენეთ სურთაველთა შესაძლო სიურპრიზზეც.

„ლოკომოტივი“ — „სამგურალის“ წყვილზე ლაპარაკი ზედმეტია. რკინიგზელებს ბოღმა ახრჩობთ. თასის შარშანდელი გათამაშების ნახევარფინალში წყალტუბოელებმა „ლოკომოტივი“ იმსხვერპლეს და რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებს წყენა დღემდე არ განელებიათ. თავისებური რევანში „შევარდენზე“ შედგება, რადგან კვირას „ეროვნულზე“ ოვალური ბურთი გაგორდება, ასპარეზი ქართველ და ჰოლანდიელ მორაგბეებს დაეთმობათ.

ჯონი ჯანელიძის „არსენალს“ თსუ ერაძის გარეშე ეწვევა. „ისანზე“ არმიელები მეტწილად სტაბილურად თამაშობენ და, ალბათ, სტუდენტების წინააღმდეგაც ასე იქნება. არ მგონია, მასპინძლებმა სამი ქულის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვან. წინააღმდეგ შემთხვევაში — მშვიდობით, პირველო ლიგავ!

ლუჩო მესინას და ჯანი კარნევალეს (შუაში) ემოციები დღესაც მოუჭარბდებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტო

იგივე უნდა ითქვას რამაზ მუმლაძის „თბილისზეც“. „ხობს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ზურაბ აიანადი დააკლდება და მისი შემცვლელის მოძებნა გაუჭირდება. თუ „თბილისის“ შემადგენლობას თვალს გადავავლებთ, უთუოდ გაგიკვირდებათ, ორივე მატჩი როგორ წააგოო და მართალიც იქნებით. თუმცა ფეხბურთს მარტო გვარ-სახელები არ თამაშობენ და რამაზ მუმლაძეს ამ საკითხზე სერიოზულად დაფიქრება მართებს.

...და დღეს, „ეროვნულზე“, „დინამო“ — „ბათუმია“. თუ ივნისში „ბერიკონის“ საღამოზე მოხვედრის არანაირი შესაძლებლობა არ გექნებათ, სტადიონზე მაინც მიბრძანდით და ფეხბურთით გამოიკვებეთ.

ხვიჩა სანიკიძე

«ა» ზონა

თბილისი. „ეროვნული“. 18 მარტი. 15 საათი

დინამო — ბათუმი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ქუთაისი. „ტორპედო“. 18 მარტი. 15 საათი

ტორპედო — იბერია

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 18 მარტი. 15 საათი

ვიტ ჯორჯია — დილა

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. შილაკაძე (თბილისი), ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); მ. მალაღურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 18 მარტი. 15 საათი

სიონი — კოლხეთი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

«ბ» ზონა

თბილისი. „შევარდენი“. 19 მარტი. 15 საათი

ლოკომოტივი — სამგურალი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), გ. მარღიშვილი (ქარელი); ნ. მალაღურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. „სინათლე“. 19 მარტი. 15 საათი

მერანი — გორდა

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

თბილისი. „ისანი“. 19 მარტი. 15 საათი



არსენალი — თსუ



მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), მ. ელიკაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. „ეროვნული“. 20 მარტი. 15 საათი



თბილისი — ხობი



მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	1	1	0	0	3:1	2	21	1	1	0	0	3:1	2	3	0	0	0	0	0:0	0	0
2 დინამო	2	0	2	0	0:0	0	19	1	0	1	0	0:0	0	1	1	0	1	0	0:0	0	1
3 ბათუმი	1	1	0	0	6:0	6	16	1	1	0	0	6:0	6	3	0	0	0	0	0:0	0	0
4 ვიტ ჯორჯია	2	1	1	0	1:0	1	16	1	1	0	0	1:0	1	3	1	0	1	0	0:0	0	1
5 სიონი	2	1	0	1	4:2	2	14	1	1	0	0	4:1	3	3	1	0	0	1	0:1	-1	0
6 კოლხეთი	2	0	1	1	1:3	-2	14	1	0	1	0	0:0	0	1	1	0	0	1	1:3	-2	0
7 იბერია	2	1	0	1	2:7	-5	12	1	1	0	0	2:1	1	3	1	0	0	1	0:6	-6	0
8 დილა	2	0	0	2	2:6	-4	10	0	0	0	0	0:0	0	0	2	0	0	2	2:6	-4	0

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
9 ლოკომოტივი	2	2	0	0	5:1	4	15	1	1	0	0	4:1	3	3	1	1	0	0	1:0	1	3
10 მერანი	2	2	0	0	2:0	2	14	0	0	0	0	0:0	0	0	2	2	0	0	2:0	2	6
11 გორდა	1	1	0	0	2:0	2	11	1	1	0	0	2:0	2	3	0	0	0	0	0:0	0	0
12 თსუ	2	1	0	1	1:1	0	11	2	1	0	1	1:1	0	3	0	0	0	0	0:0	0	0
13 ხობი	2	1	0	1	3:5	-2	8	1	1	0	0	2:1	1	3	1	0	0	1	1:4	-3	0
14 თბილისი	2	0	0	2	0:3	-3	7	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	0:2	-2	0
15 სამგურალი	2	0	0	2	0:2	-2	6	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	0:1	-1	0
16 არსენალი	1	0	0	1	1:2	-1	5	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	1:2	-1	0

მაშალა, გალა 2

UEFA CUP

უეფას თასის მეოთხედფინალი. I წრე

არსენალი (ინგლისი)
2:0
ვერდერი (გერმანია)

1:0 ანრი (21), 2:0 ლიუნგბერგი (76)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, ლუფნი, სილვინიო, ლიუნგბერგი, ვიეირა, პარლოუ (ოვერმარსი 66), გრიმანდი, ბერხკამპი (კანუ 66), ანრი (შუკერი 77)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი, ფრინგსი, დაბროვსკი, აილტსი, ა. ჰერცოგი, ბოდე, აილტონი (შირენბეკი 83)
მწვრთნელი: თომას შაადი
გაფრთხილება: ჰერცოგი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
38 009 მაყურებელი

უეფას თასის მოპოვების ერთ-ერთმა ყველაზე რეალურმა კანდიდატმა, ლონდონის „არსენალმა" მშობლიურ „ჰაიბერიზე" ბრემენის „ვერდერს" უმასპინძლა და ტიერი ანრისა და ფრედერიკ ლიუნგბერგის გოლებით 2:0 დაამარცხა. ნახევარფინალში მოსახვედრად ინგლისელებმა საკმაოდ მყარი ნაბიჯი გადადგეს, მოუგეს მეტოქეს, რომელმაც თითქმის მთელი შეხვედრა ერთი თავდამსხმელით ჩაატარა. ბრაზილიელი აილტონი ბევრს ეცადა, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი გააკეთა და დევიდ სიმენის კარის მიმართულებით (მიმართულებით, თორემ კარში დარტყმები 14:0-ზე იყო) სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ, მატჩის უკანასკნელ წუთზე დაარტყა.

ლონდონელები 21-ე წუთზე დაწინაურდნენ. პატრიკ ვიეირამ დაახლოებით 40-მეტრიანი ზუსტი პასით ტიერი ანრი მოძებნა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ფრანგმა თავდამსხმელმა კი „ვერდერის" კარი დალაშქრა და ანგარიში გახსნა.

ორბურთიანი უპირატესობა „მეთოფეებს" შვედმა ფრედერიკ ლიურგბერგმა 76-ე წუთზე მოუპოვა, როცა გერმანელთა მცველებს ეფექტურად დაუსხლტა და ფრანკ როსტს მეორე გოლი გაუტანა.

კმაყოფილი გახლდათ ლონდონელთა თავკაცი არსენ ვენგერი, რომელმაც განაცხადა: „ერთობ კარგ შედეგს მივაღწიეთ, თუმცა ნახევარფინალის საგზური ჯერ ნამდვილად არ გაგვინაღდება. თუ ბრემენში კარგად ვითამაშებთ, მომდევნო ეტაპზე, ალბათ, გავალთ კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით შანსები 50-50-ზეა. ისიც გავითვალისწინოთ, რომ „ვერდერს" საპასუხო მატჩში მობილიზება და მიზნის მიღწევა ძალუძს. თუნდაც „ლიონთან" და „პარმასთან" მატჩები გავიხსენოთ, წინა სეზონების შედეგებზე რომ არაფერი ვთქვათ. საპასუხო შეხვედრაში ვეცდებით, სწრაფი გოლი გავიტანოთ" — ოპტიმისტურად დაასრულა საუბარი არსენ ვენგერმა.

განცდილი მარცხის მიუხედავად, ბრემენელთა თავკაცი თომას შაადი იმედს არ კარგავს. „ვერდერს" დღეს საუკეთესო შეხვედრა ნამდვილად არ ჩაუტარებია — ამბობს იგი — მაგრამ მჯერა, რომ „არსენალთან" ორბურთიანი უპირატესობის აღმოფხვრა შეუძლებელი ნამდვილად არ არის. წინა ეტაპზე „ტოტენჰემისა" და „კაიზერსლაუტერნის" დუელი გავიხსენოთ. „კაიზერმა" ლონდონელები სწორედ მსგავს სიტუაციაში გამოთიშა ასპარეზობიდან. ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინ არის. რა თქმა უნდა, 0:1 რომ წაგვეგო, გაცილებით მეტი შანსი გვექნებოდა და ფავორიტად კაცი ძნელად თუ მიიჩნევდი ვინმეს".

„ვერდერის" თავკაცი გულშემატკივრებს საპასუხო მატჩში ლამაზ სანახაობას და ბოლო წუთამდე ბრძოლას შეპპირდა. „ერთი კვირის შემდეგ სრულიად განსხვავებულად ვითამაშებთ. დარწმუნებული ვარ, მაყურებელი მხარდაჭერას არ მოგვაკლებს, თამაშიც საკმაოდ საინტერესო და პრინციპული იქნება. ყოველმხრივ ვეცდებით, გუნდის ტრადიცია და სტადიონზე მოსული ქომაგი არ შევარცხვინოთ".

მალიორკა (ესპანეთი)
1:4
გალათასარაი (თურქეთი)

0:1 არიფი (44), 0:2 ბელოზოღლუ (48), 0:3 ჰაქან შუქური (59), 0:4 ოკანი (65), 1:4 ლორენი (78)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ოლაიზოლა (არმანდო 50), სივიერო, ნადალი, მიგელ სოლერი (იბაგასა 50), ლორენი, ენგონგა, ჩიჩი სოლერი, ი. სტანკოვიჩი, კარლოსი, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: მარიო გომესი
გალათასარაი: ტაფარელი, დავალა უმითი, კაპონე, ბიულენთი, ერგუნი, ოკანი (აპმეთი 88), ჰაჯი (ჰასან სასი 80), სუათი, ბელოზოღლუ, არიფი, ჰაქან შუქური (მარსიო სანტოსი 85)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
20 000 მაყურებელი

მერვედფინალში დორტმუნდში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მთელი სტამბოლი „მაშალა გალას" ძახილით გამოეფინა ქუჩებში. ალბათ, ახლაც ასე იყო... პალმა დე მალიორკას „სონ მოიხზე" მისულ 20 ათას მაყურებელს შეეძლო, შინ დარჩენილიყო — სტადიონზე მათთვის სასიკეთო არაფერი ხდებოდა.

გეხსომებათ, რომ მალიორკელებმა მერვედფინალის საშინაო მატჩში „მონაკო" 4:1 დაამარცხეს. ახლა კი ყველაფერი უკუღმა შეუბრუნდათ. არადა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მთელი პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა რად გინდა, გოლი ვერ შეაგდეს.

ტაიმის დასრულებას ერთი წუთი უკლდა. კუნძულელები ბრძოლას შესვენების შემდეგ გააგრძელებდნენ, რომ არა... ამ დროს თურქები მოკლე პასებით მეტოქის კარს მიუახლოვდნენ და საჯარიმოს კუთხიდან არიფ ერმედმა ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

დაიწყო მეორე ტაიმი და სტუმრებმა კიდევ ერთხელ შეარხიეს ლეო ფრანკოს კარის ბადე. ემრე ბელოზოღლუმ მაღალი ბურთი მიიღო და სანამ მალიორკელი მცველები გონს მოეგებოდნენ, ანგარიში 0:2 გახდა.

„მალიორკა" გატყდა. ტრიბუნებიდანაც მხოლოდ „გალათასარაის" გულშემატკივრების გამამხნევებელი შეძახილები ისმოდა. 59-ე წუთზე ესპანელი მცველები შეცდნენ — გრძელი პასის ჩაჭრა ვერ შესძლეს და ჰაქან შუქურმა მესამე შეაგდო. შემდეგ ოკან ბურუქის ჯერიც დადგა. მან არიფ ერდემისგან პასი მიიღო, მეკარე მოატყუა და — 4:0.

თასების მფლობელთა თასის უკანასკნელი გათამაშების ფინალისტი „მალიორკა" კი მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა. თუმცა ლორენ ბისანს კლაუდიო ტაფარელის კარის დალაშქვრისას სიხარული არ ეტყობოდა — თამაში წაგებული გახლდათ. მასპინძლებს ვერც იუგოსლავიელი იოვან სტანკოვიჩი დაეხმარა, არადა, მატჩის წინ მისი დიდი იმედი ჰქონდათ. სტანკოვიჩმა ერთი ეგ იყო, საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ბურთი ძელს გაარტყა.

ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ — „გალათასარაი" ნახევარფინალშია. თურქებს რაღაც სასწაული თუ შეუშლის ხელს, სასწაულები კი მეტად იშვიათად ხდება. აღსანიშნავია, რომ „გალას" ევროტურნირების ნახევარფინალში აქამდე ერთადერთხელ გაუღწევია. ეს 1989 წელს მოხდა და მაშინ ჩემპიონთა თასზე „სტიაუასთან" ორი მატჩის ჯამში 1:5 წააგო.

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ვერდერი 2:0. ბრემენელი მაიკ ბარტენი (№33) ლონდონელ ნვანკვო კანუს აკავებს

ლიდსი (ინგლისი)
3:0
სლავია (ჩეხეთი)

1:0 უილკოქსი (39), 2:0 კიუელი (54), 3:0 ბოიერი (59)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰაალანდი, რადებე, ჰარტი, ბოიერი, მაკფაილი (ჰაკერბი 77), ბაკე, უილკოქსი, კიუელი, ბრიჯისი (ა. სმიტი 87)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
სლავია: ჩერნი, ვლჩეკი (რ. ვაგნერი 55), პეტროუსი, ლ. დოშეკი, ულიხი, დოშტალეკი (ჰისკი 64), ჰ. ჰორვატი, კოლერი, ტ. დოშეკი, კუჩარი, რადა
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
გაფრთხილება: პეტროუსი, ბოიერი, რადა, ულიხი
გაძევება: რადა (76)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
39 519 მაყურებელი

„სლავიას" თავკაცი ფრანტიშეკ კიპრო თითქმის დარწმუნებულია, რომ მისმა გუნდმა ნახევარფინალში მოხვედრის შანსი დაკარგა და „ლიდს იუნაიტედთან" საპასუხო მატჩს, ალბათ, არავითარი პრინციპული მნიშვნელობა აღარ ექნება.

ჩეხთა მწვრთნელს ხელი ჯეისონ უილკოქსმა, ჰარი კიუელმა და ლი ბოიერმა ჩააქნევინეს, რომლებმაც „სლავიას" კარი სამჯერ დალაშქრეს და „ლიდს" იუნაიტედი" (თუ სასწაული არ მოხდა) ნახევარფინალში გაიყვანეს.

ჩეხებმა შეძლებისდაგვარად იბრძოლეს, მაგრამ ამბიციური „ლიდსის" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და საბოლოოდ დამარცხდნენ. „სლავიას" ფეხბურთელიც გაუძევეს, რამდენიმე წუთიან მონაკვეთში მიღებული ორი ყვითელი ბარათის გამო გუნდის კაპიტანმა კარელ რადამ მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე მოედანი დატოვა, თუმც ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა და „ლიდსმა" 3:0 გაიმარჯვა.

ჩეხთა თავკაცმა ფრანტიშეკ კიპრომ მატჩის შემდეგ განაცხადა: „ლიდსთან" სტუმრად გამარჯვება არამცთუ ჩვენ, საკმაოდ გამოცდილ გუნდებსაც უძნელდებათ. „სლავიას" საამისო გამოცდილება ჯერჯერობით ნამდვილად აკლია. გამოგიტყდებით, 40 ათასმა გულშემატკივარმა და სტადიონზე შექმნილმა ატმოსფერომ დაგვაბნია, განსაკუთრებით პირველ 10 წუთში. საგრძნობლად გაუჭირდა დაცვას. სამართლიანად ვიტყვი, „ლიდსმა" დღეს უშეკრად გვაჯობა და [illegible] ხურებულად გაიმარჯვა. ვეცდებით, პრაღაში თავი გამოვიჩინოთ და სხვაგვარად ვითამაშოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან ძნელი იქნება."

მწვრთნელმა გუნდის კაპიტნის გაძევებაზეც ილაპარაკა: „10 კაცით დარჩენილებმა ძალების მობილიზება ვცადეთ და გოლი აღარ გაგვიშვია. მთელი მატჩი რომ დარჩენილი 15 წუთივით გვეთამაშა, უკეთესი იქნებოდა. საბოლოოდ, ალბათ, არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ რაღაცის გაკეთება კიდევ შეგვძლებია".

„ლიდსის" გახარებულმა თავკაცმა დევიდ ოლირიმ მატჩის შემდეგ აღნიშნა: „ფეხბურთში ყველაფერი ხდება და სასწაული ყოველ წამს მოსალოდნელია, მაგრამ მჯერა, რომ სამბურთიან უპირატესობას აღარ დავთმობთ. საპასუხო შეხვედრაში მეტოქეს თავისუფლად თამაშის უფლებას არ მივცემთ და ნახევარფინალშიც, ალბათ, ჩვენ მოვხვდებით".

სელტა (ესპანეთი)
0:0
ლანსი (საფრანგეთი)

სელტა: პინტო, სელადესი, კასერესი, სერხიო, ხუანფრანი, მაკელელე, ჯოვანელა (ველასკო 65), გუსტავო ლოპესი, კარპინი, რევივო (ჰუგენდორპი 65), ბენი მაკკარტი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ლანსი: ვარმუზი, ე. სიკორა, პიერ-ფანფანი, ისმაელი, კუენდრუ (დეზირე ეობი 87), ნიარკო, ბლანშარი, ბრუნელი (ლაშორი 82), დაკურტი, სახო (მორეირა 67), ნუმა
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
27 000 მაყურებელი

ვიგოს „ბალაიდოსზე" მისულ 27 ათას ქომაგს იმედები გაუცრუვდა. გასაგებიცაა, „სელტამ" უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში ჩვიდმეტი გოლის გატანა მოახერხა, მათ შორის ოთხის — ედვინ ვან დერ სარის კარში და ეს „ლანსი" ვინ უნდა ყოფილიყო. მაგრამ არა, ფრანგებმა სიმტკიცე გამოიჩინეს და საპასუხო მატჩის წინ ჩინებულ ხასიათზე არიან.

შეხვედრა, ცხადია, მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში იგრძნობოდა ვიგოელთა ზეწოლა. „სელტას" მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა 65-ე წუთზე კიდევ ერთი თავდამსხმელი, რიკ ჰუგენდორპი შეიყვანა მინდორზე, ხოლო მცველი ალბერტ სელადესი ნახევარდაცვაში გაამწესა. ხუანფრანმაც შეტევის ხაზზე გადაინაცვლა, გოლი კი არ გადიოდა. არადა, „სელტა" მომენტების უქონლობას არ უჩიოდა. ჯერ პირველ ტაიმში გუსტავო ლოპესი და ვალერი კარპინი იყვნენ მიზანთან ახლოს, მაგრამ სიზუსტე ოდნავ დააკლდათ. აშკარად არ გაუმართლა ბენიმ მაკკარტისაც. მეორე ტაიმში იყო — კლოდ მაკელელემ კარგად გახსნილი სამხრეთაფრიკელი შენიშნა და პასი მისცა, მაკკარტიმ ერთი შეხებით უძლიერესად დაარტყა. ფრანგთა მეკარე ვარმუზმა ბურთი უხერხულად მოიგერია და ის იყო, კარის ხაზი უნდა გადაეკვეთა, რომ ვალერიენ ისმაელმა სიტუაცია განმუხტა. ერთი კარგი შანსი ჰუგენდორპსაც ჰქონდა, მაგრამ არც მის თავურს მოჰყოლია გოლი.

სტუმრები კი ძირითადად თავს იცავდნენ, რაც კარგად გამოსდიოდათ. 85-ე წუთამდე მათ, ფაქტობრივად, არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ, მატჩის მიწურულს კი შეტევაში გართული მასპინძლები კინაღამ დასაჯეს — ლანსელებმა კონტრიერიში წამოიწყეს. ოლივერ დაკურტმა პასკალ ნომას გრძელი პასი ჩაწოდა, ამან სელტელი მეკარე ხოსე მანუელ პინტო მოატყუა და ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ... თანამსაჯმა ალამი ასწია, თამაშგარე მდგომარეობა არისო.

ესპანელები, წყვილში ფავორიტად რომ ითვლებოდნენ, უეფას თასზე მეთვრამეტე (იქნებ მეტიც) გოლის გატანას ლანსში შეეცდებიან. თუმცა ვიგოური მატჩის შემდეგ ფრანგებსაც გვარიანი ამბიცია გაუჩნდათ — მეოთხედფინალში მათ პირველად გააღწიეს და ეგებ ნახევარფინალსაც შეეჭიდონ.

REUTERS მალიორკიდან

მალიორკა — გალათასარაი 1:4. თურქები მეტოქის სენსაციურად დამარცხებას ზეიმობენ

პირველი წრის მატჩი. 7 ნოემბერი. აჩრდილი დადის „უაით ჰართ ლეინზე“...

თბილისთან ახლოს, ჰაიბერიზე

ინგლისი

კარგი სანახაობაა, ღმერთმანი — „არსენალი“ „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ. კვირას, 19 მარტს პირველი მას შემდეგ, რაც 1919 წლის ამბები გამოქექეს.

თამაში მეთოფეთა მამულში, „ჰაიბერიზეა“. ესეც კარგია. თამაშამდე შეგიძლიათ შეიაროთ „თბილისში“, ლონდონის სამ ქართულ რესტორანთაგან ერთ-ერთში, და მონატრებული ხაჭაპურითა თუ ხინკლით გაინელოთ მატჩისწინა დაძაბულობა. მთავარია, მეტროს სადგური არ აგერიოთ: „არსენალის“ სტადიონზე მოსახვედრად „ფინსბერი პარკზე“ უნდა ამოხვიდეთ, შემდეგი გაჩერება კი „სევენ სისტერსია“ — ერთი უშნო და უშველებელი ქუჩა, „უაით ჰართ ლეინით“, „ტოტენჰემის“ ულამაზესი ბუნაგით რომ მთავრდება.

ჩრდილოლონდონური დერბი. დერბი ბევრნაირია — ზოგი ნამდვილი (ვთქვათ, სიტი — იუნაიტედი), ზოგი გამოგონილი (მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიური), ზოგი უბრალოდ სიტყვის მასალად იხმარება (თუნდაც, თბილისური). „არსენალი“ — „ტოტენჰემი“ ნამდვილი დერბია, ერთ-ერთი იმ შვიდთაგანი, ინგლისს რომ აზანზარებს.

ამ ორი კლუბის შუღლი ლამის საუკუნეა, გრძელდება. თავიდანვე მტრობდნენ ერთმანეთს, 1919-ში კი...

პირველი დივიზიონის (ახლანდელი პრემიერლიგა) გაზრდა გადაწყდა. ოცდან 22-მდე. თითქოს საქმე ერთობ იოლად უნდა გადაწყვეტილიყო: აღარ გაეგდოთ წინა, 1913-14 წლების (მერე ხომ პირველი მსოფლიო ომი იყო) ჩემპიონატის პირველ ლიგაში ბოლო ორ ადგილზე გასული „ჩელსი“ და „ტოტენჰემი“ (რა დრო იყო?!) და ქვედა ლიგის ორი გამარჯვებულიც ავტომატურად პირველში დაესვათ.

დადგა ფეხბურთის ასოციაციის სხდომის დღეც. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორელიგელები („დერბი ქაუნთი“ და „პრესტონი“) ერთხმად დაიწინაურეს. „ჩელსიზეც“ ყველამ თავი დაიქნია, დარჩეს პირველ დივიზიონშიო. მერე კი სასწაული დაიწყო: სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა მაკკენნამ უცნაური წინადადება წამოაყენა — პირველი დივიზიონის 22-ე წევრად... („ტოტენჰემი“? არა; მეორე ლიგაში მესამე ადგილზე გასული „ბარნსლი“? არა; ამის მომდევნო „ვულვერჰემპტონი“? არა)... „არსენალი“ წამოაყენა. არადა, წინა სეზონში მეთოფეებს მეორე დივიზიონის მეხუთე ადგილზე გაუსრულებიათ ჩემპიონატი. მაკკენნის არგუმენტი, ცხადია, მეტად უსუსური იყო — „არსენალს“ უფრო მეტი სეზონი უთამაშია პირველ დივიზიონში, ვიდრე „ტოტენჰემსო“. ასეა თუ ისე, კენჭი იყარა ანუ ფარული ხმის მიცემა გაჩაღდა. „არსენალმა“ 18 ხმა მიიღო, „ტოტენჰემმა“ 8, „ბარნსლიმ“ და „ვულვერჰემპტონმა“ კი 5-5. ახდა ჰენრი ნორისის ოცნება.

ცნობილი ბიზნესმენი და პარლამენტის წევრი ჰენრი ნორისი „არსენალის“ პრეზიდენტიც გახლდათ. ჰოდა, საეჭვოც აღარა იყო — არსენალის“ პირველ დივიზიონში უკანონოდ დასმა სწორედ მისი გაიმასჭნებული იყო და, ცხადია, საამისოდ ჯიბეზეც ხელი გაიკრა. ისიც გაირკვა, რომ იმ სკანდალური სხდომის წინა დღეებში ნორისი ლიგის თითქმის ყველა დანარჩენი გუნდის პრეზიდენტს დალაპარაკებია. რა და როგორ იყო, კაცმა არ იცის, ფაქტი კი ორია: იმ სხდომის ოქმი დაკარგულია, „არსენალი“ კი დღემდე ინგლისის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონშია.

ამ ამბის შემდეგ, რასაკვირველია, ორი მეზობელი გუნდის არცთუ გულთბილი ურთიერთობა შუღლსა და სიძულვილში გადაიზარდა. 1928 წელს ამას ისიც დამატა, „არსენალს“ ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩის („პორტსმუთთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“) შინ განზრახ წაგება რომ დაბრალდა. ამან, მიხვდებოდით, „ტოტენჰემი“ შეიწირა — შეთოფეებს ქულაც რომ აეღოთ იმ ორ შეხვედრაში, მეზობლებს ლიგაში დატოვებდნენ.

...ხვალინდელ მატჩს ორივე გუნდი კარგ გუნებაზე ხვდება — „არსენალმა“ ბრემენელებთან გამარჯვებით უეფას თასის ნახევარფინალისკენ გაიწია, „ტოტენჰემმა“ კი წინა ტურში „საუთჰემპტონს“ 7:2 მოუგო. ამნაირად (7 და მეტი გოლი ერთ მატჩში) „მამლებმა“ ბოლოს 16 წლის წინ, უეფას თასზე ირლანდიურ „დროგჰედასთან“ გაიხარეს, სულ კი თავის ისტორიაში, ასეთი რამ 29-ჯერ მოუხერხებიათ.

მოკლედ, განწყობა დიდებულია, შემართება — საკმარისზე დიდი.

ყველაფერთან ერთად, „ჰაიბერიზე“ ჯორჯ გრემი ბრუნდება. „არსენალის“ ყოფილი მოთამაშე და შემდგომში მწვრთნელი, რომლის საკუთარ ეზოსაც ყვავილებით გაწყობილი „არსენალის“ ემბლემა ამშვენებს, ამჟამად „ტოტენჰემის“ მწვრთნელია. ძლივს შეეგუა სევენსისტერელი ფანობა ამ კაცს. „მამლების“ მწვრთნელად რომ ნიშნავდნენ, ლამის პიკეტები მოუწყვეს, არსენალური სულის კაცია და ჩვენ გუნდს დათარსავსო. მაგრამ გრემმა გაამართლა — მარტო ლიგის თასის მოგება რად ღირს.

გრემმა და მისმა ბიჭებმა შარშან ნოემბერშიც იმარჯვეს სეზონის უმნიშვნელოვანეს მატჩთაგან პირველში, როცა „უაით ჰართ ლეინზე“ „არსენალს“ 2:1 მოუგეს. მშვიდობიანი თამაში იყოო, ვერავინ იტყვის — ორი გაძევებული სტუმარი (ფრედრიკ ლიუნგბერგი და მარტინ კიოუნი) ბევრზე მეტყველებს.

მშვიდობა არც ხვალაა მოსალოდნელი.

აჩრდილი დადის „ჰაიბერიზე“, აჩრდილი ჰენრი ნორისისა.

დავით მჯედლიშვილი
ლონდონიდან

1971 წელი. უემბლი. არსენალელი ჯორჯ გრემი (მარცხნივ) ასოციაციის თასის აღებას ზეიმობს

გიო ახვლედიანის

სვეტი

მისტერ სუნი ქუალა ლუმპურიდან

მთელი თბილისი ტოტალიზატორშია. ადამიანები ბედს ცდიან. რა უნდა იყოს ამაში მიუღებელი? იშოვი ლარიანს, გადააბამ წყვილებს და თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ფულსაც მოიგებ. თუ ყველაფერი კარგად წავიდაო... განა ფეხბურთი ის თამაშია, რომ ყველაფერი კარგად წავიდეს? ანუ ისე წავიდეს, როგორც მასზე ფსონის ჩამსვლელს სწადია? ბურთი ჩემოდანი არ გახლავთ, რომ აიღო და კარში ჩადგა. ბურთი მრგვალია. ამიტომ, ფულის მოგება ლამის ისევე რთულია, როგორც გუნდისთვის თამაშის მოგება.

ძველი და კეთილი დროის გამონათქვამი, მოგება და წაგება ძმები არიანო, დღეს აღარ ჭრის. მოგება და წაგება ძმები კი არა, მტრები არიან. თანაც, ჩვენ იმგვარი რთული ცრურწმენის ხალხი ვართ, რომ მთელი სიცოცხლე ყოველ საქმეში ქრთამის მიცემა გვიჭირდა, ისიც ვიცოდით, რომ ფული ხელფასის იერით კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ იმით რომ სადღაც მიწისქვეშეთში „კეთდება“.

ამიტომ ქვითრის შემვსებ ადამიანს წმირად უჭირს დაიჯეროს, რომ წინდაწინ ვერ გამოიცნო, ვთქვათ, ოთხი მატჩის შედეგი. მას მიაჩნია, რომ ყველაფერი სწორად გათვალა, შეაფასა და სავარაუდო შედეგიც სწორად განსაზღვრა. მაგრამ საქმეში ჩაერია ყოვლისშემძლე საერთაშორისო სინდიკატი, რომელიც მთელი მსოფლიოს ტოტალიზატორებს აკონტროლებს და საქმე ისე აიწყო, რომ მილიონობით საწყალ მეფსონეს კი ბრ მოეგო, არამედ თვითონ. სინდიკატმა გუნდები დაქრთამა (ყოველთვის ქრთამავს) და თავის სასარგებლოდ დაასრულებინა შეხვედრა.

ძალიან ძნელია ჩვენებრ კორუმპირებულ მხარეში ადამიანი გადაარწმუნო, რომ ასე არ არის.

მის წაგებას ყოველდღიურობაში გამართლება აქვს — კორუფცია.

ამის წაგებას თამაშში ასევე უნდა ჰქონდეს გამართლება — კორუფცია.

ამიტომ, ჯობს ვთქვათ, ან გამოვიგონოთ ის ყოვლისმომცველი ტოტალიზატორთა იატაკქვეშა მეუფე, რომელიც აკონტროლებს მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის გუნდებსა და ფსონებს, თავისი გიგანტური მაფიოზური ქსელით: დღეს ვან გაალს შეაშინებს, ხვალ ტრაპატონის, ზეგ კი ფერგიუსონს. მე ასე წარმომიდგენია, რომ ეს მოღვაწე მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში უნდა საქმიანობდეს (იქაური ტოტალიზატორები განსაკუთრებით სახელგატეხილია). დიდი და გასიებული, ოფლიანი ჩინელი იჯნება, თეთრი პერანგით და შავი ჰალსტუხით და მობილური ტელეფონით. მისტერ მინ სუნი ერქმევა და თავის ოფისში ვენტილატორთან მჯდომი იმ თავის მობილურით აგვარებს საქმეებს. ხელში ფსონის ქაღალდი უჭირავს და უხილავ მოკავშირეებს ეუბნება:

— ვიგოში ნიჩია მინდა... „კრემონა“ დაწვეს... „ბარსელონამ“ პირველ ტაიმში არ გაიტანოს...

ყველაფერი სრულდება. თუ რომელიმე კლუბი გაჯიუტდა, მომავალ კვირაში დაისჯება — მსაჯი წააქცევს.

სხვანაირად მე ვერ წარმოვიდგინე. სხვანაირად წარმოდგენა წარმოუდგენელია ჩვენს მხარეში.

სპორტული ინფორმაციის ბიურო

კითხვა — პასუხი

— *რა გაცინებს?*

— აბა, გააღე პირი და თქვი AAA...

— *რა?*

— გააღე პირი და თქვი, სერია AAA!

— *არ იცნობ შენ მაგათ, რაც არ უნდა იყოს, გაფრინდებიან.*

— როდის, გაისად?

— *წელსაც.*

— წელს ვინღა გაფრინდება?

— *თუნდაც „ლაციო“.*

— „ლაციო“ სახლში თუღა გაფრინდება, გამოხტება ფლო და გააფრენს სახლში.

— *იტალია მაინც რჩება ევროპის საკლუბო ლიდერად.*

— იცი, რას გეტყვი? ეგ განწირული კაცის შეძახილია.

— *ასეთი რამეები ხდება.*

— ფლორენცია გადამწვარა, რერო, თავის დუქნებიანადო, რერო...

— *აი, სულელი, ფლორენცია ვალე კი არ არის, იქ რომ დუქნები იდგას. ფლორენციაში სასახლეებია...*

— უდინეზე გადამწვარა, რერო...

— *უდინე ჰქვია. „უდინეზე“ გუნდის სახელია.*

— ერთი იმ კაცის გვარი გამახსენე, აი, მარტის თვემდე გენიოსი რომ იყო.

— *კარგი ერთი, ნუ დაიჩემებ ხოლმე.*

— რა გვარია? ჩვენებურ მებაჟეს ჰგავს. გამოვიდა და თქვა: იუვენტუსი, ეს არის ცხრაკლიტული...

— *ანჩელოტი.*

— ო, დიახ. ახლა სად არის?

— *იცი რას გეტყვი?*

— მშვენივრად ვიცი, რასაც მეტყვი. რაიმე ამპარტავნულს გამოიგონებ...

— *არაფერიც. „იუვენტუსს“ საერთოდ არ აინტერესებს ეგ თასი. „იუვენტუსი“ სკუდეტოსთვის იბრძვის...*

— სკუდეტო დღითიდღე კარგავს მნიშვნელობას.

— *და გაზა?*

— გაზა აქ რა მოსატანია?

— *გაზას შერჩა მნიშვნელობა და სკუდეტომ დაკარგა, არა?*

— მგონი უკეთესია სერია A თანდათან შეუერთდეს შვეიცარიის პირველობას. გაგიმაზავ, სკუდეტოს „გრასჰოპერი“ მოიგებს.

— *უკეთესი იყო გეთქვა, პრემიერლიგა სერია B-დ გადაკეთდესო.*

— რატომ?

— *თუ ინგლისურ გუნდს იტალიელი არა ჰყავს, გოლი ვერ გააქვს.*

— ეს რომელს, „მანჩესტერს“?

— *ნუ, ერთი „მანჩესტერი“...*

— და „არსენალს“ ხომ სულ კალაბრიელები ჰყავს...

— *კარგი, ეგეც მეორე ერანიო, კარბონე, ფესტა, დი კანიო...*

— აუჰ, არ ჩამოთვალა სამეფო გვარდია?

— *პრემიერლიგას კი ყოფნის და...*

— ჰო, „ლივერპულიც“ სავსეა იტალიელებით...

— *„ჩელსი“, „ჩელსი“ რომ ჩემპიონთა თასს აიღებს, ინგლისს ჩაეთვლება?*

— „ჩელსიში“ ორი პენსიონერი იტალიელია, ერთი მწვრთნელი და მეორეც ძოლა.

— *ბევრი გყავს ეგეთი პენსიონერები ინგლისში?*

— იტალიას კი ეყოფა.

ჰაეროვან კოცნას არ გავუგზავნით...

დღეს ბარსელონელი კაცები შინ არ ივახშმებენ

ესპანეთი

მოგეხსენებათ, ესპანეთში „ბარსელონა“ — „რეალის“ შეხვედრა რასაც ნიშნავს. მაგრამ მიმდინარე სეზონში საქმე იმგვარად შეტრიალდა, „კამპ ნოუზე“ „დეპორტივოს“ სტუმრობა არანაკლები მოვლენაა.

რა ხანია, კატალონიელები გალისიელებს კვალში უდგანან, დაწევა და გადასწრება კი ვერა და ვერ შეძლეს. იყო დრო, „ბარსელონას“ ლიდერთან ორი ქულაღა აშორებდა, თუმცა მათ შორის ათქულიანი სხვაობაც გვახსოვს. ახლა ასეა — რომც გაიმარჯვოს, ვან გაალის გუნდი ირურეტასას ვერ უსწრებს, თუმც სახიფათოდ უახლოვდება. და თუ წააგებს? აი, ქომაგთა რისხვა მაშინ ნახეთ.

„ბარსელონას“ კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა ამბობს: „თუ დავმარცხდით, ჩემპიონობას ჰაეროვან კოცნას გავუგზავნით — დარჩენილ ცხრა თამაშში „დეპორტივო“ რვაქულიან უპირატესობას აღარ დაკარგავს. ამიტომ თქმაც არ უნდა, ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვერ გეტყვით, როგორ ემზადება „დეპორტივო“ დღევანდელი საღამოსთვის, ის კი ვიცი, რომ ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და მიზანს მივაღწევთ. „ბარსელონას“ მიმდინარე სეზონში ისე კარგად არ უთამაშია, როგორც ბოლო დროს თამაშობს.“

ხოსეპ გვარდიოლა

მართლაც, „რეალთან“ წაგების შემდეგ „ბარსა“ ზედიზედ აჩოქებს ყველას. „ვალიადოლიდი“, „ნუმანსია“, „ჰორტუ“ და „ჰერტა“ — ამ გუნდებმა კატალონიელთა იერიშების მოგერიება ვერ შეძლეს და ჯამში 17 გოლი გაუშვეს.

როგორ განწყობაზე არიან გალისიელები? „დეპორტივოს“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი როი მაკაი ირურეტას ჩანაფიქრს ამხელს: „მეტოქე პირველივე წუთებიდან გააფთრებით შეგვიტევს. ჩვენი მიზანია, მათი თავდამსხმელები გავაჩეროთ და მოგვიანებით თავადაც შევუტიოთ.“ ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ „დეპორტივოს“ გასვლაზე მოგება ძლიერ უჭირს. 1999 წლის 12 დეკემბერი — ეს ის თარიღია, როდესაც ამ გუნდმა ბოლო თამაში მოიგო სტუმრად. არადა, რა ხანია, ლიდერობას არავის უთმობს. მართლაც საოცარი ჩემპიონატია.

ბოლოს კი ისევ გვარდიოლას ნათქვამს მივუბრუნდეთ. კაპიტანმა თქვა: „დღეს საღამოს ბარსელონელი კაცები ოჯახებში არ ივახშმებენ, ისინი „კამპ ნოუზე“ იქნებიან.“

სევდიანარევი ზეიმი

ერთი დღეც და სახელგანთქმული „აიაქსი“ ასწლოვან იუბილეს იზეიმებს. „აიაქსს“ ბოლო დიდი წარმატება 1995 წელს ჰქონდა, როდესაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მომდევნო სეზონში კი ამსტერდამელები ფინალში გავიდნენ. იმ ორ ფინალურ მატჩში თვრამეტმა აიაქსელმა ითამაშა. სად არიან დღეს ისინი? თვრამეტიდან მხოლოდ ორმა (ბლინდი და რაიკარდი) დაასრულა თავისი კარიერა, დანარჩენები ინგლისის, იტალიის და ესპანეთის გუნდებში გაიფანტნენ. ისიც გეხსომებათ, იყო დრო, როდესაც მთელი „აიაქსი“ ჰოლანდიის ნაკრებშიც თამაშობდა. დღეს ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში სანთლითაც რომ ეძებო, ასეთებს ვერ იპოვი. რაშია საქმე? კლუბის თავმჯდომარე მიხაელ ვან პრააგი ამბობს, რომ ფულში.

მართლაც, „აიაქსის“ „ოქროს ხანა“ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ზღაპრული ჰონორარები უცხო ხილი იყო. მაშინ არც ბოსმანის წესი და ევროკავშირი არსებობდა და კლუბი მომავალ აიაქსელებს თავადვე ზრდიდა. არადა, „აიაქსის“ საფეხბურთო სკოლას საქვეყნოდ ჰქონდა სახელი გავარდნილი.

დღეს ფეხბურთელებს თვალი უცხოეთისკენ უჭირავთ. „ბარსელონას“ და „არსენალის“ დარი კლუბები მათ ოქროს მთებს ჰპირდებიან და სიტყვას ასრულებენ კიდეც. რა ქნას „აიაქსმა“? ვან პრააგი ჩივის: „ადგილობრივი ტელეკომპანია მატჩების ტრანსლაციის უფლების სანაცვლოდ ყოველწლიურად 1,5 მილიონ დოლარს გვიხდის, მაშინ, როცა პრემიერლიგის მაჩანჩალა გუნდსაც *SKY*-სგან 16 მილიონი გარანტირებული აქვს. „აიაქსი“ ჰოლანდიის ჩემპიონატში პატარა ტბორში მოხვედრილ დიდ თევზს ჰგავს“.

LEVON TRAVEL

ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში.
- ავია და მატჩზე დასასწრები ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20. ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის ნაკრების მშობლიური არენის, „უემბლის“ სარეკონსტრუქციო სამუშაოს დაწყება ოქტომბრამდე გადადო. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრას ინგლისელები გერმანიის ნაკრებთან 7 ოქტომბერს სწორედ „უემბლის“ ცნობილ სარბიელზე ჩაატარებენ. „გვსურს, რომ გერმანიასთან მატჩი შეძლებისდაგვარად ბევრმა გულშემატკივარმა იხილოს, სტადიონის სარემონტო სამუშაოებიც ამიტომ გადავდეთ“ — განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესატაშემ სტივ დაბლინმა.

იტალიურმა „ინტერმა“ მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველის, ხოსე მარია გუტიერესის გადაბირება მოისურვა. იტალიურმა კლუბმა ესპანელებს გუტისა და არგენტინელი ნახევარმცველის, ხავიერ ძანეტის გაცვლა შესთავაზა, თუმცა „რეალმა“ ეს წინადადება უარყო. ესპანური პრესის ცნობით, თუ სამეფო კლუბი გუტიერესს გაყიდის, მის სანაცვლოდ 20 მილიონ დოლარს მოითხოვს. ესპანელი ნახევარმცველის შეძენას სეზონის დასაწყისში „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა. მადრიდის „რეალმა“ მეორე მილანური კლუბის, „მილანის“ მცველს — რობერტო აიალას დაადგა თვალი. არგენტინელმა ფეხბურთელმა დაადასტურა, რომ მისი აგენტი „რეალის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და არ გამორიცხავს, რომ სეზონის ბოლოს სამეფო კლუბის მაისურა მოირგოს. „მილანი“ კი „ლეჩეს“ 26 წლის მცველის, ხუარესის შეძენას ლამობს, რომლითაც „ინტერი“ უკვე კარგა ხანია, დაინტერესდა.

ბულგარეთის ნაკრების ყოფილ ფორვარდ ლიუბოსლავ პენევს აქტიურ ფეხბურთში დაბრუნება და სოფიის ცსკა-ში თამაში სურს. იგი ოფიციალურად ვიგოს „სელტას“ წევრია, თუმცა ამჟამად არ თამაშობს. „მოუთმენლად ველი „სელტასთან“ კონტრაქტის დასრულებას, რათა ცსკა-ში დავბრუნდე და გუნდს დავეხმარო“ — ამბობს პენევი. 32 წლის ფეხბურთელი, რომელიც ამ ბულგარული კლუბის ღირსებას 1985-დან 1989 წლამდე იცავდა, შარშან ... პრეზიდენტად აირჩიეს. პენევმა საფეხბურთო კარიერის უმეტესი ნაწილი ესპანურ კლუბებში — „კომპოსტელაში“, მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „ვალენსიაში“ გაატარა, 1998 წელს კი 2,3 მილიონ დოლარად „სელტაში“ გადაბარგდა.

ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა კევინ ფილიპსმა „სანდერლენდთან“ კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა. იგი წლეულს საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს და იმედოვნებს, რომ მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების ღირსებას დაიცავს. „სანდერლენდმა“ კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაიტოვა: დანიელი მეკარე ტომას სორენსენი 4, გევინ მაკანი — 5 წლით, ნახევარმცველმა ალექს რეიმ და მცველმა კრის მაკინმა კი გუნდთან სამ-სამ წლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

იტალიურმა „პარმამ“ არგენტინული „რივერ პლეიტის“ კოლუმბიელ თავდამსხმელ ხუან პაბლო ანხელს დაადგა თვალი. ფეხბურთელმა ლიბერტადორესის ბოლო ტურში მექსიკურ „ატლასს“ სამი გოლი გაუტანა და საერთოდ, ერთობ წარმატებულად თამაშობს. 24 წლის ფორვარდის შეძენის სურვილი „ფიორენტინამ“ და „ლაციომაც“ გამოთქვეს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ანხელი სამხრეთ ამერიკაში ბოლო სეზონს ატარებს. შეგახსენებთ, რომ მან ლიბერტადორესის თასზე უკვე 6 გოლი გაიტანა.

ესპანური მადრიდის „რეალის“ ბოსნიელი თავდამსხმელი ელვირ ბალიჩი გამოჯანმრთელდა და დღეს „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ მატჩში იქნებ მოედანზეც ვიხილოთ. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში 15 მილიონ დოლარად შეძენილმა ბალიჩმა შარშან ოქტომბერში მძიმე ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. სულ ბოსნიელმა თავდამსხმელმა „რეალის“ შემადგენლობაში ერთ საათზე ნაკლები ითამაშა. მადრიდელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე ბალიჩს „ატლეტიკოსთან“ მატჩში სათადარიგოთა შორის გაამწესებს.

კარგი, ცუდი და იმპულსური ბიჭები

ნიკოლა ანელკა გაუჩინარდა. მისი ძმის, დიდიეს თქმით, სადღაც ევროპაშია. სად, საიდუმლოა

ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი თავის ყოფილ ფეხბურთელზე, თანამემამულესა და ერთობ სკანდალურ ადამიანზე, ნიკოლა ანელკაზე მსჯელობს.

მოგეხსენებათ, ანელკამ „არსენალთან“ კონტრაქტს უგანა და გასულ ზაფხულს 35 მილიონ დოლარად მადრიდის „რეალში“ გადავიდა, სადაც კვირაში 55 ათასიან ხელფასს გამოჰკრა ხელი, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ახალი გუნდის ხელმძღვანელებთანაც კონფლიქტი მოუვიდა — ზედიზედ სამ დღეს ვარჯიშზე არ გამოცხადდა და დაისაჯა: „რეალი“ ანელკას 45 დღის ხელფასს არ გადაუხდის.

ვენგერი კი ამბობს: „მას ყველა ცუდ ბიჭად ხატავს, არადა ასეთი სულაც არ არის.“

მწვრთნელის ნათქვამი ბევრმა ისე გაიგო, თითქოს იგი თავდამსხმელის „არსენალში“ დაბრუნებას იმედოვნებს, თუმცა „ჰაიბერის“ ბოსმა ამ ამბავსაც მოფინა ნათელი:

„მისი დაბრუნება დღეის საქმე არ გეგონოთ. რომც გვინდოდეს, ანელკას „არსენალში“ ვერ მივიღებთ, რადგან ისეთ ხელფასს, მადრიდელები რომ უხდიან, ვერ გადავუხდით. მეორე მხრივ, თუ ნიკოლას ჩემთან დარეკვა და საუბარი სურს, მზად ვარ ზოგიერთი რამ ვურჩიო. უპირველესად ვეტყვი, რომ შრომას ნუ დაიზარებს და ცოტა ხნით მაინც მოერიდოს პრესას. დღეს ხომ ის საყოველთაო სამიზნედ არის ქცეული. არადა, შეცდომა, რომელიც ჩაიდინა, სამარცხვინო სულაც არ გახლავთ. მოკლედ, მე თუ მკითხავთ ყველაფერს აჯობებს გუნდში დაბრუნდეს და კარგად ითამაშოს, თუმცა არ მჯერა, რომ ის ასეთ რჩევას ყურს დაუგდებს.“

აღსანიშნავია, რომ ვენგერი, რომელიც ანელკასა და მის აგენტ ძმებს თავის დროზე მადრიდელებზე არანაკლებ განაწყენებული ჰყავდათ, არასდროს გამოსულა 20 წლის გზასაცდენილი ვარსკვლავის წინააღმდეგ.

„დღემდე ვაფასებ „არსენალისთვის“ დადებულ მის ამაგს. იგი 17 წლის გახლდათ, როდესაც ძალიან იაფად შევიძინეთ და 20 წლისა ვეებერთელა თანხად გავყიდეთ. ამ ხანში ანელკამ ინგლისური დუბლის მოპოვებაში შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი. მას არასდროს უთქვამს უარი მუხლჩაუხრელ ვარჯიშზე და გაცილებით ნაკლებ პრობლემას მიქმნიდა, ვიდრე ზოგიერთი აღიარებული ვარსკვლავი.“

ვენგერისგან განსხვავებით, ანელკას „არსენალში“ შესაძლო დაბრუნებას მტრულად უყურებს ლონდონური კლუბის ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დენისი, რომელსაც ერთი წლის წინ ფრანგი ფეხბურთელის ძმებთან ძალიან მწვავე კონფლიქტი ჰქონდა. და მაინც, თუ „არსენალი“ თამაშს ვერ გაუმჯობესებს, „ჰაიბერიზე“ ახალი ფეხბურთელების შეძენა დასჭირდებათ.

დღეს საქმე ასეა: ანელკას შემცველ დავორ შუკერს ვენგერი სეზონის ბოლოს აუცილებლად შესთავაზებს კიდევ ერთი წლით დარჩენას, მაგრამ კონტრაქტის ვადა მხოლოდ ხორვატს როდის გაუდის: ბევრს ლაპარაკობენ „არსენალიდან“ დენის ბერხკამპის, მარკ ოვერმარსის და ემანუელ პეტის შესაძლო წასვლის შესახებ.

პეტის, როგორც იცით, ამჟამად, ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტთან აქვს საქმე. მან „ასტონ ვილას“ ქომაგებს რაღაც ჟესტი აჩვენა და საქმის განხილვას ელის. ამასთან, ამბობენ, რომ იგი იტალიურ „ლაციოში“ აპირებს გადასვლას, თუმცა:

„პეტის „არსენალთან“ კონტრაქტით კიდევ სამი წელიწადი აკავშირებს და მართალი გითხრათ, მისი ამბავი არც მაღელვებს. ამ ბიჭის ქცევა პერიოდულად ფრიად იმპულსური კი გახლავთ, მაგრამ ამასთან ერთობ ჭკვიანია და კარგად იცის, მისთვის რა სჯობს და რა არა“ — ამბობს მწვრთნელი.

რაც შეეხება ბერხკამპს, ვენგერი დარწმუნებულია, რომ ამ ჰოლანდიელის საქმე მალე მოგვარდება, ხოლო „ბარსელონასა“ და მეორე ჰოლანდიელის, ოვერმარსის ურთიერთობისა მწვრთნელს სულაც არ ეშინია.

გიორგი დარჯანია

არსენ ვენგერი

ბადრი კვირიკაძის ფოტო

კლოდ სორელი

კლოდ სორელი: ფავორიტები ჩვენ ვართ

ვითარება შეიცვალა: კვირის მატჩს ფასი დაედო

ბადრი კვირიკაძის ფოტო

ზურაბ მჭედლიშვილი

ახლახან იყო, საქართველოს რაგბის კავშირმა „ეროვნულზე" ქომაგები რომ დაგვაპატიჟებინა, კვირას, 19 მარტს საქართველო — ჰოლანდიის მატჩზე დასწრება უფასო იქნებაო. გუშინ კი კავშირელებმა მობოდიშებით გვაუწყეს, სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა, სტადიონის ადმინისტრაციამ დაბეჯითებით მოგვთხოვა საიჯარო თანხა, ამიტომ ბილეთებსაც ფასი დაედოო. ასე რომ, ბორჯღალოსანთა საქომაგოდ მისულთ 1 ლარის გაღება მოუწევთ.

ახლა უშუალოდ ნაკრებზე. გუშინ გუნდმა „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ორდღიანი შეკრება დაიწყო. დილით ქართველთა ფრანგმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა ბიჭები ორი საათი ავარჯიშა. მორაგბეებმა ირბინეს, იხტუნეს, ერთმანეთს ეჯავჯგურნენ, საჯარიმოების და არეკნების დარტყმაშიც ივარჯიშეს და ბოლოს კროსს შეუდგნენ. კლოდ სორელი კარგ გუნებაზე იყო და ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა...

— ბატონო კლოდ, როგორი ვითარებაა გუნდში, კიდევ ვინმე ხომ არ დაგიშავდათ?

— ესპანეთთან მატჩის შემდეგ ტრავმა აღარავის მიუღია, მაგრამ ჰოლანდიასთან ძირითადის ოთხი კაცი მაინც დაგვაკლდა: ურჯუკაშვილი, პარწიკანაშვილი, ზიბზიბიძე ტრავმის და ცაბაძე დისკვალიფიკაციის გამო.

— მათი შეცვლა ხომ არ გაგიჭირდებათ?

— ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ და მათ გარეშე, ცხადია, გაგვიჭირდება. თუმცა გუნდი, რომელსაც ოთხი კაცის სრულფასოვანი შეცვლა არ შეუძლია, მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს. გვყვანან სხვა საკმაოდ ძლიერი მორაგბეებიც, რომლებსაც თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ. ვფიქრობ, ისინი იმედს გამიმართლებენ. ნაკრებში ყოველ პოზიციაზე დიდი კონკურენციაა საჭირო, თორემ ისე პროგრესი არ იქნება.

— მოწინააღმდეგის შესახებ რა იცით?

— გვაქვს ესპანეთ-ჰოლანდიის მატჩის ვიდეოჩანაწერი. ჩვენი მეტოქის თამაში ძალიან კარგადაც შევისწავლეთ. ჰოლანდიელები ჯგუფში ყველაზე სუსტნი არიან და აკი ყველა მატჩიც წააგეს.

— ჩვენც უეჭველად მოვუგებთ?

— ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი. გასამარჯვებლად ყველაფერს გავაკეთებთ და, ალბათ, მოვიგებთ კიდეც. თუმცა წინასწარ მოდუნება და არხეინობა ვნების მეტს არაფერს მოგვიტანს. ჰოლანდიელებს დასაკარგი არაფერი აქვთ. ისინი, სავარაუდოდ, ჯგუფში ბოლო ადგილს დაიკავებენ. თუმცა ჩვენთან მოგებას მაინც ეცდებიან, რათა ტურნირი მთლად ხელცარიელებმა არ დაასრულონ. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრები ფავორიტია. გეტყვით იმასაც, რომ ჩემთვის მთავარი მხოლოდ შედეგი არ არის. აუცილებელია, მაღალხარისხოვნად ვითამაშოთ, გუნდს ევოლუცია და პროგრესი დაეტყოს, თორემ ისე მარტო მოგება რაა.

— შემადგენლობა უკვე შეარჩიეთ? ვინ იქნება დამრტყმელი?

— ვინ დაიწყებს მატჩს, ჯერ არ გადამიწყვეტია. ყველაფერს შაბათის ვარჯიშის შემდეგ გაცნობებთ. ძირითადის დადგენის მერე გაირკვევა, ვინ დაარტყამს საჯარიმოებსა და გარდასახვებს.

— ესპანეთთან შეხვედრა გავიხსენოთ. მართლა მსაჯმა წაგვაგებინა?

— არა, წაგება უპირველესად ჩვენი ბრალია. დაცვაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. უპირატესობის შენარჩუნება ვერ შევძელით და ბევრი საჯარიმოც გაგვიცუდდა. ეს ყველაფერი გამოუცდელობის ბრალი იყო. მსაჯიც რამდენჯერმე შეცდა, ცაბაძე, მაგალითად, ტყუილად გააძევა, რაც მატჩის შემდეგ ვიდეოჩანაწერის ნახვისას აღიარა კიდეც. მაგრამ ვიმეორებ: წაგება უპირველეს ყოვლისა ჩვენი ბრალი იყო.

— ჰოლანდიის მერე რუმინეთთან მატჩი გველის...

— ეს იქნება გადამწყვეტი მატჩი ჯგუფში. ძალიან მძიმე შეხვედრა იქნება.

— როგორ მოემზადებით რუმინელებთან შესახვედრად?

— ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ ლეგიონერები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან, თბილისში კი თამაშამდე, 2 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვლენ. მოკლევადიან შეკრებას გავიკეთებთ და რუმინეთსაც დავხვდებით. რაც მთავარია, ყველა კარგად უნდა იყოს დასვენებული, რადგან ზედიზედ ხუთი სანაკრებო შეხვედრა ერთობ დამღლელია.

ამის შემდეგ ნაკრების კაპიტანს ზურაბ მჭედლიშვილს გავესაუბრეთ.

— პორტუგალიასთან და მაროკოსთან საკმაოდ ძნელი მატჩები მოიგეთ, ესპანეთთან კი დამარცხდით. გაიხსენეთ ეს შეხვედრები...

— პორტუგალიასთან მატჩი ჩვენი ნაკრებისთვის წლეულს პირველი იყო. ამიტომაც შეთამაშება გვაკლდა, თუმცა მაინც მოვახერხეთ და ბოლო წუთებზე დავამარცხეთ მეტოქე. მართალია, ამ შეხვედრაში ბევრჯერ დავჯარიმდით, მაგრამ მაროკოელებთან თამაშისას ეს გავითვალისწინეთ. პორტუგალია ძალიან ძლიერია-მეთქი, ვერ ვიტყვი. ანგარიშგასაწევი გუნდია. აი, მაროკოელები ნამდვილად უკეთ თამაშობენ. ხაზის მოთამაშეებიც ძლიერი ჰყავთ და მთლიანად გუნდიც სერიოზული ძალაა. ესპანელებთან შეხვედრა კარგად დავიწყეთ, პირველი ნახევარი 10:5 მოვიგეთ კიდეც, მაგრამ ბოლოს... ისე, მსაჯმაც, რომ იტყვიან, გაგვაწვალა. და მაინც, ჩემი აზრით, ეს თამაში უნდა მოგვეგო.

— პორტუგალიასთან თამაშის ბოლო წუთებზე აუტი მოიგე, ამას შეტევა და ლევან ცაბაძის გამარჯვების ლელო მოჰყვა...

— გუნდმა მოინდომა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მათი აუტი მოვიგეთ, პორტუგალიელებს მივაწექით და ლეონსიომ ლელოც გაიტანა.

— კვირას ჰოლანდიასთან შეხვედრა გელით...

— ჰოლანდია ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. საერთოდ, ყველა მეტოქეს ანგარიში უნდა გაუწიო, არ შეიძლება, მოწინააღმდეგეზე ზერელედ იფიქრო, მით უმეტეს, ასეთი საპასუხისმგებლო თამაშის წინ. მართალია, ჰოლანდიამ ჯგუფში ყველა შეხვედრა წააგო, მაგრამ უბრძოლველად არაფერს თმობს. ასე რომ, მართლაც ძნელი მატჩი გველის. ამიტომაც ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ამის საბაბიც გვაქვს: 1995 წელს ჰოლანდიელებთან სამარცხვინოდ, 3:55 წავაგეთ და ის ბოღმა უნდა ამოვიღოთ. იმ შეხვედრაში მეც ვთამაშობდი. მოკლედ, 19 მარტს რევანში უნდა ავიღოთ, თანაც სატურნირო ცხრილში ადგილის გასაუმჯობესებლად ლელოების შარაგიც გვჭირდება.

— ესპანეთთან შეხვედრის შემდეგ ტრავმებმა და დისკვალიფიკაციამ ძირითადის რამდენიმე მოთამაშე მოგაკლოთ...

— დანაკლისი მართლაც საგრძნობია, პარწიკანაშვილი, ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი, ცაბაძე, მოდებაძე, მაგრამ, არა მგონია, ეს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

— რაფავას მერე ნაკრების კაპიტანი შენ ხარ, ხომ არ გაგიჭირდა?

— რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ბიჭებმა მე ამირჩიეს და ამას ვერსად გავექცევი, ეტყობა, მენდობიან. მძიმე ტვირთია კაპიტნობა, მარტო სამკლაურის ტარებას არ გულისხმობს, მოედანზეც სხვებზე მეტი მოგეთხოვება.

ზაზა გენიძე
გაიოზ თალაკვაძე

ბადრი კვირიკაძის ფოტო

თავს ნუ დაიარხეინებთ — აფრთხილებს კლოდ სორელი ქართველ მორაგბეებს

საქართველო

	კლუბი	ასაკი	წონა	სიმაღლე	თამაში	შედეგიანობა
1. ალექსანდრე ესაკია	ბეზიე	22	105	177	7	
2. ავქსენტი გიორგაძე	ავენირი	24	102	178	10	2ლ
3. გოდერძი შველიძე	ბეზიე	22	105	178	7	ლ
4. ვანო ნადირაძე	პერიგო	28	115	200	12	2ლ
5. ზურაბ მჭედლიშვილი	მიო	29	105	192	14	2ლ
6. დათო ვართანიანი	ფუმელი	31	98	192	7	
7. გია ლაბაძე	შამბერი	26	98	194	16	ლ
8. ილია ზედგენიძე	შამბერი	23	113	195	5	
9. ირაკლი აბუსერიძე	სენ-ლივრადი	23	75	178	4	
10. პალიკო ჯიმშელაძე	კასტრი	25	85	180	17	5ლ
11. არჩილ ქავთარაშვილი	ლიმოჟი	28	92	186	16	8ლ
12. ვასო კაცაძე	ბეზიე	24	106	188	16	2ლ
13. გიორგი ბუგიანიშვილი	ლოკომოტივი	26	72	182	8	ლ
14. ბესიკ ხამაშურიძე	ბეზიე	21	98	197	7	ლ
15. ვასილ აბაშიძე	ზორდა	21	90	187	7	2ლ
16. ნოდარ ანდღულაძე	ლოკომოტივი	22	88	180	5	ლ
17. ნიკა იურინი	ფილი	29	84	180	15	5ლ, 3გ, 3ს, 2ა
18. ირაკლი მოდებაძე	უნივერსიტეტი	21	83	179	0	
19. ვიქტორ დიდებულიძე	ტარბი	30	110	198	5	2ლ
20. დათო ბოლღაშვილი	ლილი	21	99	187	2	
21. კოტე ჯინჭარაძე	ბეზიე	29	120	189	4	
22. სოსო ნიკოლაენკო	პერპინიანი	25	108	182	5	

მთავარი მწვრთნელი: კლოდ სორელი

ჰოლანდია

	კლუბი	ასაკი	წონა	სიმაღლე	თამაში
1. ჯიჯი ვან ეში	ლაკვილა (იტალ.)	30	108	191	5
2. არნო სეიბლი	ჰააგშე	30	111	186	34
3. ანდრე სმიტი	კასტრიკუმსი	29	140	196	3
4. პატრიკ ბროილმანსი	ამსტერდამი	28	100	195	3
5. პიტერ ფილპოტი	ავლესბურგი	26	103	192	4
6. ენდი ვან ჰიუტი	ზი დიუკასი	32	104	182	8
7. რობ ვან დე ვენი	პეირეპორადი (საფ.)	27	103	182	8
8. ალექს კუიპერსი	ამსტერდამი	22	87	191	4
9. კრის უოორი	ამსტერდამი	25	71	166	2
10. ობი უინკერსი	კასტრიკუმსი	25	90	187	21
11. ჟერარ ვიგუერსი	მერტირი (უელსი)	21	94	183	9
12. დუნკან ჰანნეი	ამსტერდამი	26	86	178	2
13. როჟე ვან დე ვალი	დიოკი	23	87	185	10
14. გიის ვან დერ პოლი	ამსტერდამი	24	95	182	8
15. იუსტ დოიენბურგი	ამსტერდამი	19	90	191	1
16. ბას ბოსვინკელი	ამსტერდამი	24	104	186	2
17. ტიმ ოტტე	როტერდამი	21	130	195	1
18. ბარო კესლერი	ჰააგშე	22	118	196	2
19. მიხეილ სმიტი	როტერდამი	27	89	185	1
20. ბრენტ ტეილორი	როტერდამი	22	89	180	2
21. სანდერ ვან დერ ლოოსი	ჰააგშე	22	84	173	3
22. ტიმ ლიფსი	ჰააგშე	25	86	180	2

მთავარი მწვრთნელი: ჯეფ ოულდი

ექვსი ერის პირველობა. IV ტური

წინის-წინა საუკუნიდან აქამომდე

18 მარტი

იტალია — ინგლისი

რამდენიმე დღის წინ ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა კლაივ უდეორდმა ქვეყნის რაგბის კავშირიდან წინადადება მიიღო, თანამდებობაზე 2003 წლამდე დარჩო. ამით შეგულიანებული ვუდფორდი შეეცდება იტალიელთა გასანადგურებლად ამზადებს. შემადგენლობაში მხოლოდ ერთი იძულებითი ცვლილება მოახდინა — დაშავებული ფილ ვიკერის ნაცვლად „ლესტერში" მოთამაშე ვეტერან დარენ გერფორტს უხმო. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ცვლილებაა ტურნირის დაწყებიდან მოყოლებული.

სამაგიეროდ, ბევრი პრობლემა აქვს იტალიელთა დამრიგებელ ბრედ ჯონსტონს. ბოლო მატჩში „სკუადრა აძურას" ვისერი, პინი, ტრავინი და მაზანტინი გამოაკლდება. მათ ნაცვლად გუნდი არანსიოთი, გიაჩერით, პილატით და მაძით შეივსება.

სპეციალისტები გამარჯვებას, რა თქმა უნდა, ინგლისელებს უწინასწარმეტყველებენ. თუმცა ბრიტანელებმა თამაში წინდაწინ მოგებულად არ უნდა ჩათვალონ და მეტოქეს მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ. შოტლანდიის დამარცხების შემდეგ იტალიის ნაკრებს სამშობლოში ძალიან ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდა, მაგრამ უელსსა და ირლანდიაში დამარცხების შემდეგ მათი ენთუზიაზმი ერთგვარად ჩაცხრა. ამიტომაც აპენინელ მორაგბეებს უდიდესი სურვილი აქვთ, თვისტომები ისევ თავისკენ შემოაბრუნონ და ამისთვის თავს არ დაზოგავენ.

აქამდე ეს გუნდები ერთმანეთს 5-ჯერ შეხვედრიან ოფიციალურ მატჩებში და ხუთჯერვე კუნძულელებს უმარჯვიათ. თუმცა ეს შეხვედრა პირველია, რომელსაც ინგლისი აპენინის ნახევარკუნძულზე გამართავს. ძნელი გამოსაცნობი ნამდვილად არაა მოგებულის ვინაობა, მაგრამ იქნებ...

ყოველ შემთხვევაში, „ფორცა იტალია", რადგან სუსტისგან ძლიერის დამარცხება ყოველთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე პირიქით.

სავარაუდო შემადგენლობები

იტალია: პილატი, დალანი, მარტინი, ძისტი, სტოიკა, დომინგესი, ტრონკონი (კაპ.), დე როსი, ბერგამასკო, კრისტოფოლეტი, გრიტი, ჩეკინატო, პაოლეტი, მოსკარდი, ლო ჩიჩერო

ინგლისი: პერი, ჰილეი, ტინდელი, კეტი, კოენი, უილკინსონი, დოუსონი, დალალაო, ბეკი, ჰილი, შოუ, არჩერი, გერფორტი, გრინინგი, ლეონარდო

18 მარტი

უელსი — შოტლანდია

ამ ორი ნაკრების ურთიერთშეხვედრათა ისტორია 1883 წლიდან იწყება. მაშინ უელსელები ედინბურგს თამაშამდე ერთი საათით ადრე ეწვივნენ და თან კაცნაკლულნი. შემადგენლობის შესავსებად იქაური უნივერსიტეტის სტუდენტი ჯონ გრიფინი დაიმატეს. გრიფინი რაგბის ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ მსაჯად გახდომის შემდეგ სამხრეთაფრიკელთა პირველი საერთაშორისო მატჩი განსაჯა ბრიტანელი ლომების წინააღმდეგ. უელსმა პირველი შეხვედრა დათმო შოტლანდიასთან, მაგრამ ახლა ჯამში 11-ით მეტი მოგება აქვს (56-45). ამ ქვეყნებს ფრედ მხოლოდ ორჯერ უთამაშიათ (1885 და 1922 წლებში) და ორჯერვე შოტლანდიაში. მცირედი ისტორიული ექსკურსის შემდეგ, ახლა დღევანდელ მატჩზეც ვთქვათ.

წლევანდელ ექვსი ერის პირველობაზე ორივე გუნდი საკმაოდ ცუდად გამოდის. უელსმა საფრანგეთთან და ინგლისთან წააგო და მხოლოდ იტალიის ძლევა შეძლო საკუთარ მოედანზე. სკოტებმა კი იტალიასთან, ირლანდიასთან და საფრანგეთთან წააგეს. ასე რომ, დღეს ორივე ნაკრებს გამარჯვების დიდი სურვილი აქვს.

უელსელები ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით ძალიან არასტაბილურნი ჩანან. საფრანგეთთან მათ მსაჯის საფინალო სასტვენამდე ძლივს მიატანეს. ინგლისთან, თვიქნემში, თითქოს თავიდან საქმე უკეთ იყო, მაგრამ მეორე ტაიმში ისევ შეეტყოთ დაღლა. მათ დაცვაც ერთობ მოიკოჭლებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოწინააღმდეგე ხელით ბურთაობას ანიჭებს უპირატესობას. დღევანდელ მატჩში უელსს მთავარი დამრტყმელი ნილ ჯენკინსი არ ეყოლება. შეძლებენ თუ არა „წითლები" მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მორაგბის სრულფასოვნად შეცვლას, ძნელი სათქმელია.

თუმცა პრობლემები არც მოწინააღმდეგეს აკლია. შარშანდელი ხუთი ერის პირველობის გამარჯვებული საკუთარ თავს აღარ ჰგავს. სკოტებს მატჩი სტუმრად 10 აპრილის შემდეგ აღარ მოუგიათ. მაშინ მათ „სტად დე ფრანსზე" „მამლები" დაუწიოკეს. გარი არმსტრონგის „პენსიაზე" გასვლის შემდეგ მათმა თამაშმა ბევრი რამ დაკარგა. თოუნსენდია ერთადერთი, ვინც სხვებთან შედარებით კიდევ ფაფხურობს. უკანახაზელების მოქმედებების წინასწარ გამოცნობა არც ერთ მეტოქეს არ გასჭირვებია. მორკინლებმა კი თითქოს ბრძოლის ჟინი დაკარგეს. საინტერესოა, შეძლებს თუ არა იან მაკგიჩენი თავისი შეგირდებისგან რაიმე სასარგებლოს გამოძღნობას. მთავარი მწვრთნელის ტაქტიკური ცვლილებები გუნდს ვერ მოაგებინებს, თუ თვით მორაგბეებმა მეტი თავდადებით არ ითამაშეს.

შოტლანდიასთან რიგით 104-ე მატჩისთვის უელსი ერთობ გადახალისდა. ტრავმების გამო გუნდს ნილ ჯენკინსის გარდა ქვინელებიც (კრეიგი და სკოტი) გამოაკლდნენ. გრემ ჰენრიმ კიდევ რამდენიმე ცვლილება მოახდინა და დღევანდელ მატჩს მაინც იმედის თვალით შესცქერის.

ერთი სიტყვით, ორივე გუნდი საკმაოდ ცუდ ფორმ[illegible] და გამარჯვებულის გამოცნობაც ძნელი საქმეა. მცირედი უპირატესობა, ალბათ, მაინც უელსის მხარესაა, რადგან შინ თამაშობს და ერთგული გულშემატკივრების მხარდაჭერაც არ მოაკლდება.

სავარაუდო შემადგენლობები

უელსი: კარდი, შ. უილიამსი, ტეილორი, ბეიტმანი, ჯ. ტომასი, ჯონსიმუნი, ლუისი, ბალჯეტი, ჩარვისი, მური, გოუ, ანვი (კაპ.), გ. ჯენკინსი, როჯერსი

შოტლანდია: პეტერსონი, მორი, თაუნსენდი, ჯ. ლესლი (კაპ.), მეტკალფი, ჰოდჯი, ნიკოლი, რიდი, პოუნტნი, მ. ლესლი, გრიმსი, მურეი, სტიუარტი, ბრადერსტოუნი, სმიტი

19 მარტი

საფრანგეთი — ირლანდია

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდია ტურნირის მონაწილეთაგან უძლიერესი არაა, თამაში პარიზში გაიმართება და ბოლო თხუთმეტი მატჩიდან ყველა საფრანგეთმა მოიგო, მასპინძლებმა შეიძლება მაინც წაიფორხილონ. საფრანგეთის შემადგენლობაში ბევრი ცვლილებაა. პირველ ტურში უელსში მოთამაშე თხუთმეტეულიდან ხვალ მხოლოდ რვა მორაგბე დაიწყებს მატჩს. ასეთ ვითარებაში უცილობელ გამარჯვებას არ უნდა ელოდე და ამას „მამლების" მთავარი მწვრთნელი ბერნარ ლაპორტიც აღიარებს: „თითქმის შეუძლებელია ჩემი იდეების და მეთოდების დანერგვა. ყოველ მატჩს ახალი შემადგენლობით ვატარებთ, რაც ძალიან მიშლის ნერვებს".

მოწინააღმდეგე კი აღმავლობის გზაზეა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სამი ტურის შემდეგ ირლანდიამ ყველაზე მეტი ქულა მოიხვეჭა. „სამყურებმა" 13 ლელო გაიტანეს და ამ თარს ციფრზე შეჩერებას არ აპირებენ. თუმცა ირლანდიელთა სიძლიერეზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია, რადგან ინგლისთან მათ პირწმინდად წააგეს, შოტლანდიასთან მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშეს ჩინებულად, იტალიას კი ძირითადად უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე აჯობეს.

ირლანდიელთა ახალზელანდიელმა მწვრთნელმა უორენ გეტლენდმა ზედიზედ ორი მოგების შემდეგ თანამდებობა შეინარჩუნა. ამიტომაც მას შემადგენლობის შეცვლა აზრადაც არ მოსვლია და საფრანგეთს იგივე ხალხს აწვევს, რომლებიც იტალიას დაახვედრა. თუმცა ერთი გამონაკლისი მაინც არის — მუხლნატკენი შონ ჰორგანის ადგილი კევინ მეგსმა დაიკავა.

ორი წლის წინ საფრანგეთმა ირლანდიას ორი ქულით მოუგო (18:16), შარშან მხოლოდ ერთი (10:9), წესით, ამჯერად ფრეა მოსალოდნელი. მაგრამ წესებს ვინ დაგიდევთ?

სავარაუდო შემადგენლობები

საფრანგეთი: ნტამაკი, ბერნა-სალი, დებროსი, გლა, ბორი, მერსერონი, ლოსიუკა, ლიევრემონი, ბენეზი, კოსტი, ბრუზე, ჰელუ (კაპ.), ტურნერი, დალ მაზი, კალიფანი

ირლანდია: დემპსი, მაგსი, ოდრისკოლი, ჰენდერსონი, ჰიკი, ოგარა, სტრინჯერი, ფოლი, დოუსონი, ს. ესტერბი, ოკელი, გალვი, ჰეესი, ვუდი (კაპ.), კლოჰესი

გაიოზ თალაძვაძე

ფრანგი ჟერალდ მერსერონი ირლანდიელებს ემუქრება

ვოვამ მონაკოში აზარტულად დაიწყო

კაცი ტიტების ქვეყნიდან, იონ ვან ოსტერომი ჩვენს წერილში დიდ ადგილს არ დაიკავებს და თუ ვახსენებთ, იმიტომ, რომ უკვე სახელმოხვეჭილი ამბერის საჭადრაკო ტურნირის მეცენატია, ხოლო ამბერი მისი უფროსი ქალიშვილის სახელი გახლავთ. ტურნირს მსოფლიო აზარტის ცენტრი, მონტეკარლო მასპინძლობს და ის თორმეტი მოჭადრაკე, რომლებიც მონაკოს ციცქნა სამთავროში გაზაფხულის დადგომისას ჩადიან, ან ახლა ირიცხებიან საჭადრაკო ელიტაში, ანაც ირიცხებოდნენ და დღესაც არ დაუკარგავთ იმიჯი. მერე რა, რომ ისინი მხოლოდ სწრაფ და დფაზე დაუხედავ ჭადრაკში ეჯიბრებიან ერთმანეთს, თამაშის ამ სახეობებმაც ხომ უკვე მყარად გაიდგეს ფესვები და თვით ჩემპიონებიც ვერ შეხედავენ დამცინავი მზერით. ერთი კასპაროვი ვერ მიიტყუეს ტურნირზე, თორემ კარპოვი, ანანდი, კრამნიკი, შიროვი და სხვა მრავალი საჭადრაკო აზრის გიგანტი უკვე დაეჩვია წლეულს მეცხრედ მიმდინარე ტურნირში გამოსვლას, ნახსენები ხალხი და კიდევ უკრაინელი ვასილ ივანჩუკი, ბოსნიელი პრედრაგ ნიკოლიჩი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი (ბოლო ხანებში რომ არ ჩანდა), ჰოლანდიელი ჯეროენ პიკეტი (პირველი ინტერნეტ-სუპერტურნირის გამარჯვებული უეჭველად გეცნოთ), ასევე ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი, ებრაელი ბორის გელფანდი, ფრანგი ჟოელ ლოტიე და ბებერი იუგი, ლიუბომირ ლიუბოევიჩი ქმნიან წლევანდელი ამბერის ტურნირის მონაწილეთა სრულ სიას. მათ 28 მარტამდე მოუწევთ მონაკოში ტვინის ჭყლეტა და იმ ხანამდე თითქმის ყოველდღე ორ-ორ პარტიას გამართავენ ერთსა და იმავე მეტოქესთან: სწრაფ ჭადრაკში თეორებით მოთამაშე „თვალდახუჭული" შავებით ითამაშებს.

ამბერის ბოლო ორი ტურნირი ვლადიმერ კრამნიკმა მოიგო და ამჯერადაც ისე დაიწყო, უეჭველად ძირითადი ფავორიტი იქნება, მით უფრო ლინარესიდან ამაღლებული განწყობით ჩამოსვლის შემდეგ. გუშინწინ კრამნიკმა პიკეტს ორივე პარტია მოუგო და თანაც არცერთგან ხელი არ გაანძრევინა. განსაკუთრებით

ვიშვანათან ანანდი

ეფექტური ჩანდა კრამნიკის თვალხუჭუნა მოგება, სადაც ვოვამ 15-დან მხედრით მეტოქე „ჩანგალზე" წამოაგო. მეორე პარტია მშვენივრად ითამაშა ალექსეი შიროვმა, რომელიც პირველში ძლივს დაუძვრა წაგებას ლოტიესთან. ექსრიგელმა მეტოქეს 26 სვლაში აუგო ანდერძი და ავტორიტეტულ ჟიურის პარტია ტურის საუკეთესოდაც აღიარებინა. პირველი ტურის მიხედვით ვიშვანათან ანანდსაც არა უშავს. ვიშმ სწრაფ ჭადრაკში მეფეების გარდა ლამის ყველა ფიგურა გაუცვალა ლიუბოევიჩს, მერე კი სახეზე ხელები აიფარა და ისე, რომ ერთხელაც არ გამოუჭვერეტია, სიცილიურ დაცვაში დამაჯერებლად შემუსრა ვეტერანი სლავი. კარპოვმა ვან ველი დაამარცხა, თუმცა გაჭირვებით. პირველ პარტიაში მას დროსთან კონფლიქტი მოუვიდა (ამას საერთაშორისო ტერმინოლოგიით „ციტნტოტი" ჰქვია), 4 წუთიღა დარჩენოდა 14 სვლის გასაკეთებლად, მაგრამ მოასწრო და ყაიმი გაახერხა, მომდევნო პარტიაში კი მეტოქეს ისე გააფორებით შეუტია, რომ ბრინჯივით დააბნია და ფიგურა წაჰგლიჯა. ამის შემდეგ ჰოლანდიელი მალე გატყდა. კიდევ იყო მონაკოში რამდენიმე საინტერესო მომენტი, მაგრამ დღეს ეს ვიკმაროთ.

დავით გულუა

ჭელორბოლა

ნუ დაივიწყეგთ კლასიკოსებს

ხვალ იტალიაში, მილან — სან რემოს ტურით, წლევანდელი მსოფლიოს თასი იწყება. ათი ერთდღიანი რბოლა, რომლებსაც „კლასიკებს" უწოდებენ, შემოდგომამდე გასტანს. თითოეულში პირველი 25 ადგილი ჩასათვლელ ქულებს იძლევა „მსოფლიოს თასის ჩათვლა მთელი სეზონის შედეგებს ითვალისწინებს, თუმც სასურველი მნიშვნელობა მაინც ვერ შეიძინა. ამის მიზეზი ტურნირისადმი მედიის და თვით ძლიერი მრბოლების ერთგვარად ზერელე დამოკიდებულებაა" — ამბობს ფრანგი მრბოლი სედრიკ ვასერი, რომელიც წლეულს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კომისიის წევრი გახდა. ამ კომისიას სწორედ ვსკ-ს კლასიფიკაციის ქულების დარიცხვის სისტემის მოწესრიგება ევალება.

მსოფლიოს თასის თითოეული ეტაპის მოგებას უამრავი სპორტსმენი ესწრაფვის, მაგრამ მთლიანად ტურნირის მოგება ბევრს არ ენაღვლება. „უპირველესად კლასიკებზე ვფიქრობ და საერთო ჩათვლა თითქმის არ მაინტერესებს" — თქვა ბელგიელმა ფრანკ ვანდენბრუკმა, ვინც შარშან ამ შეჯიბრში მესამე ადგილი დაიკავა და წლეულს საბოლოო გამარჯვების ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია.

მსოფლიოს თასის ბოლო მფლობელი ბელგიელი ანდრეი ჩმილი კი სულ სხვაგვარად ფიქრობს: „ამ ტურნირს კლასიკების სპეციალისტებისთვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მრავალდღიანების მოყვარულთათვის ჯიროს, ტურსა და ვუელტას.

უმნიშვნელოა თუ მნიშვნელოვანი, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ყოველ შემთხვევაში, ერთი ნათელია — მსოფლიოს თასის თითოეული ეტაპი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს და ბევრი სასეირო რამაც ხდება. ახლა კი გაგაცნობთ ქულათა დარიცხვის სისტემასა და კალენდარს. პირველ ადგილზე გასული 100 ქულას მიიღებს, მომდევნო ადგილებზე კი ასე ნაწილდება — 70, 50, 40, 36, 32, 28, 24, 20, 16, 15, 14, 13... ეტაპის 25-ე ადგილზე დამსრულებელს 1 ქულა ერგება.

გაგი გურული

მსოფლიოს თასის ათი ეტაპი

18 მარტი — მილანი-სან რემო (იტალია)
2 აპრილი — ფლანდრიის ტური (ბელგია)
9 აპრილი — პარიზი-რუბე (საფრანგეთი)
16 აპრილი — ლიმოჟი-ბასტონი-ლიმოჟი (ბელგია)
22 აპრილი — ამსტელის ოქროს რბოლა (ჰოლანდია)
6 აგვისტო — ჰამბურგის კლასიკი (გერმანია)
12 აგვისტო — სან სებასტიანის კლასიკი (ესპანეთი)
20 აგვისტო — ციურიხის ჩემპიონატი (შვეიცარია)
8 ოქტომბერი — პარიზი-ტური (საფრანგეთი)
21 ოქტომბერი — ლომბარდიის ტური (იტალია)

საქართველოს ჩემპიონატი 22 ტური

ანონსი

18 მარტი. ვერის ბაღი. 13.00 **შევარდენი — აზოტი**	19 მარტი. ვერის ბაღი. 13.00 **სსუ — სტუ**
18 მარტი. ვერის ბაღი. 14.45 **ასკ — გორი**	19 მარტი. ვერის ბაღი. 14.45 **ვითა — ბასკო**
18 მარტი. ვერის ბაღი. 16.30 **სდასუ — დინამო**	19 მარტი. ვერის ბაღი. 16.30 **მაკაბი— თსუ**

ვურამ დოლენგავაშვილის ფოტო

პირველ წრეში ირაკლი ბერიშვილის (№5) „მაკაბი“ 65:71 დამარცხდა ნიკა ვეფხვაძის (მარცხნივ) და გიორგი მარკოიშვილის თსუ-სთან

მეტი ინტრიგა რაღა გინდათ: ხვალ თსუ — „მაკაბია“...

ექვსეულზე დაუდგამთ თვალი ამ გუნდებს და საომრად გამზადებულან. დანდობა ვინ თქვა, ბრძოლა იქნება ფრიადი. ვინ ვის გადასძალავს, ვინ ირგუნებს ელიტაში ყოფნის პატივს — ამაზეღა მიდგა საქმე.

დღეს-ხვალ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, ოცდამეორე ტური გაიმართება. გასარკვევ-გასარჩევიც ერთი დარჩა, თსუ ან „მაკაბი“. ექვსეულში ერთადერთი ადგილია, ორი გუნდი ეცილება ამ ადგილს ერთმანეთს...

ყველა გზა მოჭრილია. გამარჯვებული ექვსეულში ითამაშებს!

ახლა ის ვთქვათ, ვის რისი შანსი აქვს, ვის რა ძალუძს. უპირატესობას უფრო „მაკაბის“ ანიჭებენ და ალბათ, სამართლიანადაც. ურიგო გუნდი არც ერთი გახლავთ, მეტოქეები საკმაოდ ნაცადნი და შეკრულ-შეთამაშებულნი არიან. თუმცა ყოველივეს ამ შემთხვევაში იქნებ მნიშვნელობაც ეკარგება, გამომდინარე იქიდან, რომ ერთ კონკრეტულ მატჩზე მიდგა საქმე. გუნდები უეჭველად მაქსიმალურად მობილიზებულნი იქნებიან. საამისოდ მათ სამყოფზე მეტი მოტივაცია გააჩნიათ.

„მაკაბი“ არასოდეს ყოფილა ისეთი მიზანსწრაფული, როგორც დღეს. სტაბილური გუნდი ყოველთვის იყო, მაგრამ თითქოს რაღაც აკლდაო მუდამ. ახლა ყველაზე მეტად იმით იჩაგრება, რომ სკამი აქვს მოკლე. სრულფასოვანი სათადარიგოები არ ჰყავს, თორემ სხვა მხრივ წელში გამართულია. მოძრავი უკანახაზი და მეტისმეტად გამოცდილი წინახაზი — აი ის, რაც „მაკაბის“ სხვათაგან გამოარჩევს.

ამ გუნდმა რამდენიმე დღის წინ ჭაბუკთა ნაკრებთან საწვრთნელი მატჩი გამართა, რაც შესაძლოა ძალიან ძვირადაც დასჯდომოდა. ტყუპი ბერიშვილები დაშავდნენ და თსუ-სთან შეხვედრაში მათი მონაწილეობა ერთხანს სათუო შეიქნა. ბედმა ბოლომდე არ გასწირა „მაკაბი“, ძმებმა ტრავმები მოიშუშეს და უნივერსიტეტელებთან უეჭველად ითამაშებენო, გვითხრეს კლუბის ხელმძღვანელებმა. იმაზე საუბარი, რა ძალას წარმოადგენენ ტყუპები ამ კლუბისთვის, ვფიქრობთ, ზედმეტია. „მაკაბის“ უკანახაზის ქმედებას სწორედ ბერიშვილები განაპირობებენ, თანაგუნდელებს შეხვედრის შინაარსს კარნახობენ, პასებით ამარაგებენ და თავადაც ერთობ აწიოკებენ მოწინააღმდეგის დაცვას.

ურნგრეთიდან დაბრუნებული ცენტრი, კახა შენგელია იქნებ არცთუ საუკეთესო ფორმაშია, მაგრამ ასეც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მისი ფიზიკური მონაცემები აფრთხობს მომხდურს. მას შემდეგ, რაც კახა „მაკაბის“ შეუერთდა, ამ გუნდის ფარქვეშ შეღწევა ერთიორად გაძნელდა. შენგელია არცისე მოძრავია, საკმაოდ დინჯად ირჯება, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მას მეურვედ ვეტერანი გიორგი ბერუაშვილი ეყოლება, ვეჭვობთ, პრობლემები შეექმნას. ბერუაშვილი დიდად გამოცდილი კალათბურთელია, თუმც ჯანი ძველებურად აღარ ერჩის და შენგელიას წინააღმდეგობის დაძლევა ძალიან გაუჭირდება. ისიც სათქმელია, რომ ცენტრის პოზიციაზე თსუ-ს არჩევანი არა აქვს. ზურაბ სანიკიძე ახალგაზრდაა და ჯერ ვერ დაეყრდნობა მწვრთნელი ნოდარ ქორქია, ფარზე ერთადერთი გოჩა არსაშვილი თუ შეეშველება ბერუაშვილს, რომელიც ამჯერად თავდამსხმელი უფროა და იძულებით თამაშობს ცენტრზე. ამ მხრივ „მაკაბიში“ სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. ეს კლუბი ერთ-ერთი ტანმაღალია ჩვენში. შენგელიაზე უკვე მოგახსენეთ, ახლა, ალექსანდრე ფერიაშვილზეც ვთქვათ. „ფერო“ სტაბილური მოთამაშეა, თანაბარი წარმატებით მოქმედებს ცენტრის პოზიციაზეც და ფრთაზეც. ერთი სიტყვით, ძალიან საიმედოა ფერიაშვილი, ისეთს არაფერს იზამს, გუნდი აზარალოს. არ უნდა დავივიწყოთ დავით ტალაბაძეც. იგი ერთდროულად მსროლელიცაა, ფრთაც და თავდამსხმელიც, გაჩნია, რომელიც რგოლი უფრო საჭიროებს მის დახმარებას.

ზემოთ მაკაბელთა სკამის სიმოკლე აღვნიშნეთ და არცთუ ტყუილად. ეს ფაქტორი დიდად აზარალებს ამ კლუბს. ჩამოთვლილ ხუთეულს ერთი-ორი კარგი შემშველებელი რომ ჰყავდეს, „მაკაბის“ ბედს ძალღი არ დაჰყეფდა. იღბალი იქით იყოს და ამ გუნდს პრეტენზიაც გაცილებით მეტი ექნებოდა. ექვსეულშიც ხომ კარგა ხნით ადრე დაიბევებდა ადგილს.

რა ქნას თსუ-მ, რისი უნდა ეიმედებოდეს ნოდარ ქორქიას? მას ისეთი გაქანების ოსტატები არ ჰყავს, როგორიც მოწინააღმდეგეს. ბედს შეურიგდეს? არც ეს აზრია ჭკუასთან ახლოს.

მწვრთნელმა უნდა მოახერხოს და წარმატების წინაპირობად თავისი საშწყსოს ახალგაზრდული შემართება აქციოს. შეგირდებს ქორქიამ ის სული უნდა შთაბეროს, რომელიც თსუ-ს გამარჯვებამდე მიიყვანს. გამოსავალს ეძებს ახლა ქორქია, აქეთ-იქით აწყდება, მეცხრე ეროვნულში ეს თსუ-ს ყველაზე საპასუხო მატჩია და იმიტომ.

სტუდენტთა ლიდერი უდაოდ გოჩა წოწელიაა. ვერ იტყვი, რა დროს დაატყდება რისხვად მეტოქეს. ალღოიანად მოქმედებს წოწელია, კარგად ისვრის შორი მანძილიდან და არაერთხელ მატჩის ბედიც გადაუწყეტია თავისიანთა სასარგებლოდ. წოწელია ძირითადად გამთამაშებლის დამხმარედ ირჯება, უკანახაზსა და წინახაზს კი გიორგი მარკოიშვილი აკავშირებს. მართალია, იგი ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაო პრაქტიკა დაგროვებია და ნებისმიერი მეტოქე დიდ ყურადღებას უთმობს მის წინააღმდეგ თამაშს.

სხვა მხრივ, ორივე გუნდი დაცვის ერთიდაიმავე ტაქტიკის მიმდევარია. თსუ-ც და „მაკაბიც“ დაცვაში ზონურ თამაშს ამჯობინებენ-ხოლმე. თუ ახლაც ასე იქნება, გამთამაშებელთა მარიფათი ბევრს განსაზღვრავს. კარგ მსროლელზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

მწვრთნელთა ნაფიქრალ-ნააზრევიც, ვფიქრობთ, გადამწყვეტი იქნება. თავკაცის მხრიდან სათამაშო სიტუაციებში შეუმცდრად გარკვევა ხომ გამარჯვების თავიდათავია. საკითხავი ისღაა, ვინ უფრო მეტად გამოავლენს შესაძლებლობებს.

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ბასკო“ ამ უქმეებზე თბილისში ჩემპიონ „ვითას“ სტუმრობს და თუ ხვალაც იმარჯვა, დაუმარცხებლად დასრულებს თავისი სადებიუტო სეზონის მომქანცველ მარათონს — რეგულარულ ჩემპიონატს. „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში ზურაბ ტომარაძე პირველად წარსდგება თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. აქ ის იგულისხმება, რომ ბათუმელთა თამაშს სწორედ ტომარაძე გაუძღვება. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრისასაც ტომარაძე, მართალია, მოიხსენიებოდა „ბასკოს“ თავკაცად, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ვალერი ალთაბაევი წვრთნიდა გუნდს.

მწვრთნელის გარდა შარშანდელი „ვითას“ სამი კალათბურთელიც დაუპირისპირდება ჩემპიონს. მამუკა აბრამიძე, ალეკო დავითულიანი და ირაკლი ბაქრაძე გასულ წელს სწორედ რომ „ვითაში“ თამაშობდნენ და სეზონის ბოლოს ჩემპიონობითაც მოიწონეს თავი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ აწ უკვე ბასკოელებს — ქარაბაკს, ბეჟანიშვილსა და მაისურაძესაც უთამაშიათ თავის დროზე „ვითაში“.

გელა წულაძის გუნდმა წინა ტურში სტუ-სთანაც დაამტკიცა, რომ ისე არ დაძაბუნებულა, ვინმემ ალმაცერად რომ შეხედოს. წლეულს „ვითა“ მართალია, განახევსრებულია, მაგრამ ასეც საკმაოდ მწარედ იჩხვლიტება, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ჩემპიონური შემართება ბოლომდე გაჰყვება ამ კლუბს. წულაძემ და ტომარაძემ კარგა ხანს ერთადაც იმუშავეს და ზედიზედ ორჯერ საჩემპიონო გვირგვინიც დადგეს „ვითას“. ახლა ისინი ერთმანეთს ეტოქებიან, მათი ინტერესის სფეროც აბსოლუტურად სხვადასხვა და აქედან გამომდინარე, კარგა მოზრდილი ინტრიგაც იშვა: საინტერესოა, „ხეზე ასვლა“ თუ ასწავლა ერთ დროს მასწავლებელმა ტომარაძემ თავის მოწაფე წულაძეს.

თუ „ვითას“ დიდი ბრძოლის გადახდა უწევს, მესამადგილოსან სტუ-ს თავი ქუდში აქვს. ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი ამ ტურში სსუ-ს ხვდება, რის საფუძველზეც შეიძლება თამამად ითქვას, სტუ მოიგებს და კიდევ უფრო გაამყარებს პოზიციებს.

დაარხეინებულია ვიცე-ჩემპიონი „აზოტიც“. დღეს რუსთაველები სოლიდურ „შევარდენს“ ეთამაშებიან, მაგრამ საკმარისია მეტოქე ჯეროვნად შეაფასონ და ორი ქულის მოპოვებაც არ უნდა გაუჭირდეთ.

სდასუ ოთხეულში ეცილება ადგილს „ვითას“. წინა ტურისა არ იყოს, ჩემპიონი ახლაც ქულის დაკარგვის საფრთხის წინაშე იმყოფება, რაც, ბუნებრივია, ფრთებს ასხამს სდასუ-ს. სტუდენტები „დინამოს“ უნდა დაუპირისპირდნენ, გუნდს, რომელიც წლეულს არნახულად სუსტად გამოდის. აქაც წინდაწინვე ცხადია ყოველივე.

ასკ — „გორის“ თამაშზე კი ბევრს ნუ ვიმარჩიელებთ. საქმე ისაა, ამ შეხვედრის შედეგი ბევრსაც ვერაფერს შეცვლის. ორივე აუტსაიდერობისთვისაა განწირული.

გიორგი გიკაშვილი

სლოვენია

ექვსეულის III ტური

კრკა — ოლიმპია 77:79, პივოვარნა — ტრიგლავი 99:93

სლოვანი 91:86 სავინსკი

(ძირითადი დრო 72:72)

სლოვანი: ნოვაკი (22), ლაკოვიჩი (9), ჟაკელი (6), ჯურკოვიჩი (18), კოვაჩი (1), პავიჩი (2), ბოისა (17), მარავიჩი (10), შუშტარშიჩი (6)

სავინსკი: კადიჩი (3), კობალე (9), ბ.უდრიჰი (17), ოვჩინა (21), ს. უდრიჰი (10), კაპრომანოვიჩი (4), იოსიპოვიჩი (2), ჩმერი (12), გორიუპი, ციზეი (8)

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ლიუბლიანის „სლოვანმა“ მოიგო და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილი დაიბრუნა. სლოვანელთა მეტოქე პოლზელას „სავინსკი“ იყო, რომლის წინააღმდეგაც ქართველების გუნდს თამაში უჭირს.

ქართველთაგან მხოლოდ ვლადიმერ ბოისამ ითამაშა. მან მოედანზე 36 წუთი დაჰყო, სამი სამქულიანიდან ორი ჩააგდო, რვა ორქულიანიდან — სამი, სამაგიეროდ ხუთივე საჯარიმო გამოიყენა. ბოისამ ექვსი ბურთი მოხსნა და ერთი პასი გააკეთა. დავით უგრეხელიძე და ნიკა ცქიტიშვილი განაცხადში იყვნენ, მაგრამ თამაშში არ ჩართულან.

„სლოვანმა“ პირველი ტაიმი 40:33 მოიგო. ძირითადი დრო 72:72 დასრულდა. დამატებით ხუთწუთეულში ლიუბლიანელთა უპირატესობა ფარზე კიდევ უფრო გამოიკვეთა და მათ სწრაფი გარღვევებით „სავინსკის“ წარმატების ყოველგვარი შანსი მოუსპეს. მოხსნებში „სლოვანმა“ 42:29 აჯობა მეტოქეს.

ექვსეულის მეოთხე ტურში „სლოვანი“ დღეს ესტუმრება კრანის „ტრიგლავს“.

ოლიმპია	25	23	2	2199:1567	48
პივოვარნა	25	23	2	2253:1839	48
კრკა	25	18	7	1972:1772	43
სლოვანი	25	13	12	1836:1815	38
ტრიგლავი	25	13	12	1838:1944	38
სავინსკი	25	11	14	2001:1991	36

7-12 ადგილები. III ტური

ჰელიოსი — ზაგორიე 85:91, ლოკა კავა — როგლა ატრასი 76:62, მარიბორი — კრაშკი ზიდარი 67:80

ზაგორიე	25	14	11	1841:1944	39
ლოკა კავა	25	8	17	1754:1932	33
როგლა ატრასი	25	7	18	1814:2000	32
ჰელიოსი	25	7	18	1893:2116	32
მარიბორი	25	7	18	1777:2104	32
კრაშკი ზიდარი	25	6	19	1804:1958	31

იტალია

XXV ტური

ტრიესტი — ვიოლა 84:83, სიენა — ბენეტონი 78:90, იმოლა — კინდერი 80:78, რეჯანა — ადეკო 81:68, ფორტიტუდო — აეროპორტი 73:61, სავოლინი — პესი 86:82, მიულერი — კანტუ 99:83, ვარეზე — ძუკეტი 85:74

ფორტიტუდო	25	23	2	1967:1698	48
კინდერი	25	18	7	1918:1691	43
ბენეტონი	25	18	7	1910:1779	43
სავოლინი	25	16	9	1939:1848	41
აეროპორტი	25	15	10	1810:1840	40
ძუკეტი	25	14	11	1885:1856	39
იმოლა	25	13	12	2064:2052	38
ვიოლა	25	13	12	1862:1905	38
სიენა	25	12	13	1722:1715	37
ტრიესტი	25	10	15	1845:1827	35
ვარეზე	25	10	15	1872:1885	35
მიულერი	25	9	16	1789:1893	34
პესი	25	8	17	1753:1884	33
ადეკო	25	8	17	1766:1914	33
კანტუ	25	8	17	1755:1934	33
რეჯანა	25	5	20	1848:1984	30

საბერძნეთი

XXIV ტური

ესპეროსი — ირაკლიონი 107:99, პანათინაიკოსი — ირაკლისი 75:71, პანიონიოსი — ოლიმპიაკოსი 79:75, სპორტინგი — არისი 73:76, პაოკ — ნიარ ისტი 72:64, მარუსი — პერისტერი 67:76, დაფნი — აეკ 63:66

ოლიმპიაკოსი	24	19	5	1717:1511	43
აეკ	24	19	5	1798:1593	43
პანათინაიკოსი	24	19	5	1818:1520	43
პაოკ	24	15	9	1766:1658	39
პანიონიოსი	24	13	11	1778:1756	37
პერისტერი	24	13	11	1763:1740	37
ირაკლისი	24	13	11	1718:1636	37
არისი	24	12	12	1692:1704	36
ირაკლიონი	24	11	13	1862:1814	35
ნიარ ისტი	24	10	14	1800:1936	34
მარუსი	24	9	15	1675:1732	33
დაფნი	24	8	16	1706:1869	32
ესპეროსი	24	4	20	1632:1949	28
სპორტინგი	24	3	21	1593:1900	27

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

ცხრამეტი მოგება მქონდა, ოცი არ გადამეხადა...

16 მარტი

სიეტლი 117:103 ვანკუვერი

სიეტლი: პეიტონი (30 ქულა, 16 მოხსნა), ბერი (21 ქულა, 6 პასი, 4 ჩაჭრა), პატერსონი (16), ბეიკერი (21), გრანტი (14); მაქსველი (9), ლუისი (4), ფოსტერი (2), სტეშანნი, ვილიამსი, მაკკოი

ვანკუვერი: ბიბი (23 ქულა, 13 პასი), დიკერსონი (24), აბდურ-რაჰიმი (22 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ჰარინგტონი (5), რივზი (18); ვესტი (6), სკოტი (3), ლონგი (2), პარქსი

„ვანკუვერში" რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა თამაშობს და, არაა გამორიცხული, ეს გუნდი მომავალში ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს, მაგრამ დღესდღეობით კანადელები ნამდვილად ვერ არიან იმ დონეზე, რომ სერიოზულ მეტოქეებს, თუნდაც „სიეტლ სუპერსონიქსს", რაიმე სახეიროს გამორჩნენ. ბუნებრივია, გამონაკლისები ყოველთვის ხდება და ვანკუვერელ „დათვებს" მიმდინარე სეზონში მოუპოვებიათ ორიოდე „სახელოვანი" გამარჯვება, მაგრამ... მისი სატურნირო მდგომარეობა ხომ ყველაფერზე მეტყველებს — „ვანკუვერი" შუა დასავლეთის არცთუ ძლიერ დივიზიონში ბოლო ადგილზე მიყუჟულა და რაიმე განსაკუთრებული თუ არ მოხდა, რეგულარულ ჩემპიონატს იქვე დაასრულებს.

ამ სეზონში „ვანკუვერმა" ვლადიმერ სტეფანიას „სუპერსონიქსთან" ვერაფერი გააწყო. „დათვებმა" მეოთხე და საბოლოო შეხვედრაც დათმეს „ზებგერითებთან". ამ თამაშში „სიეტლმა" არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რათა მისთვის ერთი მატჩი მაინც მოეგო და ასე სამარცხვინოდ არ დაესრულებინა პაექრობა. არა, კანადელებს შემართება და სულისკვეთება არ დაეწუნებათ, მაგრამ მაინც ვერ გამოჰგლიჯეს მასპინძლებს გამარჯვება.

„სიეტლი" ამ მატჩამდე სამი დღით ადრეც ეთამაშა „ვანკუვერს" სტუმრად. იქ „სონიქსმა" ყველაზე დიდი მომხსნელი ვინ ბეიკერი მოისაკლისა, რამაც მასპინძელთა თეთრ ცენტრ ბრაიან რივზს „სიეტლის" ფარისკენ მწვანე შუქი აუნთო და „დიდ სოფლელად" წოდებულმა 30 ქულა გაახერხა. ახლა ბეიკერთან ჭიდილში მისმა შედეგმა 18 ქულამდე დაიწია.

თვითონ თამაში „სიეტლის" აშკარა უპირატესობით დაიწყო. მასპინძლები თავიდანვე ეკვეთნენ მომხდურებს და სულ ბდღვირი ადინეს. როგორც ეს საერთოდ ხდება, ბობოქრობდა „სონიქსის" ლიდერი გერი პეიტონი, რომელმაც სამი დღის წინ „ვანკუვერს" 40 ქულა ჩაუგდო. მის გაჩერებას არც ახლა დაადგა საშველი. პეიტონმა პირველ მეოთხელში 14 ქულა, ექვსი პასი და ოთხი მოხსნა მოაგროვა და საწყის პერიოდშივე აისრულა საწადელი — კარიერაში დაგროვილ ქულებში 13 ათასს გადააბიჯა და მერე ოდნავ დაწყნარდა. თუმც მან უკვე თავისი საქმე გააკეთა — პირველი თორმეტწუთიანი მასპინძლებმა 40:26 მოიგეს. „სიეტლი" მოეშვა, თავს მოდუნების უფლება მისცა, რითაც „ვანკუვერმა" იხეირა — მეორე მეოთხედი ზედიზედ შვიდი ქულის ჩაგდებით დაიწყო და სამ წუთში სხვაობა ექვს ქულამდე დაიყვანა — 40:34. „სონიქსმა" ზურგსუკან მეტოქის სუნთქვა რომ იგრძნო, კვლავ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. პეიტონის მეწყვილემ უკანა ხაზში, ბრენტ ბერიმ ორი სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები ათი ქულით დაწინაურა. „ვანკუვერმა" კიდევ გაიბრძოლა და ტაიმი შვიდქულიანი სხვაობით დაასრულა. სულ ეს იყო, რაც „გრიზლიზმა" მოახერხა. მეორე ტაიმი პირწმინდად წააგო და ზედიზედ მეცხრე მარცხიც იწვნია.

მეორე ტაიმში ჩიეტლელთა რიგებში ჩვენებური ვოვა სტეფანია გამოჩნდა. ქართველმა ჰორას გრანტი შეცვალა, სულ ერთი წუთით შეინავარდა მოედანზე და ისევ სათადარიგოებში გადაინაცვლა. ყოველგვარი ქულის, მოხსნის, თუ სხვა რომელიმე სტატისტიკური მაჩვენებლის გარეშე.

კლივლენდი 86:107 იუტა

კლივლენდი: ფერი (15)

იუტა: ეისლი (23), მელოუნი (21), რასელი (19 ქულა, 15 მოხსნა)

მაიამი 92:77 ფილადელფია

მაიამი: მურნინგი (21 ქულა, 6 დაფარება), ჰარდევეი (18 ქულა, 14 მოხსნა, 9 პასი)

ფილადელფია: რეთლიფი (20)

მილუოკი 106:96 ჰიუსტონი

მილუოკი: ალენი (28), კასელი (22), რობინსონი (19)

ჰიუსტონი: ფრენსისი (22), მობლი (20), ვილიამსი (19)

სან ანტონიო 88:110 დალასი

სან ანტონიო: რობინსონი (20)

დალასი: სტრიკლენდი (26), ფინლი (22), ნოვიცკი (19)

პორტლენდი 92:96 მინესოტა

პორტლენდი: პიპენი (21), ვოლეი (19), სმიტი (19)

მინესოტა: ბრენდონი (25), გარნეტი (17 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

ვაშინგტონი 109:102 ლეიკერსი

ვაშინგტონი: რიჩმონდი (32)

ლეიკერსი: ონილი (40 ქულა, 12 მოხსნა), რაისი (22)

როგორც იქნა, დასრულდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" უძლეველი სერია, დასრულდა ერთობ მოულოდნელად, იქ, სადაც არავინ ელოდა. თითქოს სიმბოლურიც იყო. ფილ ჯეკსონი და მისი დაუმარცხებელი ბიჭები ჯეკსონის ყოფილი შეგირდის, მაიკლ ჯორდანის გუნდთან დამარცხდნენ. კლუბის ერთ-ერთი მფლობელი და პრეზიდენტია მაიკლ ჯორდანი, მაგრამ „ვაშინგტონის" უხეირო თამაშით გაბრაზებული სამი კვირაა, არ ესწრებოდა მის თამაშებს. ახლა თითქოს გულმა უგრძნო, ლეგენდარულმა კალათბურთელმა ინება „ვიზარდსის" თამაშზე მისვლა და იხილა, როგორ „სჭამდა" მისი გუნდი თვით „ლეიკერსს". სტუმართათვის ამ კოშმარული თამაშის შემდეგ „მისი უჰაეროვანესობა" იქით აწყნარებდა შერცხვენილ კობი ბრაიანტსა და სხვებს, არა უშავს, მეც ვყოფილვარ ასეთ მდგომარეობაში, ახლა ამას არაფერი ეშველება, უბრალოდ, ეს ერთი რიგითი მარცხია და არ ღირს გულთან ახლოს მიტანაო. მართალიცაა, „ლეიკერსი" ამით არ დაიქცევა, თუმც, ცხადია, დასანანია, რადგან ლოს ანჯელესელებს სურდათ, ზედიზედ 19 გამარჯვებისთვის სულ ცოტა, ორიც წაემატებინათ, რათა 1971 წლის „მილუოკის" მიყოლებით 20 მოგებისთვის გადაესწროთ და ზედიზედ გამარჯვებების სერიაში მეორე ადგილზე გადასულიყვნენ. მაგრამ, „ვაშინგტონმა" მეტოქის ამდენი წვალება ერთი თვალის დახამხამებაში გაატანა ქარს. არადა, ამ სასწაულის ჩამდენ გუნდს მთლიანად სეზონში დაეგროვებინა 19 მოგება, თუ ამ ბოლოს არ ჩავთვლით.

„ვაშინგტონის" გამარჯვებამ, ცხადია, აღაფრთოვანა მაიკლ ჯორდანი, მაგრამ როგორც კლუბის ადმინისტრაციის თავკაცი, იგი უკვე მომავალ თამაშზე ფიქრობდა: „ძლიერ გახარებული ვარ. ბიჭების თამაში მომეწონა. მათ ბრძოლით მიაღწიეს გამარჯვებას, მაგრამ ყოველთვის სამწუხაროა, როცა კარგი თამაშის შემდეგ გუნდი მომდევნოს ჩაგდებს, თან ისეთ მეტოქესთან, რომელიც ერთი შეხედვით ვერაა მისი დონის. ჩემს გუნდს კი, სამწუხაროდ, ეს დასჩემდა". ჯორდანს დიახაც რომ აქვს საფიქრალი, რადგან შაბათს მისი ბიჭები ჯორდანის ყოფილ გუნდს, „ჩიკაგო ბულზს" ეთამაშებიან. „ჩიკაგოსა" და „ლეიკერსს" შორის უზარმაზარი სხვაობაა და დიადი მაიკლი იმას დაუფიქრებია, ამ გამარჯვების შემდეგ ვაითუ ბიჭებმა სერიოზული თვალით არ შეხედონ „ჩიკაგოს" და ემანდ სირხვილი არა ვჭამოთო. ყოველ შემთხვევაში, „ვიზარდსმა" „ბულზის" წინააღმდეგაც თუ ისევე ითამაშა, როგორც „ლეიკერსთან", საეჭვოა, „ჩიკაგომ" მას რაიმე დააკლოს.



ვაშინგტონი — ლეიკერსი. ბრაიან შოუმ (მუქ ფორმაში) მიჩ რიჩმონდი ვერ გააჩერა

„ლეიკერსთან" კი მართლაც შეუდარებელნი იყვნენ დედაქალაქელები, განსაკუთრებით მიჩ რიჩმონდი და როდ სტრიკლენდი (16 პასი). მათი თაოსნობით მასპინძლებმა თავიდანვე უმოწყალოდ აგიოკეს მძლავრი მეტოქის კალათი და უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ 16 ქულის სხვაობით იგებდნენ — 36:20. მეორე მეოთხედში სხვაობამ ერთხანს 20 ქულასაც უწია, რის შემდეგაც „ლეიკერსი" როგორც იქნა, გამოვიდა შოკიდან და თანდათან შეამცირა ჩამორჩენა. აქტიურობდა სტუმართა ლიდერი შაკილ ონილი, მის გაჩერებას დედაქალაქელებმა მართლა ვერ დააყენეს საშველი. მართალი რომ ითქვას, ისინი სხვა დანარჩენთა დაკეტვას უფრო ესწრაფვოდნენ, რადგან იცოდნენ, ონილთან ამგვარი ცდა უნაყოფოდ ჩაუვლიდათ. ამან გაამართლა, მჭიდრო მარწუხებში მოქცეული კობი ბრაიანტი თავის თავს აღარ ჰგავდა. მას თამაშში ხეირიანი არაფერი გაუკეთებია და სულ შვიდი ქულით, ექვსი ჯარიმით და ექვსი ბურთის დაკარგვით დაასრულა ეს შეხვედრა. დანარჩენ სტუმართაგან ისევ გლენ რაისი თუ გამოირჩეოდა, მაგრამ ვერც იგი ეხმარებოდა ჯეროვნად შაკილ ონილს. ამას კი არც ძალა ეყო და არც დრო.

„ლეიკერსმა" იქნებ იმიტომ წააგო, რომ არასერიოზულად მოეკიდა ამ თამაშს. ამას სტუმართა მწვრთნელის, ფილ ჯეკსონის მატჩამდე ნათქვამი სიტყვებიც ადასტურებს. როცა ამ ღვაწლმოსილ კაცს ჰკითხეს, რას აპირებდა მისი გუნდი, ჯეკსონმა უპასუხა, რომ წაგების ვერანაირ მიზეზს ვერ ხედავდა. იგი სულ სხვა რაზეზე ფიქრობდა — ჯეკსონის მთელი გულისყური მიპყრობილი იყო სტუდენტური კალათბურთისკენ, რომლის წლევანდელი სეზონი ახლა გადამწყვეტ ფაზაში შედის.

16 მარტი უიღბლო გამოდგა არა მარტო „ლოს ანჯელეს ლეიკერსისთვის", არამედ სხვა დასავლელი ბობოლებისთვისაც. არანაკლებ მოულოდნელი იყო „სან ანტონიოს" შინაური მარცხი „დალასთან", რომელსაც სან ანტონიოში ოთხი წელია, არ მოეგო. „დალასმა" ჩემპიონებს ერთბაშად 12 სამქულიანი ჩაუგდო და წინა სეზონის ტრიუმფატორი 23 ათასი ქომაგის თვალწინ შეარცხვინა.

ვერ ივარგა ჩემპიონობის კიდევ ერთმა კანდიდატმა „პორტლენდმა", რომელიც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა „მინესოტას" და ბოლო წუთებში გაუშვა გამარჯვება ხელიდან.

ირაკლი ფირაშვილი

იუგოსლავიურ კალათბურთს მამა აღარ ჰყავს

იუგოსლავიური კალათბურთი დაობლდა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 76 წლისა გარდაიცვალა ამ ქვეყნის ისტორიაში უდიდესი საკალათბურთო მწვრთნელი ალექსანდარ ნიკოლიჩი, რომელიც „იუგოსლავიური კალათბურთის მამად" იყო შერაცხული.

ნიკოლიჩი 29 წლისა იყო, როცა 1953 წელს პირველად ჩაიბარა იუგოსლავიის საკალათბურთო ნაკრები. იმ დროს იუგოსლავიაში კალათბურთი არცთუ ისე პოპულარული იყო. ნიკოლიჩის ძალისხმევის შედეგად იუგოსლავია ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და კონტინენტის 1961 და 1965 წლების ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა, ხოლო 1963 წელს — ბრინჯაო.

შემდეგ ნიკოლიჩი კლუბების მწვრთნელობაზე გადაერთო. თავდაპირველად იტალიის ჩემპიონატის აუტსაიდერი „პეტრარკა" ჩაიბარა და მესამე ადგილზე გაიყვანა. იუგოსლავიელი სპეციალისტი წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. 1969 წელს ნიკოლიჩი ვარეზეს „ინისს" ჩაუდგა სათავეში და არნახული გამარჯვებები მოპოვებინა. ოთხი წლის განმავლობაში (1969-1973) „ინისმა" სამ-სამჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი, იტალიის თასი და ევროპის ჩემპიონთა თასი. ორჯერ კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა კლუბებს შორის. აღსანიშნავია, რომ 1970 და 1973 წლებში ნიკოლიჩის „ინისმა" ერთ სეზონში მოიპოვა ოთხივე ზემოაღნიშნული ჯილდო.

1976 წელს, იუგოსლავიის ნაკრებთან 11-წლიანი განშორების შემდეგ, ალექსანდარ ნიკოლიჩი კვლავ ჩაუდგა სათავეში ქვეყნის უძლიერეს გუნდს და 1977 წელს ევროპის, ხოლო 1978 წელს — მსოფლიოს ჩემპიონატები მოაგებინა. როგორც საკლუბო მწვრთნელს, ნიკოლიჩს მოუგია 357 მატჩი და წაუგია 200, ხოლო იუგოსლავიის ნაკრების სათავეში ყოფნისას 101 გამარჯვებას 39 მარცხი შეუნაცვლა. ნიკოლიჩის თანაშემწეები იუგოსლავიის ნაკრებში სხვადასხვა დროს იყვნენ ფიბა-ს ახლანდელი გენერალური მდივანი ბორისლავ სტანკოვიჩი და იუგოსლავიური და ხორვატული კალათბურთის ლეგენდარული ცენტრი, აწ გარდაცვლილი კრეშემირ ჩოსიჩი. 1998 წელს, მსოფლიო კალათბურთის წინაშე დიდი დამსახურებისთვის, ალექსანდარ ნიკოლიჩი ამერიკაში, სპრინგფილდში მდებარე „საკალათბურთო დიდების დარბაზის" წევრად აირჩიეს. ამგვარი პატივი სულ რამდენიმე ევროპელ მწვრთნელს რგებია.

ალექსანდარ ნიკოლიჩის დასაფლავებაზე მისი მოსწავლეები შეიკრიბნენ. მათ შორის იყვნენ ბოგდან ტანიევიჩი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი), ბოჟიდარ მალკოვიჩი (განთქმული იუგოსლავიელი სპეციალისტი, ამჟამად ესპანეთის „უნიკახას" მწვრთნელი), დიდი იუგოსლავიელი კალათბურთელები: დრაგან კიჩანოვიჩი (იუგოსლავიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი), დრაჟენ დალიპაგიჩი, ზორან სლავნიჩი...

ალექსანდარ ნიკოლიჩი ბელგრადის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

დიგიტალიზებული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. 25-ე ტური

18 მარტი

003	ფრაიბურგი-ჰამბურგი	2,4	,9	2,6
004	ულმი-ლევერკუზენი	3,5	2,8	2,0
005	შალკე-შტუტგარტი	1,9	2,8	3,8
006	კაიზერსლ.-დუისბურგი	1,3	4,0	7,5
007	კაიზერსლ.-დუისბურგი 0:1	1,9	3,2	2,6
008	ჰერტა-ბაიერნი	3,3	2,8	2,1

19 მარტი

009	მიუნხენ 1860-ვერდერი	2,1	2,8	3,3
010	დორტმუნდი-არმინია	1,35	3,8	7,0
011	დორტმუნდი-არმინია 0:1	2,0	3,0	2,4

გერმანია. II ბუნდესლიგა. 23-ე ტური

18 მარტი

015	ფიურტი-ბოხუმი	2,8	2,9	2,3

19 მარტი

016	ობერჰაუზენი-ბერლინი	2,5	2,9	2,5
017	კარლსრუე-ფორტუნა	2,0	2,9	3,4
018	ალემანია-ოფენბახი	1,6	3,2	5,0
019	კოტბუსი-კიკერსი	1,35	3,8	7,0
020	კოტბუსი-კიკერსი 0:1	2,0	3,0	2,4

20 მარტი

021	კიოლნი-მიონხენგლადბახი	1,8	2,9	4,2

ინგლისი. პრემიერლიგა. 29-ე ტური

18 მარტი

022	ქოვენთრი-ბრედფორდი	1,6	3,0	5,6
023	დერბი-ლივერპული	3,0	2,9	2,2
024	ლესტერი-მანჩესტერი	3,4	2,9	2,0
025	საუთჰემპტონი-ასტონ ვილა	2,5	2,9	2,5
026	სანდერლენდი-მიდლსბრო	1,8	2,9	4,2
027	უოტფორდი-უენსდი	2,8	2,9	2,3
028	ვესტ ჰემი-ჩელსი	2,9	2,8	2,3

19 მარტი

029	არსენალი-ტოტენჰემი	1,8	2,8	4,4
030	ლიდსი-უიმბლდონი	1,3	4,0	7,5
031	ლიდსი-უიმბლდონი 0:1	2,0	2,8	2,6
032	ევერტონი-ნიუკასლი	2,1	2,8	3,3

ინგლისი. I დივიზიონი. 37-ე ტური

18 მარტი

033	ბირმინგემი-ბარნსლი	2,0	2,9	3,4
034	ქრიუ-პორტსმუთი	1,9	2,9	3,6
035	კრ.პალასი-პორტ ვეილი	1,7	3,1	4,4
036	ფულემი-ბლექბერნი	1,8	2,9	4,2
037	გრიმსბი-ბოლტონი	2,3	2,8	2,9
038	ნოტინგემი-ტრანმერი	2,0	2,9	3,4
039	შეფილდი-სტოკპორტი	1,7	3,0	4,7
040	სუინდონი-ვულვერჰემპტონი	3,4	2,9	2,0
041	უოლსოლი-ქუინზ პარკი	2,5	2,9	2,5
042	ვესტ ბრომვიჩი-ჰადერსფილდი	2,4	2,9	2,6

19 მარტი

043	იფსვიჩი-ნორვიჩი (17^{00})	1,5	3,4	5,6
044	მანჩესტერ სიტი-ჩარლტონი (17^{00})	2,4	2,8	2,7

ინგლისი. II დივიზიონი. 37-ე ტური

18 მარტი

046	ბრენტფორდი-ბორნმუთი	1,7	3,0	4,7
047	როვერსი-ჩესტერფილდი	1,2	5,0	9,0
048	როვერსი-ჩესტერფილდი 0:1	1,7	3,2	3,2
049	ბარნლი-რედინგი	1,5	3,4	5,6
050	კემბრიჯი-რექსემი	2,0	2,9	3,4
051	ჯილინგემი-სკანთორპი	1,4	3,6	6,5
052	ჯილინგემი-სკანთორპი 0:1	2,0	3,2	2,3
053	მილუოლი-ბლეკპული	1,4	3,5	7,0
054	მილუოლი-ბლეკპული 0:1	2,0	3,2	2,3
055	ოლდემი-ბრისტოლი	2,2	2,9	3,0
056	ოქსფორდი-ნოტსი	2,5	2,9	2,5
057	პრესტონი-ლუტონი	1,5	3,4	5,6
058	სტოკი-უიკომბი	1,5	3,4	5,6
059	უიგანი-ბერი	1,4	3,5	7,0
060	უიგანი-ბერი 0:1	2,0	3,2	2,3

ინგლისი. III დივიზიონი. 37-ე ტური

18 მარტი

063	კარლაისლი-ბარნეტი	2,8	2,9	2,3
064	დარლინგტონი-სუონსი	2,1	2,9	3,2
065	ჰალიფაქსი-ჰალი	1,9	2,9	3,6
066	ჰარტლპული-ტორკი	1,9	2,9	3,6
067	ლინკოლნი-ბრაიტონი	1,8	2,9	4,2
068	მაკლსფილდი-პიტერბრო	2,6	2,9	2,4
069	ნორთჰემპტონი-ექსეტერი	1,5	3,3	6,0
070	პლიმუთი-ჩელტენემი	2,0	2,9	3,4
071	როჩდეილი-ლეიტონი	1,7	3,0	4,7
072	შრიუსბერი-იორკი	2,0	2,9	3,4
073	საუთენდი-ჩესტერი	1,6	3,2	5,0

იტალია. სერია "ა". 26-ე ტური

18 მარტი

075	ფიორენტინა-კალიარი	1,6	3,0	5,6
076	ინტერი-ბოლონია	1,25	4,4	8,0
077	ინტერი-ბოლონია 0:1	1,8	3,3	2,8

19 მარტი

078	ბარი-პერუჯა	1,8	2,8	4,4
079	პარმა-პიაჩენცა	1,2	5,0	9,0
080	პარმა-პიაჩენცა 0:1	1,7	3,2	3,2
081	რომა-რეჯინა	1,2	5,0	9,0
082	რომა-რეჯინა 0:1	1,7	3,2	3,2
083	უდინეზე-ლეჩე	1,7	2,8	5,3
084	ვენეცია-მილანი	3,8	2,8	1,9
085	ვერონა-ლაციო	3,8	2,8	1,9
086	იუვენტუსი-ტორინო	1,5	3,1	7,0

იტალია. სერია "ბ". 27-ე ტური

19 მარტი

088	ალძანო-სავოია	1,6	2,8	6,5
089	ფერმანა-კიევო	2,3	2,6	3,1
090	მონცა-სალერნიტანა	2,8	2,5	2,6
091	ნაპოლი-ტრევიზო	1,5	3,0	7,5
092	პესკარა-ემპოლი	1,8	2,6	5,0
093	პისტოიეზე-ატალანტა	2,9	2,5	2,5
094	რავენა-ჩეზენა	2,1	2,4	3,8
095	ტერნანა-ბრეშა	3,2	2,3	2,5

20 მარტი

096	სამპდორია-ჯენოა	1,8	2,4	5,6

იტალია. სერია "ცა". 27-ე ტური

19 მარტი

097	ალბინოლეფე-სანდონა	1,5	3,0	7,5
098	ბრეშელო-სიენა	2,8	2,3	2,9
099	კარარეზე-პიზა	2,3	2,4	3,4
100	ჩიტადელა-ვარეზე	2,5	2,2	3,4
101	კომო-ლეკო	1,8	2,5	5,3
102	კრემონეზე-რეჯანა	2,5	2,5	2,9
103	ლივორნო-ლუმეცანე	1,7	2,5	6,5
104	მონტევარკი-სპალ	2,6	2,5	2,8

20 მარტი

105	მოდენა-ლუკეზე	2,7	2,3	3,0

იტალია. სერია "ცბ". 27-ე ტური

19 მარტი

106	ანკონა-ატლეტიკო	1,3	3,6	9,0
107	ანკონა-ატლეტიკო 0:1	2,0	2,7	2,6
108	ასკოლი-ლოდიჯანი	1,4	3,3	8,0
109	ასკოლი-ლოდიჯანი 0:1	2,1	3,0	2,3
110	ბენევენტო-გუალდო	1,9	2,5	4,4
111	კატანია-კროტონე	2,7	2,3	3,0
112	ფ.ანდრია-სტაბია	2,6	2,4	2,9
113	ჯულიანოვა-მარსალა	1,7	2,7	5,6
114	ნოჩერინა-აველინო	1,9	2,2	6,5
115	პალერმო-არეცო	2,0	2,4	4,2
116	ვიტერბეზე-დი სანგრო	1,5	3,0	7,5

ესპანეთი. I დივიზიონი. 29-ე ტური

18 მარტი

117	ატლეტიკო-რეალი	2,8	2,9	2,3
118	ბარსელონა-დეპორტივო	1,5	3,2	6,5
119	ვალენსია-მალაგა	1,6	3,0	5,6

19 მარტი

120	რ.ვალეკანო-ვალიადოლიდი (15^{00})	1,9	2,9	3,6
121	მალიორკა-რასინგი	1,6	3,0	5,6
122	სარაგოსა-ესპანიოლი	1,6	3,0	5,6
123	სოსიედადი-ბეტისი	1,9	2,8	3,8
124	სევილია-ნუმანსია	2,2	2,9	3,0
125	ოვიედო-ბილბაო	2,3	2,9	2,8
126	სელტა-ალავესი	1,7	2,9	5,0

ესპანეთი. II დივიზიონი. 31-ე ტური

18 მარტი

127	ლას პალმასი-კორდობა	1,6	3,0	5,6

19 მარტი

128	ხეტაფე-ტოლედო (14^{30})	1,7	3,1	4,4
129	ესტრემადურა-ლევანტე (15^{00})	1,6	3,1	5,3
130	ვილიარეალი-ტენერიფე	2,3	2,8	2,9
131	ელჩე-სპორტინგი	2,5	2,9	2,5
132	ეიბარი-უელვა	1,7	3,1	4,4
133	ბადახოსი-მერიდა	1,9	2,7	4,0
134	ალბასეტე-ატლეტიკო "ბ"	1,9	2,9	3,6
135	სალამანკა-ლეგანესი	1,4	3,5	7,0
136	სალამანკა-ლეგანესი 0:1	2,0	3,2	2,3
137	ლეიდა-ოსასუნა	2,1	2,9	3,2
138	ლოგრონიესი-კომპოსტელა	2,2	2,9	3,0

პორტუგალია. 26-ე ტური

18 მარტი

140	სალგეირუში-ბოავიშტა	2,5	2,9	2,5
141	სპორტინგი-პორტუ	2,3	2,8	2,9

19 მარტი

142	ბენფიკა-ალვერკა	1,2	5,0	9,0
143	ბენფიკა-ალვერკა 0:1	1,7	3,2	3,2
144	ფარენსე-რიუ ავე	1,9	2,9	3,6
145	ლეირია-ბელენენსეში	2,0	2,8	3,5
146	სეტუბალი-ამადორა	2,6	2,9	2,4
147	სანტა კლარა-უილ ვისენტე	2,5	2,7	2,7
148	გიმარაეში-კამპომაიორენსე	1,4	3,5	7,0
149	გიმარაეში-კამპომაიორენ. 0:1	2,0	3,2	2,3

ჰოლანდია. 26-ე ტური

18 მარტი

152	ჰერენვენი-მაასტრიხტი	1,25	4,4	8,0
153	ჰერენვენი-მაასტრიხტი 0:1	1,8	3,3	2,8
154	პსვ-გრააფსხაპი	1,2	5,0	9,0
155	პსვ-გრააფსხაპი 0:1	1,7	3,2	3,2

19 მარტი

156	ვალვაიკი-როდა (17^{30})	2,5	2,9	2,5
157	სპარტა-სიტარდი (17^{30})	1,7	3,2	4,2
158	უტრეხტი-ვიტესი (17^{30})	2,6	2,9	2,4
159	აიაქსი-ტვენტე	1,7	3,0	4,7

ბელგია. 27-ე ტური

18 მარტი

160	სენტ ტრუიდენი-გენტი	3,0	2,9	2,2
161	ლიერსი-შარლერუა	1,35	3,8	7,0
162	ლიერსი-შარლერუა 0:1	1,9	3,4	2,4
163	გეელი-ანდერლეხტი	6,0	3,3	1,5
164	ბეერსხოტი-მეხელენი	1,6	3,1	5,3
165	ლოკერენი-ვესტერლო	2,0	2,9	3,4

19 მარტი

166	ბრიუგე-გენკი	1,5	3,4	5,6
167	ლომელი-სტანდარდი	5,3	3,1	1,6
168	ბევერენი-მუსკრონი	2,6	2,9	2,4
169	აალსტი-ჰარელბეკე	1,8	3,0	4,0

საბერძნეთი. 24-ე ტური

18-20 მარტი

170	პროდეფტიკი-კალამატა	1,9	2,9	3,6
171	ეთნიკოსი-ირაკლისი	2,8	2,9	2,3
172	პანაჰაიკი-პანიონიოსი	2,3	2,9	2,8
173	პანათინაიკოსი-პანილიაკოსი	1,15	5,6	10,0
174	პანათინაიკოსი-პანილიაკ. 0:1	1,5	3,5	3,5
175	ქსანთი-აპოლონი	1,4	3,5	7,0
176	ქსანთი-აპოლონი 0:1	2,0	3,2	2,3
177	პაოკ-ოლიმპიაკოსი	3,6	2,9	1,9

178	ოფი-კავალა	1,2	5,0	9,0
179	ოფი-კავალა 0:1	1,7	3,2	3,2
180	აეკ-იონიკოსი	1,5	3,2	6,5
181	არისი-ტრიკალა	1,2	5,0	9,0
182	არისი-ტრიკალა 0:1	1,7	3,2	3,2

ჩეხეთი. 21-ე ტური

18 მარტი

184	ბუდეიოვიცე-სპარტა	5,6	3,4	1,5

19 მარტი

185	ბოჰემიანსი-იაბლონეცი (17[00])	1,6	3,2	5,0
186	ბლშანი-სიგმა	2,0	2,8	3,5
187	ლიბერეცი-დრნოვიცე	2,4	2,8	2,7
188	ბრნო-ტეპლიცე	2,3	2,8	2,9
189	ჰ.კრალოვე-ვიკტორია	2,2	2,9	3,0

20 მარტი

190	სლავია-დუკლა	1,15	5,6	10,0
191	სლავია-დუკლა 0:1	1,5	3,5	3,5

პოლონეთი. მე-19 ტური

18-19 მარტი

192	სტომილი-ლეხი	1,8	2,9	4,2
193	პოგონი-პოლონია	2,4	2,8	2,7
194	გროცლინი-რუხი	4,2	2,9	1,8
195	რაძიონკოვი-ვისლა	4,2	2,9	1,8
196	ვიძევი-ლკს	1,9	2,9	3,6
197	პლოცკი-გურნიკი	1,9	2,9	3,6
198	ოდრა-ზაგლებე	2,0	2,8	3,5
199	ლეგია-ამიცა	1,6	3,0	5,6

უკრაინა. მე-16 ტური

19 მარტი

200	დინამო-ცსკა	1,15	5,6	10,0
201	დინამო-ცსკა 0:1	1,5	3,5	3,5
202	მარიუპოლი-კარპატი	2,3	2,9	2,8
203	პრიკარპატია-ჩორნომორეცი	2,1	2,9	3,2
204	შახტარი-მეტალურგი	1,5	3,2	6,5
205	ზაპოროჟიე-ზირკა	1,3	4,0	7,5
206	ზაპოროჟიე-ზირკა 0:1	1,9	3,2	2,6
207	ვორსკლა-ტავრია	1,5	3,2	6,5
208	ნივა-მეტალისტი	2,5	2,9	2,5
209	კრივბასი-დნიპრო	1,35	3,8	7,0

თურქეთი. 25-ე ტური

18 მარტი

212	ერზურუმი-ანკარაგიუჯიუ (14[00])	2,0	2,9	3,4
213	ბეშიქთაში-გაზიანთეფი	1,5	3,3	6,0
214	ქოჯაელი-სამსუნი	1,9	2,9	3,6
215	ბურსა-ანთალია	2,0	2,9	3,4

19 მარტი

216	ვანი-ალთაი (14[00])	3,0	2,9	2,2
217	დენიზლი-ისთანბული (15[30])	1,8	2,9	4,2
218	გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი (15[30])	2,4	2,9	2,6
219	გიოზთეფე-გალათასარაი	5,6	3,4	1,5

შოტლანდია. 27-ე ტური

18 მარტი

220	ჰიბერნიანი-ჰარტსი	2,5	2,9	2,5
221	რეინჯერსი-მოზერუელი	1,2	5,0	9,0
222	რეინჯერსი-მოზერუელი 0:1	1,7	3,2	3,2
223	სენტ ჯონსტონი-კილმარნოკი	1,9	2,9	3,6

ავსტრია. 25-ე ტური

18 მარტი

226	ტიროლი-ბრეგენცი	1,25	4,4	8,0
227	ტიროლი-ბრეგენცი 0:1	1,8	3,3	2,8
228	გრაცერი-ლინცერი	1,6	3,0	5,6
229	ლუსტენაუ-შტურმი	5,0	3,2	1,6

19 მარტი

230	რიდი-აუსტრია	2,1	2,8	3,3

შვეიცარია. მე-2 ტური

18 მარტი

232	ქსამაქსი-სერვეტი	2,4	2,8	2,7

19 მარტი

233	ივერდონი-ლუცერნი (17[30])	1,9	2,9	3,6
234	ბაზელი-გრასჰოპერი	2,3	2,8	2,9

დანია. მე-20 ტური

19 მარტი

235	ესბიერგი-ორჰუსი	1,9	2,9	3,6
236	ოდენსე-ვიბორგი	2,3	2,9	2,8
237	კოპენჰაგენი-აკადემისკი	2,2	3,0	2,9
238	ლიუნგბიუ-ვაილე	1,6	3,2	5,0
239	ჰერფიოლგე-ბრიონდბიუ	2,4	2,9	2,6

20 მარტი

240	სილკებორგი-ოლბორგი	2,0	2,9	3,4

საფრანგეთი. თასის 1/4 ფინალი

18 მარტი

241	კალასი (IV)-სტრასბური	5,6	3,4	1,5
242	ბორდო-ნიმი	1,2	5,0	9,0

19 მარტი

243	ლიონი-მონაკო	2,5	2,9	2,5
244	ნანტი-რენი	1,8	2,9	4,2

შოტლანდია. ლიგის თასის ფინალი

19 მარტი

245	სელტიკი-აბრდინი	1,4	3,8	6,0

კალათბურთი. NBA

18 მარტი

810	ნიუ ჯერსი-მილუოკი	1,5	12,0	2,0
811	ვაშინგტონი-ჩიკაგო	1,25	12,0	3,1
812	კლივლენდი-მაიამი	2,3	12,0	1,4
813	ინდიანა-შარლოტი	1,2	12,0	3,5
814	დალასი-ბოსტონი	1,45	12,0	2,1
815	სან ანტონიო-დენვერი	1,1	12,0	5,0
816	კლიპერსი-საკრამენტო	2,8	12,0	1,3
817	სიეტლი-პორტლენდი	1,7	12,0	1,7

19 მარტი

818	ნიუ იორკი-ლეიკერსი	1,7	12,0	1,7
819	ნიუ ჯერსი-იუტა	2,1	12,0	1,45
820	ფილადელფია-ორლანდო	1,3	12,0	2,8
821	ატლანტა-დალასი	1,5	12,0	2,0
822	ტორონტო-ჰიუსტონი	1,15	12,0	4,0
823	მინესოტა-მილუოკი	1,2	12,0	3,5
824	გოლდენ სტეიტი-ფინიქსი	2,8	12,0	1,3
825	ვანკუვერი-დეტროიტი	2,3	12,0	1,4

20 მარტი

826	მაიამი-ლეიკერსი	1,7	12,0	1,7
827	შარლოტი-ფილადელფია	1,4	12,0	2,3
828	კლივლენდი-ჰიუსტონი	1,4	12,0	2,3
829	ჩიკაგო-ორლანდო	2,3	12,0	1,4
830	ფინიქსი-ბოსტონი	1,15	12,0	4,0
831	კლიპერსი-ვაშინგტონი	2,0	12,0	1,5

ჰოკეი. NHL

18 მარტი

838	ბოსტონი-პიტსბურგი	1,9	4,0	2,1
839	ფილადელფია-რეინჯერსი	1,5	4,0	3,0
840	ჩიკაგო-დალასი	2,1	4,0	1,9
841	კოლორადო-დეტროიტი	2,0	4,0	2,0
842	ტორონტო-ატლანტა	1,25	4,0	4,4
843	მონრეალი-კაროლინა	1,7	4,0	2,4
844	აილენდერსი-ფლორიდა	2,4	4,0	1,7
845	კალგარი-ბუფალო	1,8	4,0	2,2
846	ვანკუვერი-ოტავა	2,1	4,0	1,9

19 მარტი

847	ფილადელფია-ბოსტონი	1,4	4,0	3,4
848	ვაშინგტონი-ტამპა ბეი	1,25	4,0	4,4
849	დალასი-სან ხოსე	1,5	4,0	3,0
850	ნიუ ჯერსი-ფლორიდა	1,6	4,0	2,71
851	პიტსბურგი-რეინჯერსი	1,8	4,0	2,2
852	ედმონტონი-კალგარი	1,6	4,0	2,7
853	ანაჰაიმი-დეტროიტი	2,1	4,0	1,9
854	ლოს ანჯელესი-ნეშვილი	1,4	4,0	3,4

20 მარტი

855	ბუფალო-მონრეალი	1,8	4,0	2,2
856	სენტ ლუისი-ვაშინგტონი	1,6	4,0	2,7
857	კოლორადო-ვანკუვერი	1,5	4,0	3,0

რაგბი. ექვსი ერის თასი

18 მარტი

858	იტალია-ინგლისი	9,0	8,0	1,05
859	უელსი-შოტლანდია	1,25	8,0	3,4

19 მარტი

860	საფრანგეთი-ირლანდია	1,15	8,0	4,7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებულ თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის; კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოჭვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთი-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

როცა სულ იგეგ

ლინდსი დევენპორტი

ინდიან უელსი. აშშ. მასტერსი — ინდიან უელსი. ჰარდი. საპრიზო 4,5 მილიონი $

ქალები. ნახევარფინალი: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:2, 6:1.

მორიგი მატჩი, მორიგი გამარჯვება. მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი ამ ბოლო ხანებში ისეთ ფორმაშია, რომ მოგებათა დათვლასაც კი ვერ აუდის.

„ზედიზედ რამდენჯერ ვიმარჯვე? ვერ გეტყვით. ბევრჯერ. უამრავ მატჩში მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ წავაგე, ზუსტად არც მახსოვს“.

სინამდვილეში ზორბა ამერიკელს ზედიზედ 15 მოგება აქვს ანგარიშზე, სეზონში სულ ერთხელ — სიდნეის პირველობაზე დამარცხდა ამელი მორესმოსთან და ოთხივე ტურნირზე, როგორც მინიმუმ, ფინალში გააღწია.

აბა, რას გახდებოდა გამოუცდელი ელენა დემენტიევა ინდიან უელსის ნახევარფინალში ასეთ გიგანტთან? 18 წლის რუსს საამაყოდ მხოლოდ ის თუ დარჩება, რომ ამერიკელს მოწოდება მაინც აართვა, რაც ბოლო ორ მატჩში გაცილებით სახელოვანმა ჩოგბურთელებმა — კონჩიტა მარტინესმა და ჟული ალარმაც ვერ მოახერხეს.

სხვამხრივ კი ლინდსი ჩვეულად დესტრუქციული გახლდათ — დაკუნთული მკლავების ერთი მოქნევა და ბურთი ტყვიის სისწრაფით მიფრინავდა მეტოქისკენ, რომელსაც მცირეოდენი შანსიც კი არ რჩებოდა, მას დასწეოდა. თანაც მნიშვნელოვან მომენტებში დემენტიევა საკმაოდ იბნეოდა.

„მას ჯერ საკმაო გამოცდილება არ გააჩნია. თავადაც მახსოვს, რამდენიმე წლის წინ როგორ ვნერვიულობდი მსგავს მატჩებში. მისთვის ეს დიდი ტურნირის პირველი ნახევარფინალი იყო. რაც უფრო მეტად მოხვდები ასეთ სიტუაციაში, მით უფრო უკეთ ითამაშებ“ — თანაუგრძნო დევენპორტმა მეტოქეს.

დემენტიევამ კი თავი სხვაგვარად იმართლა: „ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გადაღლილი ვიყავი, რადგან აქამდე 5 ძნელი მატჩი ვითამაშე. არც თამაში წამივიდა და არც მოწოდებები. როდესაც ლინდსისთანა ჩოგბურთელს ხვდები, მას რაიმე მაინც უნდა დაუპირისპირო“.

ბოლოდროინდელი წარმატებების მიუხედავად, დევენპორტი მაინც საკმაოდ ჩამორჩება კლასიფიკაციაში ჰინგისს, თუმცა ამას ანომალიად არ აღიქვამს: „ოქტომბრიდან ან ნოემბრიდან მოყოლებული მართლაც ყველას ვჯობივარ, მაგრამ კლასიფიკაცია მთელი 12 თვის შედეგებით დგება. შარშან გაზაფხულზე ცუდ ფორმაში ვიყავი და ამიტომაც ვარ ამჟამად მეორე და არა პირველი ჩოგანი“.

ახლა ამერიკელმა ერთი დღე უნდა მოიცადოს, სანამ ფინალში მეტოქის ვინობას შეიტყობს — მარი პირსისა და მარტინა ჰინგისის შეხვედრა პარასკევს გვიან ღამისთვის იყო დანიშნული.

„ვფიქრობ, მარტინასთან მომიწევს შეხვედრა, რაც ყოველთვის სასიამოვნოა, გულშემატკივრებსაც და მასმედიასაც ჩვენი პაექრობა ძალიან აინტერესებთ. მე ყოველთვის მარტინას ვგულშემატკივრობ, როდესაც ფინალში მეტოქის ვინაობაა გასარკვევი“ — აღნიშნა დევენპორტმა, რომელსაც ჰინგისთან თამაში სხვა მიზეზის გამოც ეპიტნავება: 19 წლის შვეიცარიელისთვის ზედიზედ ოთხჯერ, თანაც საკმაოდ იოლად მოუგია.

კაცებმა ინდიან უელსში ხუთშაბათს მეოთხედფინალის საგზურები გაინაწილეს და წინა წრისგან განსხვავებით, ტურნირზე შემორჩენილ განთესილთა მცირერიცხოვანი ლეგიონისგან თითქმის ყველამ წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას.

ისევ გაუჭირდა უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონ პიტ სამპრასს. ამერიკელმა, რომელმაც მესამე წრეში უეინ ფერერას მხოლოდ გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკზე აჯობა, ამჯერადაც წააგო პირველი სეტი ზიმბაბველ ბაირონ ბლექთან.

შავი კონტინენტის თეთრ წარმომადგენელს მერე შესანიშნავი შანსი მიეცა, სამპრასისთვის ბოლო მოეღო, მაგრამ მეორე ხელის დასაწყისში 4 ბრეიკ-პოინტი გააცუდა: „იმ დროს მისთვის მოწოდება რომ ამერთმია, ალბათ, მატჩსაც მოვიგებდი. ვიცოდი, რომ ეს მნიშვნელოვანი მომენტი იყო, ამიტომ ზედმეტად გავნერვიულდი და არაფერი გამომივიდა“.

სამპრასი კი, რაკი საფრთხეს თავი დააღწია, შესანიშნავად ათამაშდა, ბადესთან შეცდომები აღმოფხვრა, მკვლელ ფორჰენდზე სამიზნე გაისწორა და ამ საკმაოდ მოკლე შეხვედრაში 24 ეისიც მიითვალა — 4:6, 6:3, 6:2.

„ეს ორი დღეა, სიზუსტე მღალატობს, მაგრამ რაც მთავარია, მატჩებს ვიგებ. იმედია, თანდათან უკეთ ავთამაშდები, რადგან ყოველი მომდევნო შეხვედრა უფრო რთულდება — განაცხადა ამერიკელმა, რომელიც ინდიან უელსში 1995 წლის შემდეგ გამუდმებით ადრეულ ეტაპზე აგებდა — ჩემი მიზანი უდაბნოს დემონების განდევნაა. ვიცი, ბოლო ხანებში აქ ცუდად ვთამაშობდი, მაგრამ მაინც იმედიანად ვარ განწყობილი. საკუთარ თავს ვახსენებ, ვინც ვარ და რომ ჩემი დამარცხება მაინც ძნელია“.

პრესკონფერენციაზე 90-იანი წლების საუკეთესო ჩოგბურთელმა თანამედროვე კაცთა ჩოგბურთის შესახებაც გამოთქვა აზრი: „ოცი წლის წინ ბორგი, ლენდლი, კონორსი და მაკინროი სხვებს შესამჩნევად სჯობნიდნენ, ახლა კი ასე აღარაა, საუკეთესო ათეულის წარმომადგენლებსა და დანარჩენებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა. თამაში ყველამ ისწავლა. თუ თავიდანვე არ ხარ მზად, სწრაფად წააგებ. ეს ამ კვირაშიც კარგად გამოჩნდა“.

თუმცა გაზრდილი კონკურენცია, პიტის აზრით, ცუდი როდია: „ეს ერთგვარი გამოწვევაა. ვფიქრობ, დიდი სლემის ტურნირების მოგება ახლა უფრო ძნელია, რადგან ყველა წარმატებას მოწყურებული და ახალგაზრდაა, მე კი თანდათან ვბერდები“.

თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ ისევ გამოიჩინა თავი ესპანელმა ალექს კორეტხამ. შარშან ამ დროს ATP ტურის ყველაზე „კარგი ბიჭი“ მსოფლიოს მეორე ჩოგანი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხანგრძლივად იავადმყოფა და ფიზიკურად დასუსტდა, ელიტიდან გავარდა.

სეზონის დასაწყისში კი კორეტხას ავსტრალიის ღია პირველობაზე ნამდვილი დამცირება ელოდა — 19 წლის ოზ ლეიტონ ჰიუიტთან სამარცხვინოდ, 0:6, 0:6, 1:6 წააგო.

„თავიდან ამასთან გამკლავება ძალიან ძნელი იყო. ყველაფრის ხალისი გამიქრა. საბედნიეროდ, სულ ძალე დევისის თასის მატჩზე მიმიწვიეს და ისევ მომეცა შანსი, თიხნარზე უკეთ ავთამაშებულიყავი. სასიამოვნოა, რომ ამ სპორტში ჯერ კიდევ მაქვს მომავალი“.

ინდიან უელსში მეორე წრეში კორეტხამ მეტად ლამაზ და დაძაბულ მატჩში პატრიკ რაფტერს აჯობა, მერვედფინალში კი ჩია ფრანგი ფაბრის სანტორო დაამარცხა 7:6 (8:6), 6:1.

მერვედფინალი: მაგნუს ნორმანი (6, შვედეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:3, 6:7 (2:7), 6:4; ნიკოლას ლაპენტი (8, ეკვადორი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 7:6 (7:3); ტომას ენკვისტი (10, შვედეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:4, 7:5; მარკ ფილიპუსისი (12, ავსტრალია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:2, 6:3; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — ალბერტ კოსტა (14, ესპანეთი) 6:2, 6:3; ჰიუმმ არაზი (მაროკო) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:5, 3:6, 6:4.

ავთანდილ სვანიძე

ალექს კორეტხა

ტერეზა ალსამარი: ქალი კი არა, მართლა თევზია

REUTERS ათენიდან

ათენის აუზში ოქროს თევზები მომრავლდნენ

ვისაც შნო ჰქონდა და ინატრა, რეკორდი ყველამ დაამყარა

ათენში მიმდინარე მოცურავეთა მე-5 მსოფლიოს ჩემპიონატი უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი — როგორი ამბავია, ასპარეზობის პირველ დღეს ხუთი მსოფლიოს რეკორდის დამყარება?! თუ ასე გაგრძელდა, ეს შეჯიბრება უხმოსავლიანობით საუკეთესო აღმოჩნდება.

25-მეტრიან აუზებში აქამდე გამართულ ოთხ ჩემპიონატზე 35 მსოფლიოს რეკორდი დამყარდა. აქედან ყველაზე მეტად ქალებმა იყოჩაღეს. მათ 28 მსოფლიოს რეკორდი მიითვალეს, ათენში კი, როგორც ვიუწყებოდით, ხუთი ამგვარი მაჩვენებლიდან ოთხის ავტორები ვაჟები არიან.

გუშინწინ, ამერიკელმა ნეილ სკოტ უოლკერმა დაამტკიცა, რომ 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში 24-წამიანი ზღვარი სულაც არ ნიშნავს. მის ხელშეუხებლობას, რასაც აქამდე ბევრი ვარაუდობდა. უოლკერმა ამ სახეობაში ჯერ წინასწარი გაცურვისას ავსტრალიელი მეტ უელშის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (24,11) დაამხო (24,04), ნახევარფინალში კი ეს შედეგიც გააუმჯობესა — 23,42. „ჩემთვისაც კი სიურპრიზი გახლდათ. არ მეგონა, თუ ამას წინასწარი გაცურვისას შევძლებდი“ — განაცხადა 24 წლის ამერიკელმა, რომელმაც ფინალში „დიდი“ თუ „პატარა“ წყლების მსოფლიოს რეკორდსმენი თანამემამულე ლენი კრეიზელბერგი მოიტოვა და ოქროს მედალთან ერთად, ორი მსოფლიოს რეკორდისთვის 30 ათასი დოლარიც დაისაკუთრა.

ჩემპიონატის პირველი დღის გმირად შვედი ლარს ფროლანდერიც მოგვევლინა. ამ ჩრდილოელმა მოცურავემ, 100 მეტრზე ბატერფლაით ნახევარფინალურ გაცურვაში ავსტრალიელი მსოფლიოს ჩემპიონის მაიკლ კლიმის მიერ ექვსი თვის წინათ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (50,99) გააუმჯობესა — 50,59 და გუშინდელი ფინალისთვის კარგი ფონიც შეიქმნა.

„ბედნიერი ვარ რეკორდით, მაგრამ მის გაუმჯობესებას ფინალში კიდევ ვეცდები“ — თქვა ფროლანდერმა. რეკორდსმენს კვერი დაუკრა მისმა მწვრთნელმა ჰანს კრუნაკმა, რომელსაც სჯეროდა შეგირდის დანაქადნისა.

ამისთვის გუშინდლამდე ლოდინიც არ გახდა საჭირო, რადგან ფროლანდერმა პირველ დღეს კიდევ ერთი რეკორდით გამოიჩინა თავი. მან თანაგუნდელებთან, იოჰან ნისტრომთან, მათიას ოჰლინთან და სტეფან ნისტრანდენთან ერთად, 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, 1998 წლის დეკემბერში ბრაზილიელების მიერ რიო დე ჟანეიროში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (3.10,45) გააუმჯობესა — 3.09,57.

ასპარეზობის პირველი დღის შედეგებიდან აღსანიშნავია სამხრეთაფრიკელი ბრენდონ დედეკაინდის გამოსვლაც. მას 50 მეტრზე ბრასით ცურვაში შეეძლო მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო, რადგან წინასწარ და ნახევარფინალურ გაცურვებში ჩემპიონატის რეკორდები დაამყარა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფინალში სამხრეთაფრიკელს გერმანელმა მარკ ვარნეკმა გადაასწრო და გამარჯვებაც მას დარჩა (27,22).

სხვა დანარჩენ ფინალებში ვაჟ მოცურავეებს სიურპრიზები აღარ შემოუთავაზებიათ. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ფინელმა იანი სიევინენმა (4.09,54), ხოლო 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში წარმატებას მიაღწია უნგრელმა ბელა ზაბადოსმა (1.45,27).

ქალთა შორის იყოჩაღეს სამხრეთაფრიკელმა სარა პოემ, უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ და დანიელმა მეტ იაკობსენმა. ამ უკანასკნელმა ათენური ჩამოსხმის პირველი ოქროს მოიპოვა 200 მეტრზე ბატერფლაით (2.08,10) და წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ტიტული დაიცვა.

„რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკეთესი შედეგი მინდოდა“, თქვა 26 წლის დანიელმა მოცურავემ.

გუშინ, ჩემპიონატის მეორე დღეს, ფროლანდერმა დანაპირები შეასრულა, ნახევარფინალში თავისივე მსოფლიოს რეკორდი (50,59) 24 საათში კიდევ უფრო შეამცირა — 50,44 და 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნა.

დანაპირები აასრულა შვედმა ქალთევზამ, ტერეზა ალსამარმაც, რომელმაც ახლახან დასრულებულ მსოფლიოს თასის მეთორმეტე ეტაპზე, ფინალში გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მსოფლიოს რეკორდს ათენში, მსოფლიოს ჩემპიონატზე დავამყარებო. ტერეზამ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შარშან ლისაბონში „მცირე წყლის“ ევროპის ჩემპიონატში მის მიერვე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (52,80) გააუმჯობესა — 52,17 და 15 ათასი დოლარიც ჩაითვალა.

თავი გამოიჩინა რუსმა რომან სლუდნოვმაც. მან 100 მეტრზე ბრასით ცურვაში ნახევარფინალური გაცურვისას, ოლიმპიური ჩემპიონის, ბელგიელი ფრედერიკ დებურგრეიის მიერ 1998 წლის 3 დეკემბერს ტეხასში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (58,79) დაამხო — 58,51 და რუსებს ხასიათი გამოუკეთა.

ამერიკელებმა თხა თხაზე ნაკლებიო და 4X200 თავისუფალი სტილით ცურვაში ავსტრალიელთა მიერ შარშან 1 დეკემბერს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (7.01,60) გააუმჯობესეს — 7.01,33.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღე ოთხი მსოფლიოს რეკორდით დასრულდა და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, წინა ოთხივე მსოფლიოს ჩემპიონატებზე დამყარებულ მსოფლიოს რეკორდებსაც (35) დარჩენილ ორ დღეში მიუკაკუნებენ.

გიგა გურასაშვილი

თოვლი გაწითლდა

ჰერმინატორი წელთაღრიცხვას მისდევს, სხვები თავ-პირს ილეწავენ

ჰერმან მაიერი



AP ბორბეოდან

რენატა გოეტჩლი

2000 წელს ჰერმან მაიერმა სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასზე ზუსტად 2000 ქულა დააგროვა. გუშინწინ იტალიურ ბორმიოში სუპერგიგანტის ეტაპის მოგებით მაიერმა ახალი რეკორდი დამყარა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მან ისტორიაში პირველმა შეაბიჯა ორიათასიან მოჯანაზე, შვეიცარიელი პოლ აკოლას 8 წლის წინანდელი რეკორდის (1699 ქულა) ადრეულ დამხობაზე რომ არაფერი ვთქვათ. 16 მარტს კი ავსტრიელმა სულაც სასწაული მოახდინა. ვერც ვიხსენებ, ბოლოს როდის ყოფილა სუპერგიგანტის გამარჯვებულს უახლოესი მდევრისთვის თითქმის ორი წამი მოეგო. „მაიერმა ყველას დაგვანახა ის მაქსიმუმი, რისი გამოწურვაც შეიძლება ტრასიდან, როცა უკომპლექსოდ თავისუფლად სრიალებ“ — ამგვარი გახლდათ საერთო ჩათვლის მეორეადგილოსნის, ავსტრიელი ვერნერ ფრანცის პრაგმატული კომენტარი, თუმცა „ჰერმინატორს“ უფრო მაღალი რანგის კომპლიმენტებიც ერგო, ხოლო მისი გამარჯვებით აღფრთოვანებულთა სიის თავში უეჭველად დედამისი უნდა დავაყენოთ, რომელსაც ოთხშაბათს დაბადების დღე ჰქონია. დედას საჩუქარი კი მივუძღვენი, როცა სწრაფდაშვების მსოფლიოს თასის პატრონი გავხდი, უთქვამს მაიერს, მაგრამ რაღაც მეცოტავა და აგერ მეორე საჩუქარიც, მადლობა მას იმ მხარდაჭერისთვის, რასაც მთელი სეზონის მანძილზე ვგრძნობდიო.

მაიერზე საუბარს მალე მოვრჩებით, მკითხველმა ერთფეროვნებისთვის რომ არ დაგვძრახოს — ჩვენ ხომ ეს დღეებია ჰერმანის ამბების თხრობით დავიქანცეთ. ახლა იმასღა ვიტყვით, რომ მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელს, მსოფლიოსა და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს წლევანდელი გიგანტური სლალომის ბოლო ეტაპი წინა აქვს და გამარჯვების შანსები იქაც არ აკლია, ამიტომ იქით კვირას იქნებ იმ უნიკალური მოვლენის შესახებ გამცნოთ, რასაც ერთ სეზონში ოთხგზარი მსოფლიოს თასის მოგება ჰქვია. საერთო ჩათვლას, სწრაფდაშვებას, გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტს ვგულისხმობთ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შევეხებით, გუშინდელი „სარბიელის“ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან მასში გერმანელი სამთომოთხილამურის, რეგინა ჰოისლის ფეხის მოტეხვის ამბავი გადმოვეცით და შესაბამისად, თემის დასახელებაც გამოიკვეთა: „ტრავმები“. გუშინ სააგენტო „როიტერს“ ესაუბრა სამთოთხილამურობის მავანი იტალიელი სპეციალისტი. მან თქვა, ჩემს შვილებს პროფესიონალ სამთომოთხილამურეებად არ გავზრდი, რადგან ამ სპორტს უკვე სისხლთან და ტკივილთან ვაიგივებო. მართლაც, ბოლო ხანს ძალიან იმრავლა ევროპის ზამთრის კურორტებიდან მ[illegible]ულმა ცნობებმა წაქცევებზე, მოტეხილ ძვლებსა და ამოგდებულ თეძოებზე. აგერ, ყველაზე გახმაურებული შემთხვევებიც: დეკემბერში ხორვატი ინიკა კოსტელიჩი დაიმტვრა და როგორც ახლახან განაცხადა, მართალია ვარჯიშები განახლა, მაგრამ 2001 წლის მსოფლიოს პირველობამდე არავითარი ჯილდოს მოხვეჭა არ ძალუძს. იანვარში გერმანელთა ნაკრების ლიდერმა, ჰილდე გერგმა ფეხი მოიტეხა და სეზონი იმანაც ჩააგდო, მისმა თვისტომმა მარტინა ერტლმა ხომ მთელი თვე გააცდინა, ხოლო რაც ორიოდე დღის წინ რეგინა ჰოისლს თავს გადახდა, უკვე იცით. დავანებოთ თავი უფრო ადრეულ პრეცენდენტებს, როგორიც სწოროუოვარი კატია ზაიცინგერის ზედიზედ რამდენიმე ტრავმაა და ყველაზე ცინცხალი ამბავი გავაგრძელოთ. გუშინწინ რეგინა ჰოისლი, ვინაც სწრაფდაშვების მსოფლიოს თასი მოიგო და ფეხი ორგან მოიტეხა, იტალიიდან გერმანიას აფრინეს და მურნაუს კლინიკაში საათახევრიანი ოპერაცია გაუკეთეს, ფეხი ოცდათორმეტსანტიმეტრიანი ლითონის ფირფიტით გაუმაგრეს და როგორც გერმანელის თანამემამულე მარტინა ერტლი იუწყება, ამჟამად რეგინა მშვენიერ ხასიათზეა, უხარია, რომ გამარჯვებული დარჩა. „ბორმიოს შემდეგ მას ყველა ვინახულებთ და თავის ნადავლსაც ჩავუტანთ“ — განაცხადა ერტლმა. მნახველთა შორის უეჭველად იქნება ავსტრიელი რენატა გოეტჩლი, რომელიც 15-ში ჰოისლის ტრავმით შეწუხდა, 16-ში კი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში გამარჯვება გაინაღდა, ისევე, როგორც სუპერგიგანტში. დარჩენილი ორი ეტაპი ვერაფერს შეცვლის. 24 წლის [illegible] გოეტჩლმა სამთო თხილ[illegible] ვისი პირველი გამოჩენიდან 7 წლის თავზე, როგორც იქნა ოცნება აისრულა და გამარჯვების უპირველეს ხელშემწყობ ფაქტორად საკუთარი ნერვების, მოთოკვა მიიჩნია, მერე კი ისიც აღნიშნა, ყისმათიც მქონია, თორემ ამდენ დიად მოთხილამურეში მანცდამაინც საუკეთესო როდი ვარო. „წლეულს განსაკუთრებით გიგანტურ სლალომში ნ[illegible] ჩვენები შედეგები მახარებს“ — დაუმ[illegible]ტა ნათქვამს 24 წლის შტირიის მთ[illegible]ების შვილმა, რომელმაც ყველა სიკეთესთან ერთად გუშინწინდელი სუპერგიგანტის ეტაპიც მოიგო და თავის ნათქვამიდან გამომდინარე, არც დაგეგმილ გიგანტური სლალომის ეტაპზე უნდა გამოიყურებოდეს უფერულად.

დავით გულუა

მსოფლიოს თასი

ქალები

გიგანტური სლალომის საბოლოო საერთო ჩათვლა

1. რენატა გოეტჩლი (ავსტრია) — 554; 2. მელანი ტარჯონი (კანადა) — 343; 3. მოიკა შუბადოლეი (სლოვენია) — 341; 4. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 330; 5. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 300

საერთო ჩათვლა

1. გოეტჩლი — 1567; 2. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1226; 3. კავანიუ — 1016

კაცები

გიგანტური სლალომის საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 540; 2. ვერნერ ფრანცი (ავსტრია) — 371; 3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) — 354; 4. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 305; 5. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) — 294

საერთო ჩათვლა

1. მაიერი — 2000; 2. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1400; 3. იოზეფ შტრობლი — 994

ჩიკაგოში გვიან ღამეებენ

16 მარტი

დეტროიტი — ტორონტო 3:4

0:1 0:1 3:1 0:1

0:1 ბერეზინი 18'10 (20); 0:2 ხრისტიჩი 32'57 (12); 1:2 შენაჰანი 40'16 (38); 2:2 აიზერმანი 49'45 (30); 3:2 აიზერმანი 53'21 (31); 3:3 ბერეზინი 59'51 (21); 3:4 სუნდინი 61'58 (30)

პიტსბურგი — ფლორიდა 4:2

0:1 2:0 2:1

0:1 ბ. ბურე 11'55 (47); 1:1 შლეგრი 29'56 (8); 2:1 ბერანეკი 38'48 (10); 3:1 ბუგნერი 48'56 (3); 3:2 ბერი 54'02 (6); 4:2 ბარნაბი 56'47 (9);

ატლანტა — აილენდერსი 2:4

0:2 1:2 1:0

0:1 ისტბისტერი 7'30 (18); 0:2 იოკინენი 15'15 (10); 0:3 ჯ. გრინი 27'35 (12); 0:4 კონოლი 32'11 (12); 1:4 ტრამბლე 36'00 (8); 2:4 სტეპლტონი 49'20 (10)

ფილადელფია — მონრეალი 1:1

1:0 0:0 0:1 0:0

1:0 ტოკეტი 12'38 (14); 1:1 ჟოლტოკი 42'39 (23)

ჩიკაგო — ბოსტონი 5:4

1:2 1:2 2:0 2:0

1:0 ბელანჟე 4'39 (2); 0:2 სამსონოვი 5'20 (18); 1:2 გროშეკი 15'01 (12); 1:3 ნაბლი 27'24 (10); 2:3 ნიულანდერი 34'21 (21); 2:4 ტორნტონი 37'56 (20); 3:4 ამონტე 52'44 (38); 4:4 ბ. მირონოვი 59'46 (8); 5:4 სალივანი 61'39 (17)

კოლორადო — ნეშვილი 2:2

1:1 0:0 1:1 0:0

0:1 ლეგვანდი 15'03 (13); 1:1 ბურკი 17'30 (14); 2:1 პოდინო 42'07 (10); 2:2 ბორდელო 57'52 (8)

ვანკუვერი — ბუფალო 6:3

3:1 3:1 0:1

0:1 უორდი 3'05 (8); 1:1 მორისონი 4'53 (6); 2:1 ნესლუნდი 7'14 (22); 3:1 ბერტუცი 19'21 (17); 3:2 ჯ. ბრაუნი 21'28 (18); 4:2 ნესლუნდი 24'10 (23); 5:2 ოლუნდი 29'07 (4); 6:2 მესიე 30'08 (14); 6:3 გილმორი 47'04 (24)

მას შემდეგ, რაც ტორონტომ მეკარე კერტის ჯოზეფი შეიძინა და აღმოსავლეთ კონფერენციაში გადავიდა, საოცრად გარდაიქმნა, სატურნირო მდგომარეობაც გაუმჯობესა და მეტად მიმზიდველადაც ათამაშდა. მართალია, დეტროიტს, ასევე კომბინაციური და შემტევი ჰოკეის მიმდევარს, სხვა კონფერენციაში გადაბარგების გამო იშვიათადღა ხვდება (სხვადასხვა კონფერენციის გუნდები ერთმანეთს ორჯერ ხვდებიან), მაგრამ მათ ყოველ დაპირისპირებას ქომაგები დიდი ინტერესით ელიან და მეტოქენიც მოლოდინს ამართლებენ. ამჯერადაც ასე იყო — ლამაზი და სწრაფი კომბინაციები, საინტერესო ტაქტიკური ბრძოლა. სიუჟეტიც ერთობ მძაფრი აღმოჩნდა — ორი პერიოდი ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო, მასპინძლების მცირე უპირატესობა კი იგრძნობოდა, მაგრამ ჯოზეფის კარისკენ ვერაფერით გაიკვალა გზა. კანადურმა კლუბმა კი ორი შანსი გამოიყენა. თუმც დეტროიტმა ბოლო მესამედში ტემპს უმატა და მეტოქის დაცვა მთლად გაანგრია. დაახლოებით 15 წუთი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. მასპინძლებმა სამჯერ გაიტანეს, დაწინაურდნენ და ამდენივე საგოლე მომენტიც ქარს გაატანეს. მაგრამ... დაწინაურებულმა „წითელფრთიანებმა“ მეტოქე დაინდეს, თითქოს ტორონტოც ბედს შეეგუა, თუმც ბოლო 30 წამში სტუმრებმა მეკარე გამოცვალეს, თამაში მეტოქეთა ზონაში გადაიყვანეს და საბოლოოდ კართან ატეხილ არეულობაში, სერგეი ბერეზინმა იმარჯვა. ოვერტაიმში კი გამოცდილმა კრის ჩელიოსმა გაოგნებული დეტროიტელები უხეშობის გამო უმცირესობაში დატოვა და იღბლიანმა მათს სუნდინმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

აღმოსავლეთის ბოლო ორი საგზურისთვის მებრძოლი გუნდებიდან, ნავსი პიტსბურგმა და მონრეალმა გატეხა — მათ 70-ქულიანი ზღვარი გადალახეს.

განსაკუთრებით კმაყოფილნი პიტსბურგელები უნდა იყვნენ — „დეტლანზე“ ძირფესვიანად გადაახალისეს შემადგენლობა და შედეგიც უმალვე მიიღეს. ფლორიდასთან შეხვედრაში გადამწყვეტი გოლები სწორედ ახალშეძენილმა იოზეფ ბერნეკმა და ბობ ბუგნერმა გაიტანეს. ახლა პიტსბურგს ერთი სული აქვს, იაგრის დაბრუნებამდე არ დათმოს პოზიციები და მეშვიდე ადგილი შეინარჩუნოს. ცნობილი გახდა, იაგრმა მსუბუქად ივარჯიშა და მარტის ბოლოს დაბრუნებას აპირებს.

მონრეალი კი ფილადელფიაში მოპოვებული ქულითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან მასპინძლები აშკარად ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ტამპასთან წინა მატჩში ჩავარდნის შემდეგ კანადელთა მეკარემ, ჯეფ ჰეკეტმა (38 მოგერიება) ჩინებულად ითამაშა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მონრეალს ჩემპიონატის ბოლოს არც ერთი წამყვანი მოთამაშე აღარ ეყოლება — ზედიზედ სამი თამაშია, „კანადიენსს“ თითო-თითო ლიდერი აკლდება. ამჯერად საკუ კოივუს და ტრევორ ლინდენის ბედი შეინ კორსონმა გაიზიარა. ჰოდა, საკითხავია, შეძლებს მონრეალი ლიდერების გარეშე ფონს გასვლას ანუ პლეი ოფში მოხვედრას?

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ჩიკაგო სწორედ მას შემდეგ ათამაშდა, რაც პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგა. ასეთი რამ მაღალი პოტენციალის მქონე, მაგრამ არასტაბილურ გუნდს სჩვევია. ქორებმა ზედიზედ მეოთხედ მოიგეს, თანაც 18(!) გოლი გაიტანეს. ამჯერად ბოსტონს დრამატულ ბრძოლაში ჯერ მოგება გამოსტაცეს ხელიდან, ოვერტაიმში კი გადამწყვეტი შაიბა შეაგდეს. ისე, ჩიკაგოს და განსაკუთრებით მის ლიდერებს — ტონი ამონტესა (1+1) და ალექსეი ჟამნოვს (2 პასი) ისევე რომ ეთამაშათ, როგორც რეგულარულად უქმეებზე ახერხებდნენ, იქნებ გუნდი ლიდერებშიც ყოფილიყო.

„ეტყობა, ჩვენს მცველებს ჰგონიათ, რომ ყველა მატჩში ექვსზე მეტი გოლის გატანა შეგვიძლია. სწორედ ამის საზღაურს ვიმკით“ — ბუფალოელი ლინდი რაფი სულაც აღარ იყო გუნებაზე. მისი გულისწყრომა გასაგებია. გუნდი, რომელიც პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის, მეტოქის ლიდერებს ესოდენ თავისუფლად არ უნდა ათარეშებდეს და შეცდომებისგანაც დაზღვეული უნდა იყოს. ზედიზედ მეორე მატჩია, „ხმლები“ ექვს გოლს უშვებენ. დუგ გილმორი ხომ გუნდს ყველა მატჩში ვერ იხსნის.

სამველ ღარიბიანი

მონრეალელთა მეკარე ჯეფ ჰეკეტს ფილადელფიელებთან დიდი ჯაფა დაადგა: შაიბა 35-ჯერ მოიგერია

სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია

ნიუ ჯერსი	71	40	8	5	23	218:171	93
ტორონტო	71	40	7	3	24	219:188	90
ვაშინგტონი	70	37	11	1	22	189:166	86
ფილადელფია	70	37	12	2	21	202:157	88
ოტავა	69	35	11	2	23	205:173	83
ფლორიდა	70	36	5	5	29	206:178	82
პიტსბურგი	70	29	8	6	33	201:205	72
მონრეალი	71	30	8	3	33	168:167	71
კაროლინა	70	30	10	0	30	187:192	70
რენჯერსი	72	28	11	3	33	201:204	70
ბუფალო	72	28	10	3	34	182:191	69
ბოსტონი	69	21	17	6	32	179:209	65
აილენდერსი	71	21	8	1	42	168:234	51
ტამპა	69	16	8	7	45	175:260	47
ატლანტა	69	12	6	4	51	143:263	34

დასავლეთ კონფერენცია

სენტ ლუისი	70	44	9	0	17	215:143	97
დალასი	71	39	7	4	25	180:158	89
კოლორადო	72	34	11	1	27	204:181	80
დეტროიტი	71	42	8	2	21	235:182	94
ლოს ანჯელესი	70	34	9	3	27	219:200	80
ფინიქსი	70	35	7	1	28	206:193	78
სან ხოსე	71	30	9	7	32	198:187	76
ედმონტონი	71	26	16	8	29	195:185	76
ანაჰაიმი	71	28	12	2	31	185:196	70
ვანკუვერი	71	24	14	8	33	187:209	70
კალგარი	71	28	8	5	35	186:222	69
ჩიკაგო	71	28	7	2	36	214:223	65
ნეშვილი	71	24	7	7	40	179:209	62

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღნეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.

რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

- *გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალი „სარბიელი“ კი*

ორშაბათიდან იქიდგა

- *გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მივა.*
- *გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.*
- *და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?*

ორივე სარბიელია

გერმანია

XXV ტური

ვოლფსბურგი 2:2 უნტერჰახინგი

1:0 ფელდჰოფი (40), 1:1 ციმერმანი (54), 1:2 ჰაბერი (56), 2:2 აკობორი (88)

აინტრახტი 0:0 ჰანზა

II ბუნდესლიგა

XXIII ტური

ზანქტ პაული 1:1 ვალდჰოფი

ჰანოვერი 2:1 მაინცი

ქემნიცი — ნიურნბერგი

გადაიდო

ინგლისი

II დივიზიონი. XXXVII ტური

კარდიფი 3:2 კოლჩესტერი

III დივიზიონი. XXXVII ტური

როტერჰემი 2:3 მენსფილდი

შვეიცარია

II ტური

სენტ გალენი 1:0 ლოზანა

იტალიური ბიპ-ბიფიფა

სერია B. XXVII ტური

კოზენცა 1:0 ვიჩენცა

ჰოლანდია

XXVI ტური

კამბური 2:3 ფეიენოორდი

ნაიმეგენი 2:1 ტილბურგი

ჩეხეთი

XXI ტური

ბანიკი 2:2 ოპავა

თურქეთი

XXV ტური

ფენერბაჰჩე 2:4 ადანა

ავსტრია

XXV ტური

რაპიდი 5:0 ზალცბურგი

პორტუგალია

მარიტიმუ 1:0 ბრაგა

ტორეროს ხელობა



REUTERS ვალენსიიდან

ხუან ანტონიო რუისი, მეტსახელად „ესპარტაკო“ ოცდაჩვიდმეტი წლისაა და ესპანეთის უგანთქმულესი ტორეროა. მაგრამ უგანთქმულესსაც კი შეხვდება ხიფათი. ასეა, როცა ხელობად ხართან ჭიდილი გაგიხდია. ხუანს უკვე გაუკეთეს ოპერაცია ვალენსიის ერთ-ერთ საავადმყოფოში და გამოაცხადეს, ახლა დასვენება სჭირდება, მულეტას და პიკეს კარგახანს ვერ დაიჭერსო.

ბენეტონი რენოდ იქცევა



REUTERS მილანიდან

მილანში პრესკონფერენცია გამართა ლუჩანო ბენეტონმა. ამ პატივცემულმა ბატონმა განაცხადა, რომ სულ მალე 120 მილიონ დოლარად გაყიდის ფორმულა ერთის გუნდ „ბენეტონს“. სენიორ ლუჩანომ თქვა, რომ „ბენეტონმა“ ამაგი დასდო ფორმულის განვითარებას და თავადაც კმაყოფილი და ოცნებაახდენილი ეთხოვება მას. მყიდველი კი ფრანგული ავტოკონცერნი „რენო“ იქნება.

ჩეტელჰემური ლაღობა

REUTERS ჩეტელჰემიდან

ინგლისურ ჩეტელჰემში დარია. მზიანი ამინდი გუნებასაც უკეთებს იქაური დოღის მონაწილეებს, ალის ბემფორდსა (მარჯვნივ) და ნონი ბუვერატს. საერთოდაც, სასიამოვნო დღეებია ამ ჩეტელჰემში — სამდღიანი სანადირო ფესტივალი მიმდინარეობს, რომლის დაგვირგვინებაც განთქმული ოქროს თასისთვის გამართული დოღი იქნება.

REUTERS ფრანკფურტიდან

ესეც შუმახერია

ნახევარგამტარულ კომპანია „ინფინეონს“ თავისი აქციები შეუტანია ფრანკფურტის სავაჭრო ბირჟაზე და მშვენივრადაც გაუყიდია. კომპანიის თავკაც ვინმე ულრიხ შუმახერს ფორმულა ერთის მრბოლის სამოსი მოურგია და „ინფინეონის“ სარეკლამო კამპანიაში ჩართულა — მეც შუმახერი ვარო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მაჭუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გიორგი თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli